

# ადვოკატი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი  
2016 წ. №3-4



Published with the financial assistance of the European Union (EU) and the United Nations Development Programme (UNDP)

The views expressed herein can in no way be taken to reflect the official opinion of the EU and UNDP

გამოცემულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) თვალსაზრისს



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

EU4Justice: მართლმსაჯულების რეფორმის  
მხარდაჭერა



50  
YEARS

*Empowered lives. Resilient nations.*

**ჟურნალის რედაქტორი**  
ზაზა ხატიაშვილი

**რედაქტორის მოადგილე**  
ეკა ხიმშიაშვილი

**სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე**  
როინ მიგრიაული

**სარედაქციო კოლეგია**

ქორნელიუს ქლაინლაინი, ზაზა ხატიაშვილი, დავით ასათიანი, ოთარ გამყრელიძე,  
ირაკლი ყანდაშვილი, ნინო გვენეტაძე, ინგა თოდრია, ლელა ნადიბაიძე, მაკა სალხინაშვილი,  
პაატა ტურავა, ზურაბ ძლიერიშვილი, ზურაბ ჭეჭელაშვილი, ნინო ხოფერია

**დიზაინი და დაკაბადონება**  
ვიგა ფრანგიშვილი

**ბეჭდვა**  
სარეკლამო კომპანია „რგოლი“



ISSN-1987-5 479

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება კომერციული მიზნით, ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ნებართვის გარეშე აკრძალულია

# სარჩევი

<b>რედაქტორის სიტყვა</b> .....	4
--------------------------------	---

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა

საერთაშორისო კონფერენცია: ადვოკატთა ასოციაციები დამოუკიდებელი, კვალიფიციური და ეთიკური ადვოკატის პროფესიისათვის .....	6
საერთაშორისო კონფერენცია: საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - მიღწევები, გამონწევები და სამომავლო გეგმები .....	7
გიორგი მარგველაშვილი - ადვოკატებზე ნებისმიერ ზენოლას განვიხილავ იმ ღირებულებებზე ზენოლად, რომლის დაცვასაც კონსტიტუცია გვავალდებს.....	8

## ადვოკატი და ეთიკა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადანწყვეტილება.....	9
ეთიკის კომისიის რეკომენდაცია.....	12

## ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის 2016 წლის ანგარიში.....	14
---	----

## მედიაცია

მედიაცია -სადაც დავა შეთანხმებით სრულდება!.....	17
მედიაცია - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა საქართველოში.....	19

## ადვოკატი და მეცნიერება

საჯარო სამართლის იურიდიული პირები: კომპეტენციის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების აქტუალური საკითხები.....	24
სასამართლო დავის განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში .....	37

## დისკრიმინაცია და რელიგიური თავისუფლება

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმი საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი .....	43
საკასაციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება საბანკო სფეროში რელიგიური მოტივებით გათავისუფლების გამო .....	59

## დოქტორანტი-ადვოკატის ტრიბუნა

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ავტონომიის და ზუსტი შესაბამისობის ფუნდამენტური პრინციპები .....	64
--	----

## იურიდიული პუბლიცისტიკა

„მეწაღის დაგვიანებული გამოძახილი (გაგრძელება).....	72
--	----

## ინტერვიუ

ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირი დაარსდა.....	77
--	----



პატივცემულო ადვოკატებო,  
ძვირფასო კოლეგებო,

მინდა მოგილოცოთ ახალი 2017 წელი, გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება, პროფესიული წარმატებები და სამართლიან გარემოში მოღვაწეობა.

პატივცემულო კოლეგებო, 2017 წელი იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ადვოკატთა ასოციაციის განვითარებისთვის. ადვოკატთა ასოციაცია, ადვოკატის პროფესიაში შემოსვლის მსურველთათვის დაინყებს სტაჟირების პროცესის ახალ სისტემაზე გადასვლას, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ბაზაზე გაიხსნება ადვოკატის სკოლა, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის ამაღლებას პროფესიაში შემოსულ ადვოკატებთან მიმართებაში.

ადვოკატთა ასოციაციის დიდი ბრძოლის შედეგად, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მნიშვნელოვან ცვლილებას მივალწიეთ რის შედეგად, ადვოკატის საქმიანობაში უკანონო ჩარევა, მუქარა ადვოკატის ან ოჯახის წევრთან მიმართებაში სისხლის სამართლის დანაშაული გახდა, რამაც საადვოკატო საქმიანობა დაცული სფერო გახადა. ადვოკატთა ასოციაცია მომავალშიც იქნება აქტიური, განხორციელდეს ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ადვოკატთა კორპუსის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ადვოკატთა ასოციაციამ, პრეზიდენტის სარეზერ-

ვო ფონდის მხარდაჭერით, სასწავლო ცენტრის ბაზაზე ახალი თანამედროვე სასწავლო ცენტრის შენობა გახსნა, რომელიც ყველა მაღალ სტანდარტს პასუხობს. ახალი სასწავლო ცენტრი მაღალი დონის ტრენინგების ჩატარებას შეუწყობს ხელს. სტრასბურგის სასამართლოსთან ტელეხიდის გამართვას მეტად პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა ადვოკატების მხრიდან, რომელიც გაგრძელდება.

2016 წელს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ძირითადი ფუნქცია კვლავ იყო ადვოკატის უფლებების დაცვის კუთხით გადადგმული ნაბიჯები, ჯერ კიდევ არსებობს ადვოკატის შეურცხყოფის, დამცირების, დაშინების შემთხვევები, რაზეც პირადად ჩემი მხრიდან ადექვატური რეაგირება განხორციელდა. ჩემი დიდი ბრძოლით, ევროპის საბჭოს ასამბლეამ 2016 წელს მიიღო დადგენილება, საქართველოში, ადვოკატთა კორპუსის გაუსაძლისი მდგომარეობის შესახებ, რაც დიდი გარღვევაა საერთაშორიო დონეზე. სწორედ აღნიშნული დადგენილების მიღებიდან სამ თვეში მივალწიეთ, რომ საადვოკატო საქმიანობაში ხელის შეშლა სისხლის სამართლის დანაშაული გამხდარიყო.

პატივცემულო კოლეგებო! მთელი 7 წელი მარტო ვიბრძვი თქვენი უფლებებისთვის, მაგრამ მინდა მომავალში დავინახო მეტი თანადგომა კოლეგებთან მიმართებაში. თუ ადვოკატთა კორპუსი არ დადგება ერთად, მომავალში ძალიან გაგვიჭირდება იმის შენარჩუნება რასაც მივალწიეთ. პოლიციაში ნაწამები ადვოკატ გიროგი მდინარაძის საქმეს ვესწრებით ერთი და იგივე დაახლოებით 30 ადვოკატი, რაც არ არის ის, რასაც შვიდი წლის განმავლობაში ბრძოლით ვეძინდი. შვიდი წლის განმავლობაში არაერთი დამცირება გამამიტანია მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ვეგუებოდი ვერც ერთი ადვოკატის დაჩაგვრას. თქვენ, კარგად ხედავთ რასაც მივალწიეთ, მაგრამ თუ ჩვენ შევჩერდებით და კმაყოფილი ვიქნებით იმით რასაც მივალწიეთ, ყველაფერი თვალსა და ხელს შუა გაქრება.

2016 წელს აქტიურ ფაზაში შევიდა დავის ალტერნატიული მექანიზმის-მედიაციის დანერგვა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, რაშიც ადვოკატთა ასოციაციის ჩართულობა და როლი

გადამწყვეტია და იმედს ვიტოვებთ საკანონმდებლო ორგანო შექმნის იმ ტიპის კანონმდებლობას მედიაციის სფეროში, რომელიც იქნება გარანტი და წინაპირობა დავების რეალურად შეთანხმებით დასრულებისა ქართულ სამართლებრივ სივრცეში და ადვოკატების როლი და მნიშვნელობა სწორედ იქნება კანონმდებლობაში გათვალისწინებული.


ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატთა ასოციაცია მზად არის მონაწილეობა მიიღოს მედიაციის დანერგვაში და უზრუნველყოს ადვოკატთა კორპუსის სწავლება მედიაციის პროცესში ადვოკატის როლის შესახებ.

პატივცემულო კოლეგებო,

კიდევ ერთხელ მინდა მოგოლოცოთ ახალი წელი გვარვდეთ უფლის მაღლი და ძალი.

**დიდი სიყვარულით და პატივისცემით,**

**ზაზა ხატიაშვილი**



2016 წლის მაისში, საერთაშორისო ინსტიტუტების დახმარებით, თბილისში ჩატარდა ყველაზე მასშტაბური კონფერენცია, რომელშიც 20 ქვეყნის დელეგაცია მონაწილეობდა. კონფერენცია გახსნეს საქართველოს პრეზიდენტმა და ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გახდა ერთ-ერთი ძლიერი მოთამაშე საერთაშორისო ასპარეზზე რაც დიდი დივიდენდია მომავალი განვითარებისთვის.

## საერთაშორისო კონფერენცია დამოუკიდებელი, კვალიფიციური და ეთიკური ადვოკატის პროფესიისთვის



2016 წლის 20-21 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლობის, ეთიკურობისა და კვალიფიკაციის შესახებ საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციას ქართული და საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციების ოცდაათზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო.

კონფერენცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მიმდინარეობდა.

კონფერენციის მხარდამჭერები იყვნენ ევროპის საბჭო, ევროკავშირი და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

კონფერენცია საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გახსნა. მონაწილეებს სიტყვით მიმართეს: ზაზა ხატიაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, კრისტიან ურსე - საქართველოში ევროპის

საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი, შომბი შარპი - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოქმედი ხელმძღვანელი საქართველოში, შტეფენ შთორტი - ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსის მოადგილე და ირაკლი ბურდული - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი.

ორი დღის განმავლობაში, კონფერენციის მონაწილეებმა ისაუბრეს ადვოკატების საერთო გამოწვევებზე და მიმოიხილეს ადვოკატთა საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყანაში. კონფერენციის დასასრულს შედგა ადვოკატთა მიერ შემუშავებული ერთობლივი დოკუმენტის წარდგენა, რომელიც შემდგომში გამოქვეყნდება, როგორც რეკომენდაციების კრებული ადვოკატთა პროფესიული გაერთიანებებისათვის. ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესების მეშვეობით შესაძლებელი გახდება მართლმსაჯულების ეფექტიანობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა მონაწილე ქვეყნებში.

# საერთაშორისო კონფერენცია-საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია-მიღწევები, გამოწვევები და სამომავლო გეგმები



8 ნოემბერს, ადვოკატის დღეს, სასტუმროში „ქორთიარდ მარიოტი“- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიღწევების, გამოწვევების და სამომავლო გეგმების შესახებ იმსჯელეს.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა, USAID-ის კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში პროექტის ხელმძღვანელმა (EWMI/PROLoG) გიორგი ჩხეიძემ და ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროექტის კოორდინატორმა რუსუდან ტუშურმა.

კონფერენციაზე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა ისაუბრა საქართველოში ადვოკატის პროფესიის თავისუფლებაზე და ადვოკატთა უფლებებზე; აღმასრულებელი საბჭოს წევრმა და საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა მონაწილეებს გაუზიარა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრში არსებული სიახლეები ადვოკატის გამოცდის, განგრძობადი იურიდიული განათლების, ეთიკის ონლაინ სწავლების და ახალი სასწავლო დარბაზების შესახებ; ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ქალბატონმა ციციანო ცხვედიანმა ისაუბრა ადვოკატთა

პროფესიულ ეთიკაში არსებულ პრაქტიკაზე და მათ წინაშე მდგარ გამოწვევებზე. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა და საერთაშორისო მდივანმა დავით ასათიანმა მონაწილეებს გააცნო ასოციაციის მიღწევები საერთაშორისო ურთიერთობის კუთხით.

მოხსენებების დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია, სადაც კონფერენციის მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებები მათთვის საინტერესო საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით.

კონფერენციას ესწრებოდნენ ადვოკატები, პარტნიორი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები.

ადვოკატის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია ყოველწლიურად იმართება და მას უკვე ბოლო რამდენიმე წელია მხარს უჭერს ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის-მართვისინსტიტუტის (EWMI) პროგრამა „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

## გიორგი მარგველაშვილი – ადვოკატებზე ნებისმიერ ზეწოლას განვიხილავ იმ ღირებულებებზე ზეწოლად, რომლის დაცვასაც კონსტიტუცია გვავალებს



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ადვოკატის დღესთან დაკავშირებით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ეწვია და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით განახლებული და აღჭურვილი სასწავლო ცენტრი გახსნა.

პროექტი “იურიდიულ პროფესიაში შესვლის, ახალი სტანდარტების დანერგვის რეფორმის მატერიალურ ტექნიკური მხარდაჭერა”, რომელიც პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა, მიზნად ისახავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციურ განვითარებასა და ადვოკატის სავალდებულო სტაჟირების სისტემის დანერგვის ხელშეწყობას.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ადვოკატთა ასოციაციისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს აღნიშნული პროექტის მხარდაჭერისა და განხორციელებისათვის და აღნიშნა, რომ ადვოკატთა სასწავლო ცენტრი ადვოკატთა კორპუსის გაძლიერებას ემსახურება, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ქვეყანაში შედგეს სამართლიანი საზოგადოება, სამართლიანი სასამართლო, შედგეს სამართლებრივი სახელმწიფო.

„ადვოკატის პროფესია, ძალიან ძლიერ მორალურ სიმტკიცეს მოითხოვს, რადგან თქვენ ითავისებთ ბრალდებულის პოზიციას და ცდილობთ საზოგადოებას და სახელმწიფოს დაუმტკიცოთ, რომ ყველა ბრალში არსებობს რაღაც გამამართლებელი პოზიცია.“

თქვენ იცავთ სწორედ იმას, რის დაცვასაც საქართველოს კონსტიტუცია მეც მავალებს - ადამიანის უფლებებს. ყველა ადამიანის უფლებაა მიიღოს სამართლიანი სასამართლო.

თქვენ ბევრი რამე გადაიტანეთ. ჩვენ გვსმენია იმ ადვოკატების შესახებ, რომელთაც სისტემა ხშირად ძალიან ბრუტალურად ექცეოდა და გვსმენია იმის შესახებაც, როგორ მტკიცედ ერთიანდებოდათ თქვენ მათ დასაცავად.

ეს ბუნებრივიცაა, რადგან საზოგადოებაში, რომელიც ვითარდება ხშირადაა გადაცდომები. მიხარია, რომ ის ადამიანები, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეები უნდა დაიცვან, თავიანთი პროფესიული ცოდნის ნაწილს აქ, ამ სასწავლო ცენტრში მიიღებენ.

გარკვეულწილად, ის საქმე და თანამშრომლობა, რომელიც ჩვენს შორის შედგა დაეხმარება მათ ემსახურონ მთავარს - ჰუმანური და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას, რომელშიც ადამიანები სამართალზე დაყრდნობით აშენებენ ძლიერ სახელმწიფოს“, - აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა ადვოკატთა ასოციაციაში სიტყვით გამოსვლისას.

საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაუდასტურა ადვოკატთა კორპუსს მისი პატივისცემა და მხარდაჭერა.

„ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც რაიმე ტიპის ზეწოლა იქნება ადვოკატებზე, თავიანთი საქმიანობის განხორციელების პროცესში, მე განსაკუთრებით მხარს გიჭერთ, თქვენს გვერდით ვდგავარ და მზად ვარ გავაკეთო შესაბამისი პოლიტიკური განცხადებები, რადგან ჩვენ ერთ საქმეს ვაკეთებთ.“

ჩემი ფუნდამენტური პასუხისმგებლობა საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვაშია, რეალურად, ყოველდღიურობაში კი, ამას ახორციელებთ თქვენ და თქვენზე ნებისმიერ ზეწოლას, მე განვიხილავ იმ ღირებულებებზე ზეწოლად, რომელთა დაცვასაც მეც და თქვენც გვავალებს კონსტიტუცია“, - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

სასწავლო ცენტრში სტუმრობისას გიორგი მარგველაშვილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატის პროფესიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენით დააჯილდოვა.

საქმე №058/15

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.07.2015

მომართვის ავტორი: სასამართლო

საპროცესო კოლეგია: მესამე დისციპლინური კოლეგია

სავარაუდო დარღვევა: სასამართლოსთან ქცევის წესები თლოს პატივისცემა

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრა

გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 01.10.2015

განხილვის კოლეგია: პირველი დისციპლინური კოლეგია

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

დისციპლინური სახდელის სახე: კერძო სარეკომენდაციო ბარათი

გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 10.06.2016

ფაქტობრივი გარემოებები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა სასამართლომ.

სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს თავმჯდომარეს წერილობით მიმართა ერთ-ერთი დასრულებული საქმის მხარის ადვოკატმა და განცხადებაში აღნიშნა: „მონინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი თავის მარწმუნებელსა და მოსამართლეს შორის არის შუამავალი, რასაც ვადასტურებ იმით, რომ სასამართლოს განხილვამდე მივიდა ჩემი კლიენტის ბინაში და განაცხადა, რომ ბინა გახდა მისი კლიენტის საკუთრება და ჩემი კლიენტის ოჯახი უნდა გამოსახლდეს ბინიდან. ამ ფაქტს ადასტურებენ მეზობლები.“ ადვოკატის პრეტენზია ასევე ეხებოდა იმას, რომ საქმის განხილველი პალატის ერთ-ერთი მოსამართლე შეიცვალა იმ დღეს, როცა სასამართლომ მიიღო განჩინება. ადვოკატი აღნიშნავს: „თუ მან არ იცის საქმის ვითარება, როგორ უნდა მოაწეროს ხელი გადაწყვეტილებაზე. დავრწმუნდი, რომ ეს აშკარა უკანონოა – საქმე არის ჩანყობილი ამ მოსამართლის მიერ, რაზედაც დათანხმდნენ დანარჩენი მოსამართლეები. აქედან გამოვიტანე დასკვნა, რომ თქვენი მოსამართლეები: ... და მისი შემადგენლობა არიან კორუმპირებულები, დაინტერესებულები არიან მართო თავის ჯიბეებზე და

არასამართლიან გამოტანილ კანონზე;“ „თქვენს გარშემო მუშაობენ მგლები, რომლებიც ფულის გულისთვის გაყიდვიან ყველას და ყველაფერს!! იმედი მაქვს, რომ სტრასბურგის სასამართლო უფრო კანონიერად განიხილავს ჩემი კლიენტის საჩივარს, ვიდრე „განთქმული“ თქვენი სასამართლო!“.

ადვოკატის განმარტებით, მისი რეაქცია გამოიწვია სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც მან არ ჩათვალა კანონიერად, გარდა ამისა, მას გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით დღემდე არ მიუღია. ადვოკატის განმარტებით „მგლების ხროვა“ გამოიყენა სტატიიდან, რომელშიც საუბარი იყო სასამართლოს თავმჯდომარის გარშემო არსებული პრობლემების თაობაზე. ადვოკატის შეფასებით განმარტებით, მის მიერ გარკვეულწილად დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ზედმეტი მოუვიდა, ვინაიდან გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმირებისას აღელდა და დაწერა სადაო განცხადება, თუმცა მიაჩნია, რომ განცხადებაში გარკვეული ვარაუდების გამოთქმა მისი უფლებაა.

**საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების შინაარსი**

საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა სასამართლოს თავმჯდომარისადმი მიმართულ განცხადებაში განწერა რა შემდეგი სიტყვები: „თქვენს გარშემო მუშაობენ მგლები, რომლებიც ფულის გულისთვის გაყიდვიან ყველას და ყველაფერს..“ „თქვენი მოსამართლეები: ... და მისი შემადგენლობა არიან კორუმპირებულები, დაინტერესებულები არიან მარტო თავის ჯიბეებზე“ დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის სიტყვები: ”საქმე არის ჩანყოფილი ამ მოსამართლის მიერ, რაზედაც დათანხმდნენ დანარჩენი მოსამართლეები“ და “იმედი მაქვს, რომ სტრასბურგის სასამართლო უფრო კანონიერად განიხილავს ჩემი კლიენტის საჩივარს, ვიდრე „განთქმული“ თქვენი სასამართლო!“ წარმოადგენს ნეგატიურ განცდას სასამართლოსადმი. შეიძლება ის არ არის საადვოკატო საქმიანობის ნაწილი, თუმცა მისი შეზღუდვა ეთიკის კომისიის მიერ უპირისპირდება სიტყვისა და აზრის გამოხატვის ფუნდამენტურ უფლებას და ასევე არ არის იმდენად მძიმე, რომ შეილახოს სასამართლოს ინტერესები. სიტყვები: „საქმე არის ჩანყოფილი“ და „განთქმული სასამართლო“ უფრო მეტად წარმოადგენს რიტორიკულ და სარკავზმულ კონტექსტს, რადგან მისი შინაარსი არ წარმოადგენს მატერიალურს, ფაქტობრივს, უფრო მეტად აბსტრაქტული და პათეტიკური ფორმით არის მოცემული, რის გამოც ისინი ვერ იქნებიან ადვოკატის პროფესიულ-არაეთიკური ქცევის საფუძველი. შესაბამისად ადვოკატის მიერ განცხადებაში გამოყენებული ფრაზების აღნიშნული ნაწილი დისციპლინური დევნის საფუძველი ვერ გახდება.

**ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების შინაარსი**

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატმა სასამართლოს თავმჯდომარისადმი მიმართულ განცხადებაში განწერა შემდეგი

სიტყვები: „თქვენს გარშემო მუშაობენ მგლები, რომლებიც ფულის გულისთვის გაყიდვიან ყველას და ყველაფერს..“ „თქვენი მოსამართლეები: ... და მისი შემადგენლობა არიან კორუმპირებულები, დაინტერესებულები არიან მარტო თავის ჯიბეებზე.“

**სამართლებრივი შეფასება**

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია სასამართლოსთან ქცევის წესები პატივისცემის პრინციპი.

კომისიის შეფასებით, ადვოკატი, როგორც პირთა კანონიერი ინტერესების გამტარებელი და უფლებების დამცველი, თავისი პროფესიით წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ნაწილს. მოცემულ პროცესში ადვოკატის საქმიანობის ინსტრუმენტებს წარმოადგენს პროფესიული უნარები, ნორმატიული და არანორმატიული ხასიათის აქტები და ყველა ის იურიდიული საშუალება, რომელიც მიმართულია ერთი მიზნისკენ - მოხდეს კლიენტის ინტერესების გათვალისწინება/დაცვა.

ადვოკატს ისევე როგორც ყველა სუბიექტს აქვს კრიტიკის უფლება, თუმცა განსხვავებით სხვა სუბიექტებისაგან იგი წარმოადგენს სპეციალურ პირს და მისი ნებისმიერი წერილობითი და ზეპირი მიმართვა შერჩეული ფორმით შეფასდება მისი მიზნობრიობისა და სასამართლო სისტემაში არსებული წესების დაცვაში.

საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება შებოჭილია პროფესიული ეთიკური ვალდებულებებითა და ქცევის ნორმებით, რომელთა დაცვა სავალდებულოა ადვოკატებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Kyprianou v. Cyprus* (განაცხადი: 73797/01, 15.12.2005) დაადგინა, რომ „ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს.“

ადვოკატს გააჩნდა შესაბამისი კომპეტენტურობა და კომპეტენციაც თუ როგორ/რა ფორმით უნდა ემოქმედა კლიენტის ინტერესებისათვის. „თქვენს გარშემო მუშაობენ მგლები, რომლებიც ფულის გულისთვის გაყიდვიან ყველას და ყველაფერს;“ „თქვენი მოსამართლეები: ... და მისი შემადგენ-

ლობა არიან კორუმპირებულები, დაინტერესებულები არიან მართო თავის ჯიბეებზე,” - ადვოკატის მიერ შედგენილი მიმართვის აღნიშნული ნაწილი არ ემსახურება არც პროფესიული საქმიანობის მიზანს და არც სამოქალაქო კრიტიკას. ადვოკატმა არ განახორციელა პროფესიული საქმიანობა, მეტიც ამ სიტყვებით მართლმსაჯულების სისტემა იმ ფორმით გააკრიტიკა, რომელიც არ გამომდინარეობს ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მიზნიდან (მოცემული არ წარმოადგენს კლიენტის კანონიერ ინტერესს), რის გამოც წარმოადგენს პროფესიულად შეუფერებელ ქცევას, სცილდება სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლებას, ლახავს სასამართლოს უფლებებს იყოს ნდობით აღჭურვილი საზოგადოების თითოეული სუბიექტის წინაშე.

წარმომადგენლობა, გამოხატული წერილობითი თუ ზეპირი ფორმით, კლიენტის ინტერესების დაცვას უნდა ემსახურებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნება საადვოკატო საქმიანობა. შესაძლებელია კორუმპირებულობის „იარლიყის“ მსგავსის დარქმევა ზოგჯერ ბრალდებასაც წარმოადგენდეს თუ მასზე არსებობს გონივრული ეჭვი და თუ მან კლიენტის კანონიერ ინტერესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა, შესაბამისად ად-

ვოკატი მოქმედებს ფუნდამენტური, საყოველთაო უფლებისათვის - კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, რაც არის მისი პროფესიული ფუნქციის შემადგენელი ნაწილი ანუ დასდოს ბრალი მესამე პირს ან საკითხის გადამწყვეტი უწყების წარმომადგენელს მატერიალურ ან არამატერიალურ კორუფციაში, თვითნებობაში, რა შემთხვევაში განსაკუთრებული უნდა იყოს. უნდა არსებობდეს კავშირი ამ ბრალდებასა და ადვოკატის კლიენტის ინტერესების რეალიზაციასთან, უნდა არსებობს გონივრული ეჭვი, რომ სწორედ კორუმპირებულმა მოქმედებამ გამოიწვია კლიენტის ინტერესების უარყოფა. ამას ემატება სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების მნიშვნელოვნების და უმაღლესი სტატუსის მქონე უწყების წინაშე მოქმედება, რა დროსაც ადვოკატს სასამართლოს წინაშე ბრალდების ხასიათის ან კრიტიკული მოსაზრების დაფიქსირებისას სიფრთხილე მართებს. ადვოკატმა უნდა გაანალიზოს რამდენად ემსახურება ის კლიენტის ინტერესებს ამ დროს და ამ ფორმით. მოცემულ შემთხვევაში, მომართვის ავტორთა მიმართ ამ პუნქტში ნახსენები ფრაზები არ ემსახურება საადვოკატო საქმიანობის მიზანს, სცდება მას და არღვევს სასამართლოსთან მოქცევის პროფესიულ წესებს.

## ეთიკის კომისიის

### რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

**მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

პავლე აბაიაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი

ნელი ვარდიაშვილი – კოლეგიის წევრი

**შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.04.2016**

**შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 005/16**

#### შეკითხვა:

მოქალაქე არის სოციალურად დაუცველი პირი, მან მიმართა სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურს“ სასამართლოს მიერ მისი შვილის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისათვის (მისი შვილი არის პენსიონერი რომელიც ვერ იღებს პენსიას და აუცილებელია დაენიშნოს მხარდამჭერი). იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაიცა ორდერი, რომლითაც ადვოკატს დაევალა მხარდასაჭერი პირის ინტერესების დაცვა. ორდერის გაცემის შემდეგ, ადვოკატი მოქალაქე „ა“-ს (მშობელს) დაეხმარა დოკუმენტების შეგროვებაში, გაუწია იურიდიული კონსულტაცია, თუ როგორ უნდა გახდეს მისი შვილის მხარდამჭერი და მოუმზადა სასამართლოში წარსადგენი განცხადება შვილის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ. განცხადება სასამართლომ მიიღო წარმოებაში და განსაზღვრა დროებითი მხარდამჭერის დასანიშნი სხდომის თარიღი.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო სხდომაზე, ადვოკატის მხრიდან ისეთი პირის წარმოდგენა, რომლის მხარდამჭერად ცნობის შესახებ განცხადებაც მისი შედგენილია გამოიწვევს თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევას .

აღნიშნულ კითხვასთან მიმართებით გასათვალისწინებელია შემდეგი ორი გარემოება: ა)დროებითი მხარდამჭერის დანიშვნის შესახებ სასამართლო სხდომა იმართება ისე რომ ექსპერტიზა არ ტარდება. მას შემდეგ, რაც დაინიშნება დროე-

ბითი მხარდამჭერი, საქმის მასალები იგზავნება ექსპერტიზაზე, იმის გასარკვევად მხარდამჭერის დაწესების გაგრძელების აუცილებლობა არსებობს თუ არა და ა.შ.

ბ) რიგ შემთხვევაში, შეიძლება მხარდასაჭერი პირის ინტერესები და მხარდამჭერი პირის ინტერესები არ შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

#### ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილი: „ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე

და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე“.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში №015/10 კლიენტის ინტერესების დაცვის დროს წარმოშობილ ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებზე აღნიშნა, რომ: „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს“.

ადვოკატი, რომელიც პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს კლიენტებთან, ვალდებულია შეწყვიტოს საქმიანობა ნდობის დარღვევისა და დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკის არსებობისას. ასევე, საქმისწარმოების იმ სტადიაზე, რომელზეც ამ კლიენტთა შორის წარმოიშობა კონფლიქტი. გარკვეულ შემთხვევებში, ადვოკატმა თავად უნდა განსაზღვროს როდის არის შესაძლებელი რომ წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე. ეს არის ადვოკატის პროფესიული რისკი. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ხედავს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის საფრთხე, ეთიკის კოდექსი ავალდებულებს მას მიიღოს სათანადო ზომები.

შეკითხვიდან ირკვევა, რომ ადვოკატს „იურიდიული დახმარების სამსახურის“ მიერ გაცემული ორდერის საფუძველზე დაევალა მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხზე მოქალაქე „ა“-ს დახმარება.

ადვოკატმა მოქალაქე „ა“-ს გაუწია იურიდიული მომსახურება იმის თაობაზე, თუ როგორ მიენიჭოს მის შვილს მხარდაჭერის მიმღების სტატუსი და როგორ გახდეს მოქალაქე „ა“ მისი შვილის მხარდაჭერი. ადვოკატმა მოქალაქე „ა“-ს დაუწერა სასამართლოში წარსადგენი განცხადება - მისი შვილის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე და ამავდროულად, შეადგინა განცხა-

დება მოქალაქე „ა“-ს მხარდაჭერად ცნობის თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ, მოქალაქე „ა“-სა და მისი შვილის ინტერესების სასამართლოში ერთდროულად წარმოდგენამ, შესაძლოა შექმნას ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე კლიენტებს შორის, რადგან მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესები შესაძლოა არ ემთხვეოდეს იმ პირის ინტერესებს, რომელსაც სურს იყოს მხარდაჭერი პირი. აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებელია, მხარდაჭერის მიმღებ პირს არ მიენიჭოს აღნიშნული სტატუსი, რადგან მოცემულ შემთხვევაში, აუცილებელია არსებობდეს ექსპერტიზის დასკვნა პირის ფსიქიკური მდგომარეობის და სოციალური ადაპტაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა დადასტურდეს ის გარემოება, რომ აღნიშნულ პირს ნამდვილად სჭირდება მხარდაჭერი შესაბამისი მოქმედებების განსახორციელებლად. სსსკ-ის 36322-ე მუხლის მიხედვით, „პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით წარმოება წყდება, თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა უარყოფითია“.

**დასკვნა:**

ადვოკატის მიერ მხარდაჭერის მიმღებისა და აგრეთვე, იმ პირის წარმომადგენლობის განხორციელება, რომელსაც სურს იყოს მხარდაჭერი, შესაძლოა წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტი, ან შეიქმნას ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე.

**რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.**

**კოლეგიის თავმჯდომარე:** პავლე აბაიძე/

**კოლეგიის წევრი:** თეა ჭეიშვილი

**კოლეგიის წევრი:** ნელი ვარდიაშვილი



## ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის 2016 წლის სამოქმედო გეგმა, პრიორიტეტები და შესრულებული სამუშაო

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის 2016 წლის სამოქმედო გეგმა მრავალფეროვნად განახლებულია. ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრმა ყოველმხრივ უზრუნველყო საგანმანათლებლო პროცესი და მისი ძირითადი პრიორიტეტები იყო ქვემოთ აღნიშნული ამოცანები: სწავლების მეთოდოლოგიის განვითარება, ადვოკატებისათვის განკუთვნილი პროფესიული საკითხების გათვალისწინებით საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებზე აქტუალური თემების შერჩევა, ადვოკატთა კურსების ორგანიზების მთავარი ამოცანაა თანამედროვე პროცესების გათვალისწინებით სასწავლო მოდულების განახლება, დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიის განვითარება და აქტიური გამოყენება, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში 300-მდე საგანმანათლებლო ღონისძიების/ტრენინგის ორგანიზება, სწავლების პროცესში ადვოკატთა მოტივაციის გაზრდა და ხელშეწყობა, ახლად განვერტიანებული ადვოკატებისთვის სწავლების სისტემისა და პროგრამის შემუშავება, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისა და აგრეთვე გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსების ორგანიზება, სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, საგრანტო შესაძლებლობების იდენტიფიცირება და პროექტების განხორციელება.

### განგრძობადი იურიდიული განათლება

2016 წელს, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, 306 საგანმანათლებლო ღონისძიება ჩატარდა. ტრენინგებზე 44 სხვადასხვა თემა დამუშავდა, ეს არის:

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; მტკიცებითი პროცესის პრობლემური საკითხები; ადვოკატთა პროფესიული ეთიკა; ადამიანის

უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები; ხელშეკრულებიდან გასვლა; საგადასახადო სამართალი; სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის საკითხები; მტკიცებულებითი პროცესის პრობლემური საკითხები; სასამართლოში წარსადგენი განაცხადის ახალი ფორმისა და სარჩელების დასაშვებობის კრიტერიუმები; ექსპერტიზის როლი და შესაძლებლობები მართლმსაჯულების განხორციელებაში; მედიაცია; თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში/ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექსტრადიცია; მტკიცებულებების დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში; ქონების რეგისტრაცია; საავტორო სამართალი; ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში; საბანკო გარანტია; ფულადი ვალდებულებები; ინტელექტუალური სამართალი; სახელშეკრულებო სამართალი; იურიდიული დასკვნის სტილი და გადაწყვეტილების სტილი; შშმ პირთა უფლებები; მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში; სამენარმეო სამართალი; დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები; ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი; ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები; თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ევროკავშირთან საქართველოს ასოციირების საკითხები; საარბიტრაჟო განხილვის თავისებურებანი და უპირატესობები; ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), მის წინააღმდეგ ბრძოლა, რეფერირების სისტემა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები; სამართლებრივი წერა; პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება/მონაცემები; წინასასამართლო სხდომა მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში; ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები; საკუთრების სამართალთან დაკავშირებული სა-

კითხვები; დაკავება და აღკვეთის ღონისძიებები; საერთაშორისო შრომითი სტანდარტები და საქართველოს შრომის კოდექსი; ნაფიცი მსაჯულები; საქმის არსებითი განხილვა; მოწმის დაკითხვის ახალი წესი; ეკონომიკური დანაშაულები; სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში; პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებისა და რელიგიის თავისუფლება; სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სტანდარტები; აღსრულების პრობლემური საკითხები.

### მიმდინარე პროექტები და პარტნიორი ორგანიზაციები

**1. USAID/PROLoG** – პროექტი მხარს უჭერს შემდეგ საქმიანობას: ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები, განგრძობადი იურიდიული განათლება, დისტანციურის ნავლება, Bench Bar-ი, სტაჟირების სისტემა და ეთიკის კომისია. პროექტის განხორციელების პერიოდში, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების სისტემის დახვეწისა და განვითარების მიზნით, დაგეგმილია სასწავლო ცენტრის, საგანმანათლებლო საბჭოს წევრებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენელთა მჭიდრო კომუნიკაცია; გაზაფხულის საკვალიფიკაციო გამოცდების შემდეგ, სტატისტიკური მონაცემების პრეზენტაციისთვის, უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება. აგრეთვე საგამოცდო პროგრამის შემუშავების მიზნით, საგანმანათლებლო საბჭოს შეხვედრების ორგანიზება. გაზაფხულის საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის საგამოცდო კითხვების/ტესტების სანიმუშო კრებულის გამოცემა, რათა გამოცდის მონაწილეებს წინასწარ ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ გამოცდაზე ჩასაბარებელი ტესტების სპეციფიკასა და სტრუქტურას.

პროექტის განგრძობადი იურიდიული განათლების კომპონენტი ითვალისწინებს სამი ახალი სასწავლო მოდულის შემუშავების და ტრენინგთა ტრენინგების ჩატარებას, რის შემდეგაც სასწავლო ცენტრი ადვოკატებისათვის ორგანიზებას გაუწევს და ჩაატარებს ტრენინგებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

პროექტის ფარგლებში დისტანციური სწავლების განვითარების და გაძლიერების მიზნით, პროფესიული ეთიკის საკითხებზე ჩაინერება

ვიდეოტრენინგი და ადვოკატთა ასოციაციის წევრები შეძლებენ online პლატფორმის მეშვეობით, დისტანციური სწავლების მეთოდით ეთიკის სავალდებულო ტრენინგის გავლას და 2017 წლის კრედიტ-საათების დაგროვებას.

პროექტში დაგეგმილია იურიდიული პროფესიის აქტუალურ საკითხებზე ექვსი Bench Bar-ის (მრგვალი მაგიდის ფორმატის ღონისძიების) ორგანიზება, სადაც მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენელთა: ადვოკატთა, მოსამართლეთა და პროკურორთა მონაწილეობით დისკუსია გაიმართება.

სტაჟირების სისტემის განვითარებისათვის პროექტი მხარს დაუჭერს სტაჟირების რეგულაციის/წესის, სასწავლო პროგრამისა და მოდულების შემუშავებას და დახვეწას. ამ მიმართულებით აქტივობების დაგეგმვას დაშეხვედრების ჩატარებას.

ეთიკის კომისიის მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესებისა და ეთიკის კომისიის ბაზაზე იურიდიულ იკლინიკის დანერგვისთვის, პროექტის განხორციელების პერიოდში დაგეგმილია იურიდიული კლინიკის ხელშეწყობა და იმიტირებული პროცესების დარბაზის მოწყობისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა.

**2. UNDP** ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ გაეროს განვითარების პროგრამამ – მხარს უჭერს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და მის სასწავლო ცენტრს შემდეგი მიმართულებებით: ინსტიტუციური განვითარება, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში ადვოკატებისთვის საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება, სასწავლო ცენტრის ინტელექტუალური საკუთრების გაზრდა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა ადვოკატთა სწავლებისთვის განსაზღვრული ხუთი ახალი სასწავლო მოდული შემდეგ თემატიკაზე: 1) სამედიცინო დავების განხილვის პრობლემური საკითხები; 2) სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სა-

სამართლოებში; 3) მონეკლადი ჯგუფების მიერ პირადი ცხოვრების უფლებისა და რელიგიის თავისუფლების ჯეროვნად სარგებლობა; 4) მონმის დაკითხვის ახალი წესი; 5) ეკონომიკური დანაშაულები.

პროექტის მიმდინარეობისას, საგანმანათლებლო პროცესში ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ჩართვის მიზნით, მოხდა ტრენერ-ადვოკატთა შერჩევა და ტრენერთა უნარ-ჩვევებში გადამზადება. ტრენერთა ტრენინგის მონაწილეებმა პროექტის მხარდაჭერით შემუშავებული, ახალი სასწავლო მოდულების მიხედვით, გაიარეს სწავლებას – ჯამში 46 ტრენერი გადამზადდა.

ამავე პროექტის ფარგლებში სასწავლო ცენტრმა ორგანიზება გაუწია ადვოკატთა ტრენინგებს უკვე არსებული სასწავლო მოდულების მიხედვითაც თემებზე: სახელმეკრულებო სამართალი, ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში და საგადასახადო სამართალი; ტრენინგები ჩატარდა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

პროექტის ფარგლებში სასწავლო ცენტრმა ასევე ორგანიზება გაუწია და ჩატარა ტრენინგები იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისათვის თემებზე: 1) მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ; 2) წინასასამართლო სხდომა მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში; 3) დაკავება და აღკვეთის ღონისძიებები; 4) საქმის არსებითი განხილვა.

3. UNWOMEN -პროექტის ფარგლებში შემუშავდა სასწავლო მოდული თემაზე: „ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები“. ახალი მოდულის მიხედვით მოხდა ტრენერთა გადამზადება და ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის, მათ შორის, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა ტრენინგების ორგანიზება.

**ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები**

2016 წლის, 2, 3, 9 და 10 ივნისს ჩანიშნულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებზე 819 აპლიკანტი დარეგისტრირდა – სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის განხრით - 413, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით - 274 და საერთო სპეციალიზაციით - 132 მონაწილე. გამოცდები თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საგამოც-

დო ცენტრში, ელექტრონული სისტემით ჩატარდა. გამოცდა წარმატებით ჩააბარა აპლიკანტთა 27%-მა.

2016 წლის 9, 10, 11, 12 და 13 დეკემბერს ჩანიშნულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებზე 863-მა იურისტმა გაიარა რეგისტრაცია – სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით - 427-მა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით - 257-მა და საერთო სპეციალიზაციით - 179-მა.

**გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსები**

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსების მონაწილეებს სთავაზობს გამოცდის თეორიული მასალის, უახლესი საკანონმდებლო ცვლილებებისა და ტესტის/კაზუსის ამოხსნის მეთოდების შესწავლას. კურსებზე სწავლება სამი სპეციალიზაციის, სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის განხრით მიმდინარეობს. 2016 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო კურსებზე გამოცდისთვის, 123 აპლიკანტი მოემზადა. მოსამზადებელ კურსებზე ლექციებს უძღვებოდნენ მონვეული ლექტორები: ირმა ხარშილაძე, ლევან ჯანაშია, ირაკლი დვალაძე, ბესიკ სისვაძე, ნინო ბოჭორიშვილი, სერგო ჯორბენაძე, გოგა კუპრეიშვილი და თამარ გაბისონია.

**სასწავლო ცენტრის ვებგვერდი**

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ვებ გვერდზე [edu.gba.ge](http://edu.gba.ge) მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს დეტალური ინფორმაცია საგანმანათლებლო ღონისძიებების, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების, გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსების, რეგულაციებისა და განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი სიახლეების შესახებ.

(+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

[education@gba.ge](mailto:education@gba.ge)

[sascavlocentri@gba.ge](mailto:sascavlocentri@gba.ge)

## მედიაცია სადაც დავა შეთანხმებით სრულდება!

### 1. რა არის მედიაცია?

*ორი და დაობს ფორთოხალზე, რომელიც მათ მემკვიდრეობით ერგოთ. ორივე თავგამოდებით იბრძვის მის მისაღებად და არც ერთს სურს დათმობა.*

*თუ მივმართავთ დავის გადაწყვეტის ტრადიციულ მეთოდს, ფორთოხალი გაიყოფა შუაზე, ორ ტოლ ნაწილად და თითოეული მიიღებს თანაბრად ანუ ნახევარს.*

*მედიაციის პრინციპი კი სხვაგვარია და ტრადიციულისაგან იმით განსხვავდება, რომ სვამს კითხვას: რატომ უნდათ დებს ასე დაჟინებით ფორთოხალი?*

*ერთი მათგანი ამ შეკითხვას პასუხობს იმით, რომ მას ფორთოხლის წვენი სჭირდება, ხოლო მეორე ამბობს, რომ მას ცედრა სურს ნამცხვრის გამოსაცხობად.*

*ოპტიმალური შედეგი სახეზეა - ფორთოხლის წვენს მიიღებს ერთი და, ხოლო კანს - მეორე.*

*ტრადიციული მეთოდიც სამართლიან შედეგამდე მიგვიყვანდა (ორივე დას თანაბარი წილი ერგებოდა მემკვიდრეობიდან), თუმცა იგი არ იქნებოდა სასურველი ანუ მათი (დების - მემკვიდრეების) რეალური და მამოძრავებელი ინტერესების შესატყვისი.*

- მედიაცია არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც მიმართულია ნებისმიერი სახის კონფლიქტის გადაჭრაზე მოლაპარაკებების გზით. ეს არის კონფლიქტის მოგვარება დამარცხების გარეშე.
- მედიატორი არის ნეიტრალური, დამოუკიდებელი და სათანადო უნარებით აღჭურვილი ადამიანი, რომლის ამოცანაა, დაეხმაროს მოდავე მხარეებს დიალოგის წარმართვაში და ამ გზით ორივესთვის ოპტიმალური და მისაღები შედეგის ძიებაში.

### 2. მედიაციის უპირატესობები /რატომ მივმართო მედიაციას?

- მედიაცია დავის გადაწყვეტის ის საშუალებაა, სადაც **გადაწყვეტილებას იღებენ თვითონ (და მხოლოდ) მხარეები;**
- მედიაციის შედეგად მიღწეული **შეთანხმება ყოველთვის ორივე მხარის ინტერესების შესაბამისია.**
- მედიაცია **არაფორმალური პროცესია**, არ არის შებოჭილი პროცედურებით და აძლევს საშუალებას მხარეებს თავისუფლად განსაზღვრონ განსახილველი საკითხები, მიუთითონ საკუთარ ინტერესებზე და გამოსატონ ემოციები;
- მედიაციის შედეგად მოდავე მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა აღმოფხვრან უთანხმოება და **გააგრძელონ მშვიდობიანი ურთიერთობა;**
- მედიაციის პროცესი სრულად **კონფიდენციალურია**. მედიატორს და მხარეებს არ აქვთ უფლება გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას. ამასთან, მედიაციის პროცესში კონფიდენციალობის პირობით გამჟღავნებული ინფორმაცია და დოკუმენტები წარმოადგენენ დაუშვებელ მტკიცებულებას სასამართლოში. მედიატორი არ შეიძლება იქნას დაკითხული იმ საქმეზე, რომელზეც იგი ახორციელებდა მედიაციას;
- მედიაციის შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს **მნიშვნელოვან შეღავათებს სახელმწიფო ბაჟის კუთხით**. კერძოდ ნაცვლად 3%-ისა, რომელსაც მხარე იხდის დავის სასამართლოში (მხოლოდ პირველ ინსტანციაში) განხილვის შემთხვევაში, მედიაციის შემთხვევაში, მხარეს მხოლოდ 1%-ის გადახდა უწევს, საიდანაც 70% უკან დაუბრუნდება თუკი დავა შეთანხმებით დასრულდა;
- მედიაციის პროცესში მიღწეული **შეთანხმება** შეიძლება დამტკიცდეს სასამართლოს მიერ

და ამგვარად დაექვემდებაროს აღსრულებას; შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს საერთო წესების დაცვით;

- მხარეს უფლება აქვს ჰყავდეს წარმომადგენელი მედიაციის პროცესში;
- მედიაციაში „წაგება“ გამორიცხულია!

### 3. როდის და როგორ მივმართო მედიაციას?

#### ა) როდის

სასამართლო მედიაცია შეიძლება განხორციელდეს სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

#### ბ) როგორ

საქართველოს კანონდებლობა<sup>13</sup> აწესებს სავალდებულო მედიაციას საოჯახო (გარდა შვილად აყვანასთან და მშობელთა უფლებებთან დაკავშირებული საქმეებისა), სამემკვიდრეო და სამეზობლო დავებზე. მედიაციის *სავალდებულობა* ნიშნავს, რომ ამ კატეგორიის დავებზე სასამართლომ შეიძლება თავად გადაამისამართოთ მედიატორთან.

აღნიშნული, ასევე ნებისმიერი სხვა კატეგორიის დავა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით (*ნებაყოფლობით*) დაექვემდებაროს სასამართლო მედიაციას.

მედიაციის განხორციელების სურვილსა და მზაობაზე შეგიძლიათ მიუთითოთ სასარჩელო განაცხადის ფორმაში, მიმართოთ სასამართლოს წერილობითი განცხადებით/შუამდგომლობით ან განაცხადოთ სასამართლო სხდომის დარბაზში, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. დამატებითი აქტუალური ინფორმაციისათვის გაეცანით ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდს: <http://www.tcc.gov.ge>

<sup>13</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსი XXI1 თავი (1873-ე მუხლი)

## მედიაცია – დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა საქართველოში



ირაკლი ყანდაშვილი<sup>1</sup>

ანებმა მიიღონ იმ სახის გადაწყვეტილებები, რაც საკითხის არსებითად გადაწყვეტისკენ იქნება მიმართული ნაცვლად ხანგრძლივადიანი სასამართლო პროცესებისა, ასეთ დროს მედიაციის განვითარებამ დადებითი როლი უნდა შეასრულოს, თუმცა ეს მხოლოდ მაშინ მოხდება თუ სათანადო განვითარების პირობებს შექმნის სახელმწიფო (სამართლებრივი რეგულირების კუთხით), საზოგადოება და ამ პროცესში ჩართული ყველა აქტორი, თუმცა უპირველესად მნიშვნელოვანია მოხდეს ახალი სამართლებრივი ინსტიტუტის პოპულარიზაცია და რიგით „მომხმარებელამდე“, ანუ მოქალაქეებამდე და იურიდიულ პირებამდე ინსტიტუტის შესახებ სრული ინფორმაციის ამომწურავად მიტანა.

### I. შესავალი

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი სიახლეა ქართულ სამართლებრივ სივრცეში. მედიაცია ადამიანის უფლებების დაცვის ახალი ინსტიტუტია ქართულ კანონმდებლობაში, რომლის გამოყენებით კიდევ უფრო ეფექტურად და სწრაფად უნდა შეძლონ მოდავე მხარეებმა ერთმანეთს შორის არსებული კონფლიქტის გადაწყვეტა<sup>2</sup>.

საქართველოში როდესაც ესოდენ დიდია სასამართლოსადმი მიმართვიანობის სტატისტიკა და მეორე მხრივ, შეიმჩნევა დეფიციტი ნდობისა ქართულ საზოგადოებაში ერთმანეთის მიმართ, მაშინ როდესაც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია ადამი-

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული სხვა საშუალებებისაგან განსხვავებით მედიაციის უპირველესი მიზანი არის მხარეთა შორის უთანხმოების აღმოფხვრა თავად მხარეთა ხელით და უშუალო ჩართულობით, როდესაც მხარეები იღებენ თავად გადაწყვეტილებას და მათი მხოლოდ სურვილის აღმსრულებელი უნდა იყოს მედიატორი, რომელიც თავის მხრივ, სპეციალური ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი პირია, რომელიც მხარეთა პოზიციებს აახლოებს ერთმანეთთან, ანახვებს მოდავე მხარეებს დავის დროულად და ნაკლები დანახარჯით გადაწყვეტის დადებით მხარეებს, სხვა სიტყვებით, რომ ითქვას მედიაცია მოლაპარაკებების პროცესის ხელშეწყობაა, მისი თანმდევი პროცესია<sup>3</sup>. მეორე მხრივ, გამომდინარე იქიდან, რომ მედიაცია არ

1 ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს წევრი; სასამართლო მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი; პირველი კოლექტიური შრომითი დავის მედიატორი საქართველოში; ლიცენზირებული მედიატორი; იურიდიული ფირმა K&K Consulting-ს მმართველი პარტნიორი; მედიაციის კანონის პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრი;

2 ყანდაშვილი, ირაკლი, მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება: შრომითი მედიაციის მაგალითზე, თბ.2014,200-208

3 Stitt, Allan J. Mediation: a practical Guide, `Cavendish Publishing`, London/Sydney/Portland/Oregon/2004,p.1

არის აუცილებელი, რათა დამთავრდეს მორიგებით, ეს მექანიზმი უნდა იქნეს გამოყენებული როგორც სასამართლო დავის ასევე არბიტრაციის რეალურ დაწყებამდე, რათა მოდავე მხარეებს შეეძლოთ რეალურად გაერკვნენ ერთმანეთის ინტერესებში და რეალურ სურვილებში და თუ ვერ აღწევენ შეთანხმებას სადავო საკითხებზე მხოლოდ მაშინ დაიწყონ სასამართლო პროცესი ანუ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიების წაყენება, რა დროსაც გადაწყვეტილების მიმღები უკვე მხარე აღარ იქნება იმ ფორმით და შინაარსით, რის საშუალებასაც იძლევა მედიაციის პროცესი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დოქტრინისეულად მედიაცია მოიაზრება, როგორც წინარე პერიოდ<sup>4</sup> სასამართლო ან საარბიტრაჟო პროცესების დაწყებამდე<sup>5</sup>.

2012 წლის 1 იანვრიდან მედიაციის ერთ-ერთი ფორმა, როგორცაა სავალდებულო სასამართლო მედიაცია დე იურე ამოქმედდა, შევიდა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში სათანადო ცვლილებები და დამატებები და კერძოდ, კანონს დაემატა XXI თავი, რომელმაც რიგ კატეგორიის სამოქალაქო დავებზე დაუშვა საკითხის მედიაციის გზით გადაწყვეტა<sup>6</sup>. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ერთიანი საკანონმდებლო აქტი, ერთგვარი სამართლებრივი ჩარჩო რეგულატორი ამ ინსტიტუტისა არ შექმნილა, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები გახდა ბიძგი მედიაციის მათ შორის არასასამართლო მედიაციის განვითარებისა საქართველოში<sup>7</sup>.

აღსანიშნავია, რომ მხარეებს არც არასდროს ეკრძალებოდათ ერთმანეთს შორის არსებული უთანხმოების მორიგებით დასრულება და შეთანხმებელი პროცედურების განხორციელებით საკითხის მშვიდობიანი რეგულაცია, თუმცა როდესაც აღნიშნული გამოსავალი არ იყო სამართლებრივად რეგულირებული უნდა ვივარაუდოთ რომ მსგავსი საშუალების გამოყენების ფაქტებიც მცირედად შეიმჩნეოდა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 1 იანვარს ამოქმედებული სასამართლო მედიაციის ნორმებმა ავტომატურად დაუშვეს არასასამართლო მედიაციის ფართოდ გამოყენება და პარალელურ რეჟიმში მედიაციის მექანიზმი დაინერგა სანოტარო, სააღსრულებო, სამედიცინო საქმის წარმოებაში და ბოლოს შრომის კოდექსმა გაითვალისწინა კოლექტიური შრომით დავების გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად.

უნდა აღინიშნოს, რომ მედიაცია სრულებით არ არის ახალი ქართული გენისთვის, მას დიდი ისტორიული ფესვები გააჩნია საქართველოში, კერძოდ, სამედიატორო სასამართლო საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ ეტაპზე იყო ქართული სამართლებრივი კულტურის ნაწილი<sup>8</sup>.

დღეისთვის სამართლებრივი თვალსაზრისით დიდი გამოწვევის წინაშე დგას მედიაციის ინსტიტუტი, დღის წესრიგში აქტუალურად დგას მედიაციის მარეგულირებელი ერთიანი საკანონმდებლო აქტის მიღების საჭიროება, რამაც უნდა განსაზღვროს მედიაციის ხვალისდელი დღე საქართველოში.

4 ცერცვაძე, გიორგი, მედიაცია,გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010წ. გვ.34.

5 Goldsmith, J.C./Ingen-Housz,Arnold/Pointon,Gerald,H (Editors)ADR in Business, Practice and Issues across Countries and Cultures, `Kluwer Law International`, New-York, 2006

6 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1871 მუხლის თანახმად სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე შეიძლება გადაეცეს მედიატორს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით, ხოლო 187iii -ე მუხლის თანახმად სასამართლო მედიაცია შეიძლება გავრცელდეს:

ა) საოჯახო სამართლებრივ დავებზე, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა;

ბ) სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე;

გ) სამემობლო სამართლებრივ დავებზე;

7 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187iii- ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტმა მედიაცია დაუშვა ნებისმიერი კატეგორიის დავაზე, თუ აღნიშნულზე მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას, რა შემთხვევაშიც იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად დავა მედიატორს შეიძლება გადაეცეს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

8 ტყემალაძე, სოფიო, მედიაცია საქართველოში, თბ. 2016. გვ.13;

## II. მედიაციის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმის, განმასხვავებელი ნიშნები სასამართლო პროცესისა და არბიტრაჯისგან

მედიაციას ახასიათებს რიგი უპირატესობანი, რის შესახებ აუცილებელია საზოგადოების სრულყოფილი ინფორმირება ამა თუ იმ ფორმით, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში, სადაც მათ შორის არც სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოება განსაკუთრებით მაღალი ნდობით არ გამოირჩევა, რთულია დაინერგოს სასამართლოს ალტერნატიული დავის გადაწყვეტის მექანიზმები, თუ ერთი მხრივ, მას არ ახასიათებს სასამართლო პროცესისაგან განსხვავებით უპირატესობანი და მეორე მხრივ, მათ შესახებ დავის პოტენციურ მხარეებს ანუ თითოეულ საზოგადოების წევრს, ისევე როგორც ბიზნესის წარმომადგენლებს არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია მედიაციის თაობაზე.

მედიაციის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ის სასამართლო პროცესისგან განსხვავებით აბსოლიტურად არაფორმალური „პროცესია“, რომელიც არ არის შებოჭილი პროცედურით და ორიენტირებულია მხარეთა ინტერესზე, მხარეების პროაქტიულ ქმედებებზე თავად გამოკვეთონ ურთიერთსასარგებლო პოზიციები და მიაღწიონ შეთანხმებას, ანუ სასამართლო პროცესისგან და არბიტრაჯისგან განსხვავებით სადაც შესაბამისად სასამართლო და არბიტრი იღებენ სავალდებულო სახით გადაწყვეტილებას, მედიაციის დროს სავალდებულო არ არის საბოლოო შეთანხმების მიღწევა, ხოლო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ეს შედეგი ორივე მხარის ინტერესების შესაბამისია და მხარეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა, რაც მხარეებში ამძაფრებს საკუთარი ხელით მიღებული გადაწყვეტილებისადმი საკუთრებით აღქმას და ორმხრივ კმაყოფილებას პროცესისადმი, რომლის შედეგად მოდავე მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი ხელით აღმოფხვრან უთანხმოება და გააგრძელონ მშვიდობიანი და საქმიანი სამომავლო ურთიერთობა.

მედიაცია სრულად კონფიდენციალურია. მედიატორს და მხარეებს არ აქვთ უფლება გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა მედიაციის მიმდინარეობისას. ამასთან, მედიაციის ფარგლებში კონფიდენციალობის პირობით გამჟღავნებული ინფორმაცია და დოკუმენტები წარმოადგენენ დაუშვებელ მტკიცებულებას სასამართლოში. აქვე აღსანიშნავია, რომ მედიატორი, რომელიც ამ ყიველივეს ფასილიტაციას ანხორციელებს და ეხმარება მხარეებს საკუთარი ხელით შექმნან მომავალი, არ შეიძლება იქნას დაკითხული იმ საქმეზე, რომელზეც იგი ანხორციელებდა მედიაციას;

ზემოაღნიშნულ პოზიტიურ მხარეებთან ერთად მედიაცია<sup>9</sup> გაცილებით შეღავათიანი ფორმაა დავის გადაწყვეტისა მხარეებს შორის, კერძოდ, მედიაციის შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან შეღავათებს სახელმწიფო ბაჟის კუთხით. კერძოდ ნაცვლად 3%-ისა, რომელსაც მხარე იხდის დავის სასამართლოში (მხოლოდ პირველ ინსტანციაში) განხილვის შემთხვევაში, მედიაციის შემთხვევაში, მხარეს მხოლოდ 1%-ის გადახდა უწევს, საიდანაც 70% უკან დაუბრუნდება თუკი დავა შეთანხმებით დასრულდება;

აქვე ისიც, უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციაში მიღწეული შეთანხმება შეიძლება დამტკიცდეს სასამართლოს მიერ და ამგვარად დაექვემდებაროს აღსრულებას; ხოლო, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარე არ კარგავს კონსტიტუციურ უფლებას მიმართოს სასამართლოს საერთო წესების დაცვით; აღსანიშნავია, რომ მედიაციის ეფექტურობის გაზრდის მიზნით აქტუალობას არ კარგავს მედიაციის მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო დოკუმენტის მიღების საჭიროება, რაც მათ შორის გაზრდის სამედიაციო შეთანხმებების, მათ შორის, არასასამართლო მედიაციის შემთხვევების, აღსრულების ეფექტური მექანიზმის შესაძლებლობას, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

9 ტერმინ მედიაციაში (ამ კონკრეტულ შემთხვევაში) იგულისხმება სავალდებულო სასამართლო მედიაცია.

### III. მედიაცია : დერეგულირებიდან რეგულირების მიმართულებით

დღეის მდგომარეობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის შემდგომი განვითარების და ინსტიტუციონალური კუთხით ქართულ სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრების აუცილებელ წინაპირობას მედიაციის თაობაზე ჩარჩო საკანონმდებლო მარეგულირებელი დოკუმენტის მიღება წარმოადგენს, რაც გახდება გარანტი, როგორც სასამართლო მედიაციის, ასევე არასასამართლო, კომერციული მედიაციის ფართო გამოყენების საქართველოში.

დღეის მდგომარეობით ფაქტობრივ არ არსებობს რეგულირება არასასამართლო მედიაციის ფორმატში მიღწეული შეთანხმების აღსრულების პროცედურისა, რაც საშუალებას არ აძლევს ბიზნესს სექტორს, რეალურად ისარგებლონ დავის შემთხვევაში ისეთი არაფორმალური, თუმცა მათთვის მომგებიანი პროცესით, როგორც არის მედიაცია, ამასთანავე, ფაქტობრივ არ არსებობს მედიატორთა ერთიანი რეესტრი, სტანდარტები იმისა, თუ ვინ არის ან უნდა იყოს მედიატორი, ფაქტობრივ არ არსებობს მედიატორთა აკრედიტაციის, განათლებისა და მათი პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმები, რაც ამ ინსტიტუტის ფართო გამოყენების ხელისშემშლელი წინაპირობებია და ითხოვს სათანადო ყურადღებას, როგორც თემით დაინტერესებული აქტორებისგან, ასევე უპირველესად ხელისუფლების წარმომადგენლებისგან.

მედიაციის ხელშეწყობის მიზნებისათვის იდეალური გარემო სწორედ დღეს არის შექმნილი საქართველოში, კერძოდ, მედიაციის მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტის მიღება წარმოადგენს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ საკითხს, მეორე

მხრივ, საზოგადოებრივი ცნობადობა და ინტერესი მედიაციისადმი დღითი დღე იზრდება<sup>10</sup>, მესამე მხრივ, ნათლად გამოჩნდა მედიაციის მექანიზმის როგორც სასამართლო სისტემის განტვირთვის უალტერნატივობა და დავების შეთანხმებით დასრულების პერსპექტიულობის წინაპირობები, რაც წარმოადგენს ერთგვარ გარანტს იმისა, რომ 2017 წელი უნდა გახდეს მედიაციის წელი საქართველოში, რაც მეტწილად დამოკიდებულია ერთი მხრივ, საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებისა და მედიაციის სფეროში მოქმედი ინსტიტუციების თანხვედრ პოზიციებზე<sup>11</sup>.

### IV. დასკვნა

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი ერთგვარი ნოვაციაა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, ეს ინსტიტუტი პირველ ნაბიჯებს დგამს ქართულ რეალობაში, თუმცა მისი დადებითი როლი და ეფექტურობა შეიძლება ითქვას რომ უკვე დადასტურდა და მის შედეგებს ქართველი საზოგადოება კონკრეტულად ხედავს, თუმცა იმისათვის რათა ამ ინსტიტუტმა კიდევ უფრო ეფექტურად იმუშაოს და გახდეს მძლავრი ინსტრუმენტი საზოგადოების ხელში, დავების შეთანხმებით დასრულების კუთხით საჭიროა ამ ინსტიტუტს სათანადო განვითარების გარემო შეუქმნას პირველ რიგში სახელმწიფომ, და მეორე მხრივ, ამ ინსტიტუტის პირველადმა ბენეფიციარებმა, საზოგადოების და იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა სახით.

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ მედიაციის ერთიანი სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოში მოქცევა რაღაც ეტაპზე უნდა განხორციელდეს, იგულისხმება, მედიაციის მარეგულირებელი ნორმატიული აქტის შექმნა, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად განწერს ამ ინსტიტუტის არსს და მის ან

10 2016 წლის 21-22 ნოემბერს პირველად საქართველოში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „მედიაციის დღეები 2016“, რომელზეც განხილულ იქნა მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შინაარსი, მოსმენილ იქნა მედიაციის დარგში მომუშავე საერთაშორისო ექსპერტების მოხსენებები. აღნიშნული ღონისძიება ორგანიზებული იყო ევროკავშირის პროექტის მიერ საქართველოში, UNDP-ს, USAID-ს პროექტი PROLOG-სა და გერმანული ფონდი GIZ-ს ფინანსური მხარდაჭერით.

11 ავტ. იგულისხმება ერთი მხრივ, ის ორგანიზაციები, რომლებიც ფუნქციონირებენ მედიაციის მიმართულებით, კერძოდ, აიპ „სასამართლო მედიატორთა ასოციაცია“, აიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“, მეორე მხრივ, მედიაციის მონაწილე მხარეები, მათ შორის განსაკუთრებით აღვოკატთა კორპუსი.

უკვე ფაქტობრივ ფართოდ დანერგილი ფორმების და სახეების ნიშან-თვისებებს, ისევე როგორც ამ ინსტიტუტისადმი კიდევ უფრო დიდი ნდობისა და მისდამი კეთილგანწყობის ფონის შესაქმნელად სავალდებულოა ამ ინსტიტუტის პოპულარიზაცია, რაც მანამ სანამ არ მოხდება რაიმე ფორმის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმით ამ სფეროთი დაინტერესებულ პირთა ერთობის იურიდიული სახით ფორმალიზება, ეს ფუნქცია თავის თავზე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა უნდა აიღონ და განსაკუთრებით ადვოკატთა კორპუსმა.

კერძოდ, მედიაცია ვერ განვითარდება ქვეყანაში მას თუ არ ახლდა თან ადვოკატთა ასოციაციის სრული და ცალსახა მხარდაჭერა, რადგან სწორედ ადვოკატები არიან ის პირები, რომელთაც აბარიათ კლიენტთა იურიდიული ბედი და სწორედ მათი რჩევის შედეგად იღებენ მოდავე მხარეები ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, ასე არის და იქნება მათ შორის მედიაციის პროცესში პროაქტიული პოზიციის დაჭერის კუთხით მოდავე მხარეთა მხრიდან, და შესაბამისად, იმისთვის რათა კლიენტს მისცეს სწორი რჩევა მედიაციისადმი ნდობისა, უპირველესად ადვოკატს უნდა სჯეროდეს მედიაციის დადებითი მხარეების და წარმატების.

ნიშანდობლივია, რომ როცა საუბარი მიდის მედიაციის როგორც ინსტიტუტის პოპულარიზაციაზე, ეს მოიცავს თავის თავში როგორც მის შესახებ, ამ ინსტიტუტის დადებითი მხარეების მის უშუალო მომხმარებლებამდე, ანუ მოქალაქეებამდე, იურიდიულ პირებამდე მიტანას, ასევე ამ პროცესში ჩართული იურიდიული პროფესიის სხვადასხვა მიმართულების უშუალო წარმომადგენლების დეტალურ ინფორმირებას ინსტიტუტის შესახებ, რომელიც მათ ხელში უნდა გახდეს არაერთი სამომავლო სამართლებრივი დავის, „უთანხმოების“ ეფექტურად, დროულად და წარმატებით გადაწყვეტის ძლიერი იარაღი,

რისი თქმის საფუძველს მართლაც იძლევა პირველი შრომითი მედიაციის საქმე<sup>12</sup>, რომელმაც დაანახა ქართულ საზოგადოებას, მათ შორის იურიდიულ წრეებს, რომ რაც არ უნდა დაშორებული იყვნენ მოდავე მხარეები ერთმანეთისგან, მესამე ნეიტრალური პირის ჩართვას დავის გადანწყვეტაში ყოველთვის შეუძლია მოიტანოს შედეგი, გამომდინარე იქიდან, რომ მედიატორი აუცილებლად გამოკვეთავს მხარეთა საერთო ინტერესებს და შეთანხმებით დავის გადანწყვეტის ურთიერთსარგებლიანობას დაანახებს ორივე მხარეს.

12 პირველი შრომითი მედიაცია ქართულ სამართლებრივ სივრცეში შედგა 2014 წლის 10-23 მარტს დაბა კაზრეთის ოქროს საბადოს დასაქმებულებსა და დამსაქმებელ კომპანია RMG Gold, RMG Copper-ს შორის

# საჯარო სამართლის იურიდიული პირები: კომპეტენციის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების აქტუალური საკითხები



**ლევან ალაფიშვილი.** ადვოკატი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი და მინვეული ლექტორი*

## სსიპ-ების ჩამოყალიბებისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის ისტორია

საჯარო სამართლის იურიდიული პირების კომპეტენციისა და საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ბაზა 90-იანი წლების ბოლოდან იღებს სათავეს. საკანონმდებლო რეგულაციების მიღებამდე საქართველოს პრეზიდენტის აქტით იქმნებოდა და საქმიანობდა არაერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (შემდგომში მოკლედ მოხსენიებულია, როგორც - სსიპ). უმრავლეს შემთხვევაში ეს საჯარო სამართლის იურიდიული პირები იქმნებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ უცხო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტების მართვისთვის. სახელმწიფოებრიობის განვითარების იმ საწყისი ეტაპისა და სახელმწიფო საფინანსო სისტემისადმი დაბალი ნდობის პირობებში, პრაქტიკულად ყველა დონორი ორგანიზაციის მოთხოვნა, სწორედ სახელმწიფოსგან და მისი საფინანსო სისტემისგან განცალკევებული მექანიზმის შექმნა იყო. ასეთი კი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებელი იყო როგორც ადმინისტრაციულად, ასევე ფინანსურად. შედეგად, სახელმწი-

ფო ბიუჯეტს მიღმა იმართებოდა საჯარო ფინანსების მნიშვნელოვანი მოცულობა, რომელიც სახელმწიფოსთვის იყო გრანტის სახით გამოყოფილი, ან რომლებიც სახელმწიფოს ვალდებულებას - კრედიტს წარმოადგენდა. ამასთანავე, ამ საჯარო სამართლის იურიდიულ პირების საქმიანობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი იყო ძალიან დაბალი, უმრავლეს შემთხვევაში ანგარიში არ ჰქონდათ სახელმწიფო ხაზინაში და არც ფინანსურ თუ საქმიანობის წლიურ ანგარიშებს წარუდგენდნენ ფინანსთა თუ სხვა მაკონტროლებელ სამინისტროებს.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე სსიპ-ების შექმნის ქრონოლოგიური განვითარება ასეთია:

- 1996 წლის 16 აგვისტო - სოციალური ინვესტიციების ფონდის შექმნა
- 1996 წლის 27 დეკემბერი - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის შექმნა
- 1997 წლის 7 ივნისი - პრივატიზებულ სანარმონო რესტრუქტურირებისა და მენეჯმენტის ცენტრის შექმნა
- 1997 წლის 7 ივნისის - მუნიციპალური განვითარების ფონდის შექმნა

**1997 წლის 27 ივნისი - (ძალაშია 25 ნოემბრიდან) სამოქალაქო კოდექსი**

- 1998 წლის 3 აპრილი - ავტომოტოტრანსპორტით დაზარალებულთა ფონდის შექმნა
- 1998 წლის 28 ივნისი - საქპატენტის შექმნა
- 1998 წლის 29 სექტემბერი - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შექმნა
- 1999 წლის 12 თებერვალი - დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის შექმნა
- 1999 წლის 14 აპრილი - საქართველოს ბავშვთა ფედერაციის შექმნა
- 1999 წლის 15 აპრილი - სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრის შექმნა
- 1999 წლის 14 მაისი - სააღსრულებო სამსახურის შექმნა

**1999 წლის 28 მაისი - კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“**

როგორც შეგვიძლია დავინახოთ ოთხი, მნიშვნელოვანი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნა წინ უსწრებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებას. სწორედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არის პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელშიც ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის და მის ცნებასთან დაკავშირებული ზოგადი ჩარჩო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლში განისაზღვრა იურიდიული პირის ცნება და სახეები. იურიდიული პირის აუცილებელ რეკვიზიტებად კოდექსი განსაზღვრავს: ორგანიზებულობას, საკუთარი ქონების არსებობას, პასუხისმგებლობას და სამართალსუბიექტობას.

საკანონმდებლო აქტმა იურიდიული პირი დაყო შემდეგ სახეებად: სამენარმეო და არასამენარმეო იურიდიული პირები. ამასთანავე, იურიდიული პირი შესაძლებელია იყოს:

- კორპორაციულად ორგანიზებული (მაგ.: რეგისტრირებული სამენარმეო და არასამენარმეო პირები),
- ნევრობაზე დაფუძნებული (მაგ.: ნევრობაზე დაფუძნებული არასამენარმეო იურიდიული პირი და რეგისტრირებული კოოპერატივი),
- ნევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული (მაგ.: პროფესიული სამენარმეო ან არასამენარმეო იურიდიული პირები)

სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლში მოხდა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების გამიჯვნა და გაკეთდა სპეციალური დათქმა, რომლის შესაბამისადაც სამოქალაქო კოდექსში მოხსენიებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებოდნენ:

1. სახელმწიფო;
2. თვითმმართველობები;
3. სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირები, რომლებიც არ არიან ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსის (იმუამად - კავშირი, ფონდი) ან „მენარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (შპს, სს, სპს, კს, კოოპერატივი);
4. სახელმწიფო დაწესებულებები და სახელმწიფო ფონდები, რომლებიც არ არიან შექმნილი სამოქალაქო კოდექსის ან მენარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად;
5. საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები, რელიგიური გაერთიანებები და სხვა).

კანონმდებელმა სამოქალაქო კოდექსის 24-ე და 1509-ე მუხლებში არ მოგვცა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მკაფიო განმარტება. კოდექსის 24-ე მუხლში, რომელიც სწორედ იურიდიული პირების ცნებასა და სახეებს შეეხება, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან მიმართებაში ვხვდებით მხოლოდ შემდეგი შინაარსის ჩანაწერს: „მათი შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.“ სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლში მოცემულია სსიპ-ის უფლებამოსილების (უფლებათუნარიანობის) ჩარჩო: საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონში ან მის დამფუძნებელ დოკუმენტებში გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლის 28 მაისამდე არ არსებობდა კანონი, რომელიც განსაზღვრავდა სსიპ-ების შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს, ანდა კანონი რომელშიც დასახელებული და განსაზღვრული იქნებოდა კონკრეტული სსიპ ან სსიპ-ს მიზნები და საქმიანობის სფეროები, 1997-1999 წლების პერიოდში შეიქმნა 8 სსიპ, რომელთა ნაწილი დღესაც ფუნქციონირებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი სსიპ, რომელიც შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის აქტივით 1996 წელს იყო **საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**. ფონდის შექმნის მიზანი, მისი დებულების მიხედვით, იყო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტით სოციალური ინფრასტრუქტურების აღდგენა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. აღნიშნულიდან ნათლად დგინდება, რომ სახელმწიფო ფონდის (სსიპ-ს) შექმნის უმთავრესი მიზანი უცხოური დაფინანსების მართვა და მართვაში უცხოური ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა იყო. არსებითად ეს იყო საქართველოს სახელმწიფოსთვის გათვალისწინებული საცდელი პროექტი, რომელსაც ჰყავდა კონკრეტული: დამფინანსებელი - ამერიკის მთავრობა/აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, განმახორციელებელი - ამერიკული ორგანიზაცია ფონდი „გადავარჩინოთ ბავშვები“ და პარტნიორი - „დემოკრატიის და განვითარების ფონდი“. როგორც ჩანს, ერთიანობაში საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი წარმოდგენილი იყო როგორც კერძო-საჯარო თანამშრომლობის ფორმატი უცხოური დახმარებით საქართველოს პრობლემების გადასაწყვეტად. საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის დებულებაში გაკეთდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ფონდის საოპერაციო რეგულაციების შემუშავება-დადგენაში მთავარი როლი სწორედ მის უცხოელ დამფინანსებელ, მმართველ და პარტნიორ ორგანიზაციებს ჰქონდათ მინიჭებული, მხოლოდ მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტის განხილვა-დამტკიცებას უზრუნველყოფდა საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის გამგეობა.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი მისი დაფუძნების აქტივით წარმოდგენილი იყო როგორც დროებითი, საცდელი ინიციატივა და ორგანიზაცია. „სოციალური ინვესტიციების ფონდი თვითდაფინანსებადი, დროებითი, დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზაციაა - აღნიშნულია ფონდის დებულების 1.3. პუნქტში. მოგვიანებით, 1998 წელს საცდელი პროექტი გრადაიქმნა მუდმივი მიზნების მქონე საჯარო სამართლის იურიდიულ პირად სადაც წამყვან როლს საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებთან ერთად თამაშობდა ისეთი მნიშვნელოვანი დონორი, როგორიც

არის მსოფლიო ბანკი. საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები სწორედ საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის შეთანხმებით განისაზღვრებოდა.

საქართველოსთვის გათვალისწინებული დახმარების ფარგლებში, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის პროექტის მართვასთან არის დაკავშირებული 1997 წელს კიდევ ერთი სსიპ-ს, **პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურული ზაციისა და მენეჯმენტის ცენტრის** შექმნა. „მოწონებულ იქნეს ევროგაერთიანების პროგრამა „ტასისის“ და მსოფლიო ბანკის ერთობლივი წინადადება საქართველოში საწარმოთა რესტრუქტურული ზაციის, მენეჯმენტის განვითარების, თანამედროვე მოთხოვნების საკონსულტაციო ინდუსტრიის შექმნისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში არარენტაბელური საწარმოების ადაპტაციის ხელშეწყობისათვის ცენტრის დაფუძნების შესახებ“ - აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 ივნისის №293 ბრძანებულებაში. ცენტრის მიზნად განისაზღვრა სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურული ზაციისთვის საერთაშორისო დახმარების (როგორც წესი, ფინანსურის) მართვა და მონიტორინგი.

უცხოური დახმარებებისა და მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის მიზნით 1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის №294 ბრძანებულებით შეიქმნა **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**. ფონდი უცხოური კრედიტების, გრანტების, ინვესტიციებისა და ადგილობრივი საჯარო ფინანსების მართვის მიზნით შეიქმნა. ფონდის მიზნად განისაზღვრა მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარებისათვის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, დონორების, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ფინანსური რესურსების მობილუზაცია. სოციალური ინვესტიციების ფონდისაგან და პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურული ზაციისა და მენეჯმენტის ცენტრისაგან განსხვავებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი დღესაც აგრძელებს საქმიანობას და დებულების (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის №558 დადგენილებით) მიხედვით მისი მიზნებია:

- მუნიციპალიტეტების გრძელვადიანი ინსტიტუციური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა;
- ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრადი გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი (მუნიციპალური), სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროში ინვესტირების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი (მუნიციპალური), სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

უცხოური კრედიტის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ხოლო მოგვიანებით მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ წარმართული საკრედიტო პროექტის მართვის მიზნით 1996 წლიდან არსებობდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი. დებულებით ფონდის ერთადერთ, ძირითად მიზნად განსაზღვრული იყო „განვითარების კრედიტის“ თაობაზე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კულტურული მემკვიდრეობის პროექტის განხორციელება, მართვა, ხელმძღვანელობა და კოორდინაცია.

წინა შემთხვევების ანალოგიურად, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 თებერვლის №57 ბრძანებულებით შეიქმნა **საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი**, რომლის ძირითად მიზნად განისაზღვრა საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის გრანტის თაობაზე (პროექტი GEF-PPG TF-20446) 1998 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი ხელშეკრულების განხორციელება, მართვა და ხელმძღვანელობა.

მოგვიანებით, 1999 წელსვე საქართველოსთვის გათვალისწინებული ორი პროექტის: უცხოური კრედიტის და გრანტის მართვისთვის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნდა **სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი**. ცენტრის ძირითად მიზნად განისაზღვრა: ა) საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო

ასოციაციას შორის განვითარების საკრედიტო ხელშეკრულებით, და ბ) საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული „სანაპირო ინტეგრირებული მართვის პროექტის“ განხორციელების უზრუნველყოფა - მართვა, ხელმძღვანელობა და კოორდინაცია.

თუკი დასახელებულ შემთხვევებში საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნის საფუძვლები, პრაქტიკა და მათი საქმიანობის მიზნები დაკავშირებული იყო სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი პროექტების მართვასთან, ამავდროულად, 1998 წელს შექმნილი **საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შექმნა** იყო აღნიშნული პრაქტიკიდან არსებითად განსხვავებული გამოწვევის. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1998 წლის 29 სექტემბრის №157 ბრძანების შესაბამისად, მისი გამოცემისა და სსიპ-ის შექმნის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი. როგორც აღინიშნა სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავდა არც სსიპ-ს შექმნის წესსა და კომპეტენციას და არც საქმიანობის მიზნებს, ხოლო 1509-ე მუხლი მხოლოდ ჩამოთვლიდა იმ დანესებულებებს, რომლებიც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ჩაითვლებოდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. ანალოგიურად, არც „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი განსაზღვრავდა სსიპ-ს შექმნის წესსა და კომპეტენციას, აგრეთვე საქმიანობის მიზნებს თუ სხვა საკითხებს. წინა შემთხვევებისაგან განსხვავებას წარმოადგენდა სუბიექტი, რომლის გადაწყვეტილებითაც საქართველოს საკანონმდებლო მაცნე დაფუძნდა სსიპ-ს ფორმით: წინა შემთხვევებში გადაწყვეტილების მიმღები იყო საქართველოს პრეზიდენტი (რომელიც მართვის იმჟამინდელი კონსტიტუციური მოდელის მიხედვით იყო სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. ამასთანავე, არ არსებობდა მთავრობა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი კოლექტიური პოლიტიკური ორგანო), ხოლო ამ შემთხვევაში კი - საქართველოს იუსტიციის მინისტრი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მიზანიც განსხვავებული იყო და იგი არ იყო დაკავშირე-

ბული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე პროექტების მართვასთან, ამ სსიპ-ს მიზნებად და ამოცანებად დებულებით განისაზღვრა:

- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმატიული აქტების ოფიციალური გამოქვეყნება;
- მოსახლეობის ინფორმირება მიმდინარე კანონმდებლობის შესახებ;
- კანონის პროპაგანდირებით მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლება;
- სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ ნორმატიული აქტებთან დაკავშირებულ ანალოგიურ საქმიანობას არაერთი წელია ეწევიან კერძო ოპერატორები: შპს „ქართული პროგრამული სისტემები“ (ონლაინ პროდუქტი "GSS კოდექსი") და კომპანია Georgian Microsystems (ონლაინ პროდუქტი "Codex"). ერთადერთი, რაც განასხვავებს ამ კომპანიებსა და მათ პროდუქტებს საქართველოს საკანონმდებლო მაცნესგან, ის არის რომ მას ნორმატიული აქტით მინიჭებული აქვს ოფიციალური გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლება და სწორედ ამ უფლების გამოყენებით ავითარებს პარალელურ ბიზნეს პროდუქტებს. ამ კონტექსტში საინტერესო იყო 2015 წლის 14 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი სერვისის, ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტების პორტალის <http://www.legal.nbg.gov.ge> ამოქმედება. საქართველოს საკანონმდებლო მაცნესგან განსხვავებით, კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ეროვნული ბანკის პორტალით სარგებლობა მომხმარებლისთვის უფასოა. ამ პირობებში ამ სახით საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შენარჩუნების მიზანშეწონილობა შესაძლოა მსჯელობის საგანი იყოს.

კვლევისთვის საინტერესოა 1998 წელს დაფუძნებული **ავტომოტოტრანსპორტით დაზარალებულთა ფონდის** დაფუძნება. დებულების პირველი მუხლით ფონდის მიზნად განისაზღვრა: „დაუდგენელი, დაუზღვეველი ან გატაცებული ავტომოტოტრანსპორტით გამონვეული საგზაოსატრანსპორტო შემთხვევისას მიყენებული ზიანის "ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში ანაზღაურების

უზრუნველსაყოფად. აგრეთვე, პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად საგზაოსატრანსპორტო შემთხვევების დადგომის ალბათობის შესამცირებლად“. მოგვიანებით, 2003 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განხორციელდა ფონდის ე.წ. რეორგანიზაცია, მიზნის გაფართოება და იქცა **საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიუროდ**. ბიუროს მიზანს კი წარმოადგენს სავალდებულო სადაზღვევო პროგრამების, მათ შორის ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობისა თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის პროგრამების განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ დებულებაში დასახელებული კანონები დიდი ხანია გაუქმებულია, არ მომხდარა ბიუროს და მისი სამართლებრივი საფუძვლის, საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 14 ნოემბრის №566 ბრძანებულების გაუქმება.

### სსიპ-ის ცნება: მკაფიოდ განსაზღვრული კომპეტენციის პროვლვატიკა

1999 წელს მიღებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მიღებით კანონმდებლებმა უზრუნველყვეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლში გადმოცემული კონცეფციის (სსიპ-ების შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით) რეალიზება. კანონის მე-2 მუხლით განისაზღვრა სსიპ-ს ცნება: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.“ ამ ნორმამ სხვადასხვა დროს განიცადა ცვლილება, მასში სსიპ-ის შექმნის კომპეტენციის მქონე სუბიექტთა წრის გაფართოების მიმართულებით - აღნიშნული უფლებამოსილება მიენიჭათ ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსაც. საქმიანობის მიმართულებების ზოგადი ფორმულირება

ქმნიდა არასასურველ გარემოს და შესაძლებელს ხდიდა სსიპ-ები ჩამოყალიბებულიყო სუბიექტური თუ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით. ამ პრობლემას კიდევ უფრო მასშტაბურს ხდის საქმიანობის სფეროების ჩამონათვალის ბოლოს „დასხვა“-ს არსებობა, რომელიც შლის ყოველგვარ ჩარჩოს და კანონში დასახელებულ სუბიექტებს შეუზღუდავად შეუძლიათ დააფუძნონ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მათ შორის არასაჯარო, ან უფრო მეტიც - მოგებაზე ორიენტირებული კომერციული/სამენარმეო საქმიანობის განსახორციელებლად.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის დასახელებულმა გაუმართაობამ, აგრეთვე „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ კანონით ცალკეულ საქმიანობათა სალიცენზიო თუ სანებართვო რეგულირების კომპეტენციის სსიპ-ებისთვის მინიჭებამ შექმნა გარემო, რომელშიც შესაძლებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საჯაროს გარდა, ენოდეს კერძოსამართლებრივ (სალიცენზიო ან სანებართვო სფეროს მიკუთვნებულ), მოგებაზე ორიენტირებულ საქმიანობას (რომელიც შესაძლოა იყოს საქმიანობის ერთადერთი სფერო), კონკურენციაში იყოს არასახელომნიფო/კერძო ბიზნესსუბიექტებთან და ამავე დროს კონკურენტი ბიზნესსუბიექტების მიმართ აღჭურვილი იყოს ზედამხედველობის უფლებამოსილებით. აღნიშნულის ილუსტრაციად გამოდგება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, **დაცვის პოლიციის დეპარტამენტის** არსებობა. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად კერძო დაცვითი საქმიანობა არის ლიცენზირებადი სამენარმეო (ე.ი. მოგებაზე ორიენტირებული) საქმიანობა. „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის შესაბამისად კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზიას გასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. „დაცვით საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით.“ - აღნიშნულია კა-

ნონის 24-ე მუხლის პირველ პუნქტში. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების მიხედვით დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანად მითითებულია ლიცენზირებადი, მოგებაზე ორიენტირებული სამენარმეო საქმიანობის წარმართვა: დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით იურიდიული პირის მიერ წარმოებული აუდიტორული საქმიანობა განეკუთვნება სამენარმეო საქმიანობას. „**შემოსავლების სამსახურის** შესახებ“ კანონის საფუძველზე და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული სამსახური დებულების შესაბამისად, გარდა საგადასახადო ადმინისტრირებისა და სალიცენზიო რეგულირების კომპეტენციისა, შემოსავლების სამსახურის (ე.წ. საგადასახადო სამსახური) კომპეტენციად განსაზღვრულია გადასახადის გადამხდელთა მომსახურება. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით („საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების განევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“) კი საგადასახადო აუდიტის მომსახურების (საქონლის გაფორმება, დეკლარაციის შევსება, პირადი აგენტი) განხორციელებას შემოსავლების სამსახური ახორციელებს სახელშეკრულებო საწყისებზე, შესაბამისი საფასურის გადახდით. როგორც კონტროლის პალატის 2011 წლის მოხსენებაშია აღნიშნული „სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ ბალანსში დეკლარირებული აქვს „გადასახდელი მოგების გადასახადი“, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ სამსახურს ჰქონდა მოგება, რომელიც ბალანსში აისახა, როგორც „გაუნაწილებელი მოგება“. ეს გარემოება ერთის მხრივ ადასტურებს, რომ საჯარო დაწესებულება ეწევა მოგებაზე ორიენტირებულ სამენარმეო საქმიანობას, ხოლო მეორეს მხრივ - ამ სსიპ-ს მიერ განეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურები/ტარიფები იმდენად დაუსაბუთებელი და გაუმიჭვირვალეა, რომ წარმოშობს ჭარბ მოგებას. საჯარო დაწესებულება, მითუმეტეს საგადასახა-

დო ინსტიტუტი თავისი ბუნებით შეუთავსებელია სამეწარმეო საქმიანობასთან და მოგებასთან.

შინაარსობრივად ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე სსიპ **ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს** შემთხვევაში. ბიუროს საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ“, ხოლო მომსახურების ტარიფები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“. სასამართლო-სამედიცინო საქსპერტო საქმიანობა და სასამართლო-ფსიქიატრიული საქსპერტო საქმიანობა არის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ლიცენზირებადი, მოგებაზე ორიენტირებული სამეწარმეო საქმიანობის სახეები. დასახელებული კანონით კი საჯარო დაწესებულება (სსიპ)<sup>30</sup> გათავისუფლებულია სალიცენზიო რეგულირებისაგან და ამავე დროს კონკურენციაში იმყოფება სხვა ლიცენზიის მფლობელ კომპანიებთან, რაც გავლენას ახდენს პროდუქციისა და მომსახურების ბაზარზე კონკურენციის ხარისხზე. შესწავლის შემთხვევაში სავარაუდოა რომ დადგინდეს სახელმწიფოს მიერ „კონკურენციის შესახებ“ კანონით დადგენილი კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილებების მიღების აკრძალვის დარღვევა.

აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში შემავალი 19 სამინისტროდან 6-ს აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ძირითადი მიზანი და საქმიანობის სფერო დაკავშირებულია სამინისტროს პერსონალთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო საქმიანობასთან, კვალიფიკაციისა და ცოდნის გადამცემასთან:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - საქართველოს შინაგან საქმეთა აკადემია

- საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, აგრეთვე გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - იუსტიციის სასწავლო ცენტრი (რომელიც სასტუმრო-საკონფერენციო მომსახურებასაც კი ეწევა)
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტროს აკადემია

მთავრობაში შემავალ 2 სამინისტროს, კერძოდ საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფორმით აქვთ პერსონალის ჯანმრთელობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამედიცინო დაწესებულებები: შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური და სამხედრო ჰოსპიტალი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვის სისტემაში კი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებობს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი.

## სსიპ-ების სისტემა და მართვა

2009 წლამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირების სისტემის არსებული პრაქტიკის საკითხი, მისი პრობლემურობა და სისტემური მოწესრიგების საჭიროება დღის წესრიგში არ დამდგარა. პირველად, ოფიციალურ დონეზე ეს საკითხი დაისვა საქართველოს კონტროლის პალატის (შემდგომში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის) მოხსენებაში. 2009 წლის შემდგომ ყველა მომდევნო წლის მოხსენებასა თუ ანგარიშში სახელმწიფო აუდიტის სამსახური საგანგებოდ მიუთითებდა

30 აღნიშნული არ შეეხება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირს – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ეს ჩარევა სახეზეა ყველა იმ რეგულაციის თუ სსიპ-ის შემთხვევაში რომლებსაც შეეხება აქვს ლიცენზირებად ან არალიცენზირებად სამეწარმეო საქმიანობასთან.

პრობლემის მნიშვნელობასა და მასშტაბზე და მთავრობას წარუდგენდა საკუთარ რეკომენდაციებს. სწორედ ამ პერიოდიდან პრობლემა საზოგადოებისთვისაც გახდა აქტუალური და მას მიექძვნა არაერთი პუბლიკაცია, რადიო სიუჟეტი თუ ჟურნალისტური საგამოძიებო გადაცემა (მათ შორის სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიების შედეგად მომზადებული ტელეგადაცემა „ძვირი მთავრობა“, რომელშიც წარმოჩენილია საჯარო სამართლის იურიდიული პირების პრობლემის მასშტაბურობა).

წარმოაჩინდა რა საჯარო სამართლის იურიდიული პირების მნიშვნელოვან როლსა და ფუნქციას, საქართველოს კონტროლის პალატა 2011 წლის მოხსენებაში სწორად აღნიშნავდა: „იმის გათვალისწინებით რომ, საზღვარგარეთის მონინავე ქვეყნების (გერმანია, შვედეთი) გამოცდილებაზე დაყრდნობით, ქვეყანაში დაგეგმილია შედეგებზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა, იზრდება მოთხოვნები საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის დონის მიმართ, ვინაიდან სწორედ ასეთი იურიდიული პირები არიან პროგრამული ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების უშუალო შემსრულებლები.“ სისტემური გაუმართაობის დასტურად საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენებაში მითითებულია სსიპ შემოსავლების სამსახურის და მისი გაუნაწილებელი მოგების შემთხვევა, აგრეთვე არაერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელთა შემოსავლის ერთადერთ წყაროს (შესაბამისად საქმიანობის ერთადერთ მიმართულებას) წარმოადგენდა მომსახურების განვითარების შედეგად მიღებული შემოსავლები. კვლავ აქტუალურია 2011 წელს საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენებაში აღნიშნული რეკომენდაცია: საქართველოს მთავრობამ და საქართველოს პარლამენტმა დაიწყონ მსჯელობა საჯარო სამართლის იურიდიული პირების მართვის სისტემურ მონესრიგებაზე, რომელიც დაეფუძნება იმ უმთავრეს პრინციპს, რომ ასეთი იურიდიული პირების საქმიანობა არის საჯარო ადმინისტრაციის მიერ განეული საქმიანობა და მისი შედეგი არ უნდა იყოს მოგება.

მართალია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები ნაწილობრივ სრულდება, მაგრამ სისტემური მონესრიგების

პრობლემა კვლავ აქტუალურია. სსიპ-ების რიცხოვნობა და მათ მართვაში არსებული ფინანსების მოცულობა სულ უფრო ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, საჯარო სამართლის იურიდიული პირების რიცხოვნობამ 2500-ს მიაღწია, საიდანაც უდიდესი ნაწილის, საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხოვნობა 2100-ს აღწევს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით 2014 წელს საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომელთა რიცხოვნობამ შეადგინა - 169 265, ხოლო სახელფასო ფონდმა - 1 მლრდ 104 მილიონი ლარი. ამ მონაცემებით საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულთა რიცხოვნობა უტოლდება ცენტრალური დაქვემდებარების უწყებებში დასაქმებულ, საჯარო მოხელეთა რიცხოვნობას. სტატისტიკის სამსახურისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მონაცემების ანალიზით ასეთი შთამბეჭდავი სურათი წარმოგვიდგება: ყოველი მე-6 დასაქმებული და ყოველი მე-3 დაქირავებული საჯარო სექტორშია (სახელმწიფო სამსახური და სსიპ-ები) და მათი სახელფასო უზრუნველყოფა 2014 წლის მონაცემებით შეადგენს 2 მილიარდ 422 მილიონ ლარს. ეკონომიკა სადაც ყველაზე დიდი დამსაქმებელი საჯარო სექტორია, არ არის განვითარებაზე ორიენტირებული. საჯარო სექტორი არ უშვებს პროდუქციას (დამატებულ ღირებულებას), ფინანსური თვალსაზრისით იგი მხოლოდ მომხმარებელია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბიუროკრატის ზრდა იწვევს მათი შენახვის ხარჯების ზრდას და გადასახადის გადამხდელების ტვირთის სიმძიმის ზრდას.

**სსიპ-ების საქმიანობისა და ფინანსების მართვის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება**

მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა სსიპ-ების მიერ ფინანსთა სამინისტროსთვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების მოცულობა და პერიოდულობა, სსიპ-ების საქმიანობის ეფექტური ანგარიშგებისა და გადამხდელობათა მიღების პროცესის გამჭვირვალობის საკანონმდებლო მონესრიგების საჭიროება კვლავ აქტუალურია. საზოგადოებას და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მხოლოდ ე.წ. მშრალი ინფორმაციის

სახით მიეწოდება (და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზეც განთავსებულია) იმ სსიპ-ების „ნაერთი ბალანსი“ რომლებიც ექვემდებარებიან სავალდებულო ანგარიშგებას. ეს უკანასკნელი კი არ იძლევა სსიპ-ების საქმიანობაზე ჯეროვანი მსჯელობის საშუალებას. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროობის რეგულაციები და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილება, აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში შემავალი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიისა და გამოცდილების მქონე, უმსხვილესი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდზე არ არის გამოქვეყნებული ფონდის ბიუჯეტი და ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ([http://mdf.org.ge/?site-lang=ka&site-path=public\\_info/budget/](http://mdf.org.ge/?site-lang=ka&site-path=public_info/budget/)). ამ მაგალითზე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ ნაერთი ბალანსის საფუძველზე სსიპ-ს საქმიანობის შეფასების სირთულესა თუ შეუძლებლობაზე.

### საჯარო მმართველობის შვედური მოდელი

შვედეთის სამეფოში, რომლის მოსახლეობაც 9.8 მილიონს შეადგენს, ცენტრალურ დონეზე საჯარო მმართველობა ხორციელდება 10 სამინისტროსა და ამ სამინისტროების სისტემაში შემავალი 288 სააგენტოს (საჯარო სამართლის იურიდიული პირი/დანესებულება) მეშვეობით.

საქართველოში და საერთაშორისო არენაზე ცნობილი, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) მაგალითზე წარმოჩინდება საჯარო მმართველობის მოდელის ეფექტურობა. შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA) შედის შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში. სამინისტროს თანამშრომელთა რიცხოვნობა არის 2400, საიდანაც ცენტრალურ აპარატში დასაქმებულია მხოლოდ 700 თანამშრომელი, საზღვარგარეთის წარმომადგენლობებში - 500, ხოლო საზღვარგარეთის წარმომადგენლო-

ბებში დასაქმებული ადგილობრივი პერსონალის რიცხოვნობა შეადგენს 1200-ს. სამინისტროს იურისდიქციის ქვეშ მოქმედი შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) მუშაკთა რიცხოვნობა (2014 წლის მონაცემებით) შეადგენს 678-ს, აქედან ცენტრალურ ადმინისტრაციაში დასაქმებულია 538, ხოლო საზღვარგარეთ - 140 თანამშრომელი.

შვედეთში სააგენტოებს აქვთ დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხი, სწორედ მათი მეშვეობით წარმართავს სახელმწიფო სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებს. სამინისტროების ფუნქცია მხოლოდ სტრატეგიული დაგეგმვა, პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრა და მათ შესაბამისად საბიუჯეტო პროგრამირებაა, სააგენტოები და მათი ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულნი არიან მთავრობის წინაშე. სააგენტოს ხელმძღვანელთა დანიშვნა-გათავისუფლებაც მთავრობის (კოლექტიური ორგანოს) კომპეტენციაა. ამასთანავე, სააგენტოების საქმიანობისა და ფინანსური ანგარიშები ყოველწლიურად წარედგინება პარლამენტს, რიკსტაგს და მთავრობის საქმიანობის შეფასებასთან ერთად, არის საპარლამენტო მსჯელობის საგანი.

### დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევისას გამოიკვეთა აქტუალური საკითხები, რომლებიც განაპირობებენ დასკვნებსა და რეკომენდაციებს. მათ შორის უმთავრესია:

- ჩამოყალიბდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირების სისტემის რეფორმის პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა;
- სსიპ-ების სისტემის რეფორმის პოლიტიკის საფუძველზე შემუშავდეს ახალი საკანონმდებლო რეგულაციები (არსებულ კანონში ცვლილება ან ახლის მიღება);
- კანონით პირდაპირ გამოირიცხოს სსიპ-ს მიერ საქმიანობით ან საფასურით მოგების მიღების შესაძლებლობა, თუკი სახელმწიფოს ექნება საჭიროება შეუძლია დააფუძნოს არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელსაც შეეძლება დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება;
- დაჯგუფდეს არსებული სსიპ-ები ადმინისტრაციული (სალიცენზიო და სანებართვო რეგუ-

ლირების, სანქციონების უფლებამოსილების მქონე) კომპეტენციის და მომსახურების განმევი, აგრეთვე ტერიტორიული ნიშნით.

- ადმინისტრაციული კომპეტენციის სსიპ-ების თანამშრომლები შესაძლოა გაერთიანდნენ საჯარო მოხელეთა კატეგორიაში;
- გამსხვილდეს საგანმანათლებლო დაწესებულებები და მოხდეს მათი რეორგანიზაცია არასამეწარმეო იურიდიულ პირებად. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (რომელთა რიცხოვნობა 2000-ს აღემატება) დაჯგუფება შესაძლებელია ტერიტორიული ნიშნით, რაც მართვის ეფექტიანობისა და ხარჯების ოპტიმალური მართვის თვალსაზრისით გააუმჯობესებს არსებულ მდგომარეობას;
- სამინისტროების მართვაში არსებული საგანმანათლებლო პროფილის დაწესებულებების არსებული სახით შენარჩუნების მიზანშეწონილობა გახდეს მსჯელობის საგანი. იმის გათვალისწინებით, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახლადმიღებული კანონი (რომელიც ამოქმედდება 2017 წლიდან) ახლებურად განსაზღვრავს კარიერული ზრდის სისტემას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანური რესურსების მართვის როლსა და მნიშვნელობას, შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს ამ სსიპ-ების გაუქმება და ამ რესურსის სამინისტროს სტრუქტურაში გაერთიანება.
- დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ოპტიმალური იყოს სამინისტროთა დაქვემდებარებაში არსებული სამედიცინო პროფილის სსიპ-ების ლიკვიდაცია ან გაერთიანება ერთ არასამეწარმეო იურიდიულ პირად;
- კანონით მხოლოდ მთავრობის (კოლექტიური პოლიტიკური ორგანოს) კომპეტენციად განისაზღვროს სსიპ-ის ხელმძღვანელების დანიშვნა-გათავისუფლება;
- იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტი არის მთავრობისაგან დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, პირდაპირი წესით არჩეული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ინსტიტუტებით, კანონით (თვითმმართველობის კოდექსი და/ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ) სსიპ-ების დაფუძნება შეეძლოს ან ყველა მუნიციპალიტეტს ან არც ერთს. იმ შემთხვევაში

თუკი მუნიციპალიტეტებს ექნებათ სსიპ-ების შექმნის კომპეტენცია, მაშინ აღნიშნული გადაწყვეტილების რეალიზაცია მოხდეს მხოლოდ მხოლოდ კანონის საფუძველზე (კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებსა და სფეროებში), საკრებულოს ინიციატივითა და პარლამენტის თანხმობით;

- სსიპ-ების ანგარიშვალდებულების გაზრდისთვის კანონით (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საბიუჯეტო კოდექსი და/ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ) დაწესდეს ყოველნიური ანგარიშების წარდგენა მთავრობისთვის, ხოლო მთავრობის მიერ გაერთიანებული საქმიანობისა და ფინანსური ანგარიშის წარდგენა პარლამენტისთვის. ამ ანგარიშზე, მთავრობის საქმიანობის ანგარიშთან ერთად იმსჯელებს უმაღლესი საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი ორგანო და იგი შესაძლებელია იყოს შეფასებისა და შენიშვნების საგნად;
- კანონით განისაზღვროს სსიპ-ების ტარიფების განსაზღვრის პრინციპები, რომელთა შორის საგანგებოდ აღინიშნება გაანგარიშება, რომელიც არ იძლევა მოგების მიღების შესაძლებლობას. ამასთანავე, მთავრობის სისტემაში არსებული სსიპ-ების ტარიფების განსაზღვრა წარმომადგენლდეს მხოლოდ მთავრობის კომპეტენციას;
- სსიპ-ების დაჯგუფების შემდგომ მსჯელობის საგნად იქცეს დამატებითი სერვისების (სარეგისტრაციო განაცხადის მიღება-გაცემა, დაჩქარებული მომსახურება, ადგილზე მომსახურება თუ სხვა) გარეთ გატანა კონკურენტულ სანყისებზე.

## გამოყენებული მასალა და წყაროები

### I. საკანონმდებლო აქტები

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
2. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“
3. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“
4. საქართველოს კანონი „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“
5. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“

6. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“
7. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ“
8. საქართველოს კანონი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „112“-ის შექმნის შესახებ“
9. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურებისა და ვადების შესახებ“
10. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი

## II. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

### ა) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები

1. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 16 აგვისტოს №527 ბრძანებულება "საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის შექმნის შესახებ"
2. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 27 დეკემბრის №845 ბრძანებულება „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის განხორციელების შესახებ“
3. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 ივნისის №293 ბრძანებულება „პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურისა და მენეჯმენტის ცენტრის შექმნის შესახებ“
4. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ნოემბრის №664 ბრძანებულება „პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურისა და მენეჯმენტის ცენტრის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 ივნისის №293 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე"
5. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 30 აპრილის №283 ბრძანებულება „საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის დებულების შესახებ“
6. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 3 აპრილის №210 ბრძანებულება „ავტომოტოტრანსპორტით დაზარალებულთა ფონდის შექმნის შესახებ“
7. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 14 ნოემბრის №566 ბრძანებულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ფონდის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიუროდ ჩამოყალიბების შესახებ“
8. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 ივნისის №377 ბრძანებულება „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის შექმნის შესახებ“
9. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 ივნისის №392 ბრძანებულება „საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ შესახებ“
10. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 თებერვლის №57 ბრძანებულება „საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის შესახებ“
11. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 აპრილის №139 ბრძანებულება „საქართველოს ბავშვთა ფედერაციის შესახებ“
12. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 15 აპრილის №144 ბრძანებულება „სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრის შექმნის შესახებ“
13. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 მარტის №105 ბრძანებულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის დებულებისა და სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესახებ“
14. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 ივნისის №294 ბრძანებულება „საქართველოს მუნიციპალური სექტორის განვითარებისათვის გათვალისწინებული ფინანსური სახსრების მართვის შესახებ“
15. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 18 თებერვლის №90 ბრძანებულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის რეორგანიზაციის შესახებ“

**b) საქართველოს მთავრობის დადგენილებები**

1. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივლისის № 118 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დებულებისა და სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესახებ“
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის № 558 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფუძნების, სამეთვალყურეო საბჭოს განსაზღვრისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“
3. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების განწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“
4. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“

**c) საქართველოს მინისტრის ბრძანებები**

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1998 წლის 29 სექტემბრის №157 ბრძანება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ შექმნის თაობაზე
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №248 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“
3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“
4. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“

5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 6 დეკემბრის №225 ბრძანება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“

**III. საქართველოს კონტროლის პალატის/საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებები**

1. საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით. 2009, 2010 და 2011 წლის მოხსენებები. წწწ.საო.გე
2. საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით. 2009, 2010 და 2011 წლის მოხსენებები. [www.sao.ge](http://www.sao.ge)

**IV. მედიით გავრცელებული მასალა**

1. "ძვირი მთავრობა", სტურია „რეპორტიორი“-ს გადაცემა. ტელეკომპანია „მეესტრო“. 23 იანვარი 2013 <https://www.youtube.com/watch?v=geE9Bb9GBUU>

**V. უცხოური კვლევები და ოფიციალური წყაროები**

1. Government of Sweden. [www.government.se](http://www.government.se)
2. Swedish International Development Cooperation Agency. [www.sida.se](http://www.sida.se)
3. "Governance in the Public Sector: A Governing Body Perspective", International Federation of Accountants, 2001
4. Corporate Governance in Central Government Departments – Cabinet Office – UK – Code of Good Practice, 2011
5. The British Government: Government Departments: A Brief Overview. [www.britannia.com/gov/gov6.html](http://www.britannia.com/gov/gov6.html)
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი. [www.mof.ge](http://www.mof.ge)

7. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ვებგვერდი. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
8. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდი. [www.mdf.org.ge](http://www.mdf.org.ge)
9. ნორმატიული აქტების ელექტრონული სისტემა „კოდექსი“. <http://codexserver.com>
10. ნორმატიული აქტების ელექტრონული სისტემა „GSS კოდექსი“. [www.gss.ge](http://www.gss.ge)
11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პორტალი. <http://tbilisi.gov.ge>
12. საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტების პორტალი. <http://www.legal.nbg.gov.ge>

## სასამართლო დავის განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში



**გოჩა აბუსერიძე**

*ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე,*

### წინაგდაბარე კვლევის მიზანია:

- ადმინისტრაციულ სამართალში სასამართლო დავის განახლების სახეების ზოგადი დახასიათება
- დასრულებული სასამართლო დავის განახლებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა
- სასამართლო დავის განახლების საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო პრობლემატიკის წარმოჩენა.

### შესავალი

#### სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა

ადმინისტრაციული სამართალი, როგორც ურთიერთდაქვემდებარების პრინციპზე აგებული სამართლის ნორმათა ერთობლიობა, საჯარო სამართლის სფეროს განეკუთვნება და ორგანულად ეფუძნება საჯარო ინტერესების რეალიზებას.

ვინაიდან მმართველობა ყოვედღიურად ზემოქმედებს ადამიანთა ცხოვრებისეულ ინტერესებზე,

ამ ზემოქმედებისთვის ცივილიზებული ხასიათის მინიჭების, ანუ კანონმდებლობის მკაცრ დაცვაზე მისი დაფუძნების მიზნით, ობიექტურად წარმოიქმნება მმართველობითი საქმიანობისათვის იურიდიული ფორმის მიცემის მოთხოვნილება. სწორედ ასეთი ფორმაა ადმინისტრაციული სამართალი, რომელიც მოწოდებულია მოაწესრიგოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ანუ სახელმწიფო მმართველობის სფეროში წარმოქმნილი საზოგადოებრივი ურთიერთობები<sup>14</sup>.

მართალია ადმინისტრაციული სამართალი ადგენს მმართველობის კანონიერების უზრუნველყოფ ნორმებს, წესებს, პროცედურებსა და მექანიზმებს, თუმცა მმართველობით სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე კონტროლი სასამართლო ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს, რა მიზანსაც ემსახურება მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება, რაც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კომპეტენტურობასა და მის ეფექტურად აღსრულებაში გამოიხატება; აღსრულებას კი ექვემდებარება სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებული მხოლოდ კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილებები.

<sup>14</sup> ადვიშვილი. ვარდიშვილი ქ. იბორია ლ. კალანდაძე ნ. კობალეიშვილი მ. სხირტაძე ნ. ტურავა პ. ქიტოშვილი დ. 2005. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი: გამომცემლობა „ბონაკაუზა“

ზოგადად, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მისი სამართლებრივი მოქმედებაა, რაც იმაში ვლინდება, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ხდება უფლებებისა და მათ საფუძვლად არსებული ფაქტების არსებობის ან არარსებობის საბოლოო დადგენა... გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვლინდება რიგ სამართლებრივ თვისებებში, ისეთი როგორცაა მაგალითად გადაწყვეტილების უდავოობა, განსაკუთრებულობა, სავალდებულოობა, აღსრულებადობა და სხვა<sup>15</sup>.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა იწვევს გადაწყვეტილების საბოლოო, სავალდებულო ხასიათს პროცესის მხარეებისა და ნებისმიერი მესამე პირებისთვის. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება დაუშვებელია, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისისა, რომელშიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 კარით გათვალისწინებული საქმისწარმოების განახლების საფუძვლები მოიაზრება. სხვა შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება არ დაიშვება.

**საქმის წარმოების განახლების საფუძვლად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით**

მოქმედი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს<sup>16</sup>, არ ითვალისწინებს საქმის წარმოების განახლების მარეგულირებელ ნორმებს, რის გამოც ამავე კოდექსის 1.2 მუხლის დანაწესის გამოყენებით ადმინისტრაციულ სამართალში ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები,

რაც მოცემულია მითითებული კოდექსის მე-11 თავში. ამ ნორმების მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები<sup>17</sup>.

ზოგადად, თეორიაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიღებით დასრულებული პროცესის განახლება შესაძლებელია ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა, ასევე გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლით. იგი წარმოადგენს ისეთ საპროცესო-სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც უზრუნველყოფს „სასამართლო შეცდომის“ აღმოფხვრის შესაძლებლობას და ემსახურება სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების გარანტიების შექმნას.

ახლად აღმოჩენილი გარემოებები იურიდიული ფაქტებია, რომლებიც არსებობდა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მომენტში და დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ საქმის გადასაწყვეტად, მაგრამ ეს გარემოებები არ იყო ცნობილი და არც შეიძლება ცნობილიყო არც განმცხადებლის და არც სასამართლოსათვის. ამ გარემოებებზე (ფაქტებზე) დამოკიდებულია მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა... ახლად აღმოჩენილი გარემოებები განსხვავდება იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტებისაგან, რომლებიც წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, შესაბამისად ამ სახის გარემოებები შეიძლება გახდეს არა სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების, არამედ ახალი საფუძვლით სარჩელის სასამართლოში შეტანის წინაპირობა, რადგან სასამართლო გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოტანის მომენტში არსებულ ფაქტებს და შემდგომში წარმოშობილმა ფაქტებმა არ შეიძლება დაადასტუროს გადაწყვეტილების უკანონობა<sup>18</sup>.

15 ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. 2012. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“  
 16 ნორმატიული აქტი №2352. 1999. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. მუხლი 1.1.  
 17 ნორმატიული აქტი №1106-ს. 1997. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მუხლი 421.1.  
 18 ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. 2012. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“

ახლად აღმოჩენილ გარემოებებს მიეკუთვნება მაგალითად თუ: აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; დადგენილია მონმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას და სხვა<sup>19</sup>. ახლად გამოვლენილია ზოგადად სამართლებრივი გარემოებანი, მაგალითად, სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, რაც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას<sup>20</sup>. რაც შეეხება ბათილად ცნობის საფუძვლით სასამართლო აქტის გაუქმების საკითხს, იგი უკავშირდება მაგ.: მხარის ან დაინტერესებული პირის საქმის განხილვაზე მოუწვევლობას და სხვა<sup>21</sup>.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2010 წლის 4 მაისის საქართველოს კანონით განხორციელდა ცვლილება, რომლითაც კოდექსის 423-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატა „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად ახლად აღმოჩენილ გარემოებად ასევე ჩაითვალა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით<sup>22</sup>.

ამავდროულად, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით კოდექსს დაემატა 34.2 მუხლი, რომლითაც ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით არ გავრცელდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლში შეტანილი დასახელებული ცვლილება<sup>23</sup>.

ზოგადად, საქმის წარმოების განახლება სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, შესაბამისი საფუძვლების, პირობების არსებობისას, სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეს ინსტიტუტი უდავოდ ემსახურება სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევის ლეგიტიმურ მიზანს, რაც, საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებების სრულყოფილ რეალიზაციას და ადეკვატურ დაცვას უზრუნველყოფს. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობით იყოს შექმნილი ამ ინსტიტუტის ეფექტურად გამოყენებისთვის ადეკვატური და საკმარისი გარანტიები... უფლების შემზღვეველი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის არსებობას<sup>24</sup>.

ცალსახაა, რომ კანონმდებლის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 342 მუხლის დანაწესის შემოღებით ბუნდოვანია დადგენილი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი - რა გახდა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევის არსებობის პირობებში, სამოქალაქო სამართალწარმოების მონაწილე პირებისაგან განსხვავებით ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე ფიზიკური თუ იურიდიული

19 ნორმატიული აქტი №1106-ის. 1997. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მუხლი 423.1.  
20 ნორმატიული აქტი №2186-ის. 1999. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მუხლი 102.1.  
21 ნორმატიული აქტი №1106-ის. 1997. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მუხლი 422.1.  
22 ნორმატიული აქტი №3046 - ის. 2010. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ. მუხლი 1.3.  
23 ნორმატიული აქტი №3035 – ის. 2010. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. მუხლი 1.2.  
24 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება. საქმე #3/1/531. 05.11.2013. [http://constcourt.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=22&id=810&action=show](http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=810&action=show) (22.09.2014)

პირების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება. ფაქტია, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, თუკი ეს ისახავს ლეგიტიმურ მიზნებს და თუკი არსებობს გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის; კერძოდ, დარღვეულია ბალანსი ერთის მხრივ სახელმწიფოს ინტერესსა და მეორეს მხრივ ფიზიკური თუ იურიდიული პირის ინტერესს შორის, შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ამ საგამონაკლისო რეგულაციით ილახება სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება.

ასევე საყურადრებოა ის გარემოებაც, რომ დაინტერესებული პირის სასარგებლოდ სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის საფუძვლით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიღებით დასრულებული პროცესის განახლებას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ მენარმის საქმიანობის შემონგების საკითხის გადაწყვეტის წესთან დაკავშირებით მითითებული კოდექსის 213 მუხლის მე-10 ნაწილის დანაწესი, რაც მენარმეს ან მისი წარმომადგენელს ანიჭებს უფლებას მენარმის საქმიანობის შემონგების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გაუქმების შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ახლადგამოვლენილი გარემოების საფუძვლით, თუმცა დასახელებული ნორმა არ აკონკრეტებს რა მოიაზრება ამ საფუძველში. მიმაჩნია, რომ ახლადგამოვლენილი გარემოების საფუძვლით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვასთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობა არ ემსახურება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების რეალიზებას. მაგალითად, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 241 მუხლში განხორციელებული ცვლილების თანახმად, 2012 წლის 1 ივნისამდე ზედმე-

ტად (არასწორად) გაცემული პენსია დაექვემდებარება ლეგალიზაციას, ამასთან მიეთითა, რომ 2012 წლის 1 ივნისამდე ამ კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე პენსიიდან დაკავებული თანხა არ ექვემდებარებოდა დაბრუნებას<sup>25</sup>. ანალოგიურად, დასახელებულ საკანონმდებლო აქტში მოგვიანებით შესული ცვლილების თანახმად, ლეგალიზაციას დაექვემდებარება უკვე 2013 წლის 1 დეკემბრამდე ზედმეტად (არასწორად) გაცემული პენსია<sup>26</sup>.

მითითებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, იმ ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომლებითაც პენსიონერს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული ჰქონდა უკანონოდ მიღებული საპენსიო თანხა და მიმდინარეობდა მისი აღსრულება, დავის განახლების მოთხოვნით მხარის (პენსიონერის) განცხადებაზე სასამართლომ მიუთითა, რომ საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტში ცვლილების შესვლა არ წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის არც „ვ“ და არც სხვა ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევას. იგი თავისი არსით მიეკუთვნებოდა არა ახლად აღმოჩენილ, არამედ ახლად გამოვლენილ გარემოებას, შესაბამისად სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა წარმოდგენილ განცხადებაზე, რადგან სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, საქმის წარმოების განახლება დასაშვებია იყო მხოლოდ ახლად აღმოჩენილი გარემოებების არსებობის პირობებში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა, ხოლო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით საერთოდ არ იყო გათვალისწინებული<sup>27</sup>.

ცალსახაა, რომ მსგავს შემთხვევებში ზემოაღნიშნულ საკითხზე საკანონმდებლო ნორმის არარსებობა მნიშვნელოვნად ართულებს დაინტერესებუ-

25 ნორმატიული აქტი #6540-ის. 2012. საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ. მუხლი 1.

26 ნორმატიული აქტი N1490-ის. 2012. საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. მუხლი 2.

27 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება. საქმე №ბ-121-2(ა-12). 30.01.2012. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx> (29.09.2014)

ლი პირის უფლების რეალიზებას – ეფექტურად დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოს მეშვეობით, რაც ასევე შეუსაბამობაშია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის დანაწესთან.

**საქმის წარმოების განახლების  
საფუძვლები საქართველოს  
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა  
კოდექსის მიხედვით**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც თავისი იურიდიული ბუნებით რეპრესიული ტიპის საკანონმდებლო აქტია, გარკვეული სახელცვლილებით ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე მიღებული დადგენილების გადასინჯვის რეგულაციას პროკურორის მიერ პროტესტის შეტანის სახით<sup>28</sup>, ამასთან კანონმდებლის მიერ არ არის დარეგულირებული სასამართლოს მიერ დადგენილების გამოტანიდან თუ რა ვადაშია შესაძლებელი პროკურორის მხრიდან პროტესტის წარდგენა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან/და სააპელაციო სასამართლოს დადგენილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნის მქონე პირების ჩამონათვალს<sup>29</sup>, რომელშიც მითითებული არ არის სამართალდამრღვევი. მიუხედავად ამ გარემოებისა, მიმაჩნია, რომ სასამართლო აქტის გადასინჯვის უფლების მქონე პირთა ჩამონათვალი ამოწურული არ არის და სამართალდამრღვევად ცნობილ პირს, როგორც მხარეს უფლება უნდა გააჩნდეს შესაბამისი წინაპირობების დაცვით სასამართლოს წინაშე დააყენოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე მიღებული დადგენილების გადასინჯვის საკითხი.

აქედან გამომდინარე მოცემულ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლების წესები იმ თავისებურებებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსით. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის ვადებიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული დადგენილების გადასინჯვა დასაშვები უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუკი მხარე, მათ შორის სამართალდამრღვევად ცნობილი პირი სასამართლოს წარუდგენს ისეთ გარემოებებს და მტკიცებულებებს, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმად განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა.

**დასკვნა**

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ადმინისტრაციულ სამართალში დასრულებული სასამართლო დავის განახლების მნიშვნელობა და ამ მიმართებით არსებული საკანონმდებლო რეგულაციის ხარვეზი როგორც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, ისე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით. ვფიქრობ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული კანონმდებლობის კიდევ უფრო დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან მისი დაახლოვება ხელს შეუწყობს იმ მნიშვნელოვანი უფლების რეალიზებას, რასაც სამართლიანი სასამართლოს უფლება ჰქვია.

28 ნორმატიული აქტი #161. 1984. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. მუხლი 274.  
29 ნორმატიული აქტი #161. 1984. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. მუხლი 279.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ადეიშვილი ზ. ვარდიაშვილი ქ. იზორია ლ. კალანდაძე ნ. კოპალეიშვილი მ. სხირტლაძე ნ. ტურავა პ. ქიტოშვილი დ. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005
2. ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2012
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1999
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997
5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თბილისი, 1999
6. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი, თბილისი, 2005
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება. საქმე №3/1/531. 05.11.2013.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება. საქმე №ბ-121-2(ა-12). 30.01.2012.

# დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმი

## საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი



### მარინე კაპანაძე

სამართლის ბაკალავრი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

სტუდენტი, კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

იურისტი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

### შესავალი

2014 წლის 02 მაისს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით შეიქმნა დისკრიმინაციის შემთხვევებთან ბრძოლის ერთიანი საკანონმდებლო ბაზა, რომლის უპირველეს მიზანს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული თანასწორუფლებიანობის ეფექტურად დაცვის შესაძლებლობა, მისი პრაქტიკული იმპლემენტაცია და საქართველოში ნებისმიერი ნიშნითა თუ ფორმით დისკრიმინაციის აკრძალვა წარმოადგენდა.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კანონის მიღებამდე დისკრიმინაციის აკრძალვა საქართველოში მოქმედი არაერთი სხვა ნორმატიული აქტით იყო გარანტირებული, თუმცა მათი არსებობა არ აღმოჩნდა საკმარისი კონსტიტუციური პრინციპების დაცვისათვის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორუფლებიანობის

უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, სრულყოფილი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება წარმოადგენდა საქართველოს მიერ ვიზალიბერალიზაციის ფარგლებში აღებული და შესასრულებელ ერთ-ერთ ვალდებულებას, რომელიც გათვალისწინებული იყო ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პირველი პროგრესის ანგარიშში.<sup>31</sup>

კანონის მიღებამ თავიდანვე გამოიწვია ვნებათაღელვა საზოგადოების სხვადასხვა ფგუფში მასში არსებული დისკრიმინაციის ნიშანთა ჩამონათვალისა თუ უფლების სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამო. არასამთავრობო ორგანიზაციათა კრიტიკას იწვევდა ის, რომ კანონი რეალურად არ უზრუნველყოფდა დარღვეული უფლების ეფექტურად აღდგენის შესაძლებლობას.<sup>32</sup> ანტიდისკრიმინაციული კანონის (იგივე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი) ამოქმედების შემდგომ აღნიშნული ეჭვები დადასტურდა,

31 Report from the Commission to the European Parliament and the Council, First Progress Report on the implementation by Georgia of the Action Plan on Visa Liberalisation, Brussels, 15 November 2013, §6.3 ob. <[http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/what-is-new/news/news/docs/20131115\\_1st\\_progress\\_report\\_on\\_the\\_implementation\\_by\\_georgia\\_of\\_the\\_apvl\\_en.pdf](http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/what-is-new/news/news/docs/20131115_1st_progress_report_on_the_implementation_by_georgia_of_the_apvl_en.pdf)>  
32 <[http://www.osgf.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=15&info\\_id=3752](http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=15&info_id=3752)> [07.07.2016]

რასაც მიუთითებს კოალიცია „თანასწორობისათვის“ შემაჯავლი ორგანიზაციების ანგარიშიც ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებით, 2014 წლის მაისიდან 2015 წლის აპრილამდე პერიოდში.<sup>33</sup>

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია სასამართლო პრაქტიკის კვლევისას გამოვლენილი ხარვეზები, ასევე პოზიტიური მიგნებები და ტენდენციები. მთლიანობაში სტატია იძლევა იმის ნათელსურათს, თუ რა მდგომარეობაა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის („დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი და მასთან დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტები) აღსრულების თვალსაზრისით საერთო სასამართლოებში.

## 1. საქმეთა დასაშვებობა

### 1.1. სარჩელის წარმოებაში მიღება-ხარვეზის დადგენა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლი ადგენს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თ) ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში მითითებული პირობების დარღვევით. თავისმხრივ 178-ე მუხლში ჩამოთვლილია, თუ რა უნდა იყოს აღნიშნული სარჩელში. მათ შორისაა დავის საგანი, მოსარჩელის მოთხოვნა, შუამდგომლობები და სხვა საკითხები.

ზემოთ აღნიშნული ზოგადი წესისგან განსხვავებით, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების სამართალწარმოებისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ს მე-73 კარში განწერილი წესებით, რომელიც უშუალოდ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ სარჩელს ეხება (სსსკ-ს 363<sup>1</sup> მუხლი).

სსსკ-ს 363<sup>4</sup> -ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „სარჩელის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველად წარდგენის შემთხვევაში

სასამართლო ადგენს ხარვეზს და მოსარჩელეს მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები. განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს წარმოებაში იღებს, ხოლო თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და სარჩელსა და თანდართულ დოკუმენტებს მოსარჩელეს უბრუნებს.“

ამრიგად, აღნიშნული წესი მიუთითებს, რომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა სასამართლოს ამ ტიპის დავებზე შეუძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც განუსაზღვრავს მოსარჩელეს ხარვეზის აღმოსაფხვრელად ვადას და მისი აღმოფხვრა არ მოხდება დათქმულ ვადაში.

მიუხედავად ასეთი დანაწესისა, სასამართლო პრაქტიკის კვლევისას დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლემ უგულებელყო სსსკ-ს 363<sup>4</sup> -ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი სპეციალური წესი და დისკრიმინაციის საქმეზე ხარვეზის დადგენის ნაცვლად უარი თქვა მის განხილვაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 16 დეკემბრის განჩინებით უარი თქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იყო ბუნდოვანი და გაურკვეველი, ამასთან მოსარჩელე მხარეს სრულყოფილად არ ჰქონდა მითითებული მოპასუხეების მისამართი და პირადი ნომრები. სასამართლომ სსსკ-ს 178-ე მუხლზე და 186-ე მუხლის პირველი ნაწილის თ) ქვეპუნქტზე მითითებით დაასკვნა, რომ სარჩელი არ აკმაყოფილებდა კანონმდებლობის მოთხოვნებს და შესაბამისად სახეზე იყო სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელეები შინაგან საქმეთა სამინისტროს და მისი წარმომადგენლების მხრიდან ითხოვდნენ დისკრიმინაციის ქმედების აღმოფხვრას და მორალური ზიანის ანაზღაურებას.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული განჩინება მოსარჩელეებმა გაასაჩივრეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. სასამართლომ 2015 წლის 03 თე-

<sup>33</sup> კოალიცია „თანასწორობისათვის“ 2014 წელს შეიქმნა და იგი აერთიანებს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც დისკრიმინაციის წინააღმდეგ სხვადასხვა ღონისძიებებს ახორციელებენ, მათ შორის არიან დისკრიმინაციის მსხვერპლების წარმომადგენლები სახალხო დამცველთან და საერთო სასამართლოებში.

ბერვალს დააკმაყოფილა მოსარჩელეთა კერძო საჩივარი და აღნიშნა:

„განსახილველ შემთხვევაში [ბათუმის საქალაქო] სასამართლომ იხელმძღვანელა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ საპროცესო კანონმდებლობის ზოგადი წესის დამდგენი ნორმებით, ნაცვლად დისკრიმინაციის საქმეზე სპეციალური წესებისა.“<sup>34</sup>

კერძოდ, მან არ განუსაზღვრა ვადა მოსარჩელეს ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აზრით, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, ბათუმის საქალაქო სასამართლოს კიდევ ერთი, 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება „სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ“, სადაც სასამართლო ამბობს, რომ ფორმირებული მოთხოვნა ბუნდოვანია, ასევე გაურკვეველია ფაქტები მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში. მართალია სასამართლო უთითებს სსსკ-ს მე-7<sup>3</sup> კარით დადგენილ სპეციალურ ნორმებზე ხარვეზის დადგენასთან დაკავშირებით, თუმცა ასკვნის:

„იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელში ჩამოყალიბებულია რამდენიმე მოთხოვნა, რომელსაც ინდივიდუალური ფაქტობრივი საფუძველი აქვს, ვერ მოხდება პროცესუალური ხლეჩვა სასარჩელო მოთხოვნების, ამიტომ მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის განსახილველად მიღებაზე.“<sup>35</sup>

ხაზგასასმელია, რომ მსგავს შემთხვევებზე ზუსტ პასუხს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იძლევა. კერძოდ, გაურკვეველია თუ რომელი ნორმით (ნორმებით) უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო მაშინ, როდესაც სარჩელში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან ერთად დაფიქსირებულია სხვა სასარჩელო მოთხოვნაც- სსსკ-ს მე-7<sup>3</sup> კარით დადგენილი წესებით, თუ კოდექსის ზოგადი მოთხოვნებით? თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციის ფაქტი როგორც წესი ხშირ შემთხვევაში არ დგება დამოუკიდებლად, არამედ მას თან ახლავს პირის კონკრეტული უფლების

შეზღუდვა, როგორცაა შრომის უფლება, რელიგიის თავისუფლება, განათლების უფლება და სხვა. ამიტომ ხშირ შემთხვევაში პირის სასარჩელო მოთხოვნაც უკავშირდება არამხოლოდ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, მის შეწყვეტას ან მისი შედეგების აღმოფხვრას, არამედ ასევე იმ ძირითადი უფლების აღდგენას, რომელიც დაერღვა. შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ სსსკ-ს მე-7<sup>3</sup> კარით დადგენილი სპეციალური წესები თავის თავში მოიაზრებს ყველა იმ სასარჩელო დავას, რომელიც დაკავშირებულია დისკრიმინაციის ფაქტთან, მათ შორის იმ დავებსაც, რომელიც დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან ერთად მოიცავს სხვა მოთხოვნებსაც, მათ შორის როგორცაა მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება, სამუშაოზე აღდგენა თუ სხვა რამ. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში სასამართლომ ისევ მე-7<sup>3</sup> კარით დადგენილი მოთხოვნებით უნდა იხელმძღვანელოს და არა ზოგადი წესებით.

გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებით კოდექსით დადგენილი სპეციალური წესები დისკრიმინაციის მსხვერპლს უადვილებს მისი საქმის განხილვის პროცესს (მაგალითად, სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსარჩელეს თავიდან უწევს ბაჟის გადახდა და სარჩელის შეტანა სასამართლოში, მაშინ როდესაც ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, იგი მხოლოდ ხარვეზს ასწორებს). შესაბამისად, სპეციალური წესების გამოყენება დაკავშირებულია მოსარჩელის მიერ საკუთარი პროცესუალური უფლებებით ეფექტიანად სარგებლობასთან და აქვს მნიშვნელოვანი დატვირთვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თუნდაც კანონმდებლობა არ იძლეოდეს ზუსტ მითითებას ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებით, სასამართლომ იგი ადამიანის უფლებათა სასარგებლოდ უნდა განმარტოს. მსგავსი პრინციპი მოქმედებს სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებისას, რა დროსაც სასამართლო ყურადღებას ამახვილებს კონვენციის მიზანსა და ობიექტზე. ხელშეკრულების ინტერპრეტაცია, სასამართლოს აზრით, უნდა მოხდეს

34 ქუთაისის საპელაციო სასამართლოს 2015 წლის 03 თებერვლის განჩინება.

35 ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება საქმე N2/3524-2015, თ.ფ. სსიპ „ი.-ს“ წინააღმდეგ.

ყველაზე შესაფერისი/ადეკვატური გზით, იმისათვის რომ მიღწეულ იქნეს ხელშეკრულების მიზანი და რეალიზებულ იქნეს მისი ობიექტი.<sup>36</sup> თავისმხრივ საქართველოს, როგორც ამ კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს, ასევე აკისრია ვალდებულება საკუთარი კანონმდებლობა სწორედ მასთან შესაბამისად განმარტოს. აღნიშნული გამომდინარეობს ე.წ. „განმარტების პრინციპიდან“.<sup>37</sup>

მოცემულ შემთხვევაში, როგორც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინებაშია მითითებული, პირი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან ერთად ითხოვდა მიუღებელი ხელფასის და მორალური ზიანის ანაზღაურებას. ამგვარი მოთხოვნები თვისობრივად და დაკავშირებული დისკრიმინაციის ფაქტთან, ვინაიდან დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა განაპირობებს სწორედ მიუღებელი ხელფასის და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასაც, შესაბამისად სასამართლოს სახელმძღვანელო პრინციპებს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა სსსკ-ს მე-7<sup>3</sup> კარით დადგენილი წესები.

მსგავსი შემთხვევა ფიქსირდება ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2015 წლის 15 თებერვალს მიღებულ განჩინებაში „სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ“. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან ერთად წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ხელფასის ანაზღაურება. სასამართლომ სსსკ-ს 186-ე და 178-ე მუხლებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ სარჩელი არ პასუხობდა კანონმდებლობის მოთხოვნებს და შესაბამისად სახეზე იყო მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი, ხოლო მე-73 კარით დადგენილ სპეციალურ წესზე სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია. აღნიშნულისგან განსხვავებით თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 16 მარტს ერთ-ერთ საქმეზე მოსარჩელეს დაუდგინა ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრა

07 დღე. თუმცა იმის გამო, რომ მოსარჩელემ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეავსო, სასამართლომ 2015 წლის 08 მაისის განჩინებით უარი თქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

ამგვარად, განხილული საქმეები ცხადყოფს, რომ სასამართლოს ჯერჯერობით უჭირს სსსკ-ს მე-73 კარით დადგენილი სპეციალური წესებით ხელმძღვანელობა, როდესაც საქმე დისკრიმინაციას ეხება. საჭიროა მოსამართლეთა გადამზადება და ამასთან ერთად დრო და პრაქტიკა, იმისათვის, რათა სასამართლომ გაითავისოს დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების სპეციფიკურობა, როდესაც სარჩელების დასაშვებობაზე, ხარვეზის დადგენაზე და სარჩელის მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით მსჯელობს.

ამასთან, აუცილებელია კანონმდებლობა იძლეოდეს უფრო ნათელ რეგულაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ, როდესაც სარჩელში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან და მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან ერთად სხვა მოთხოვნებიცაა დაყენებული.

## 12. დავა განსჯადობაზე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის

სასამართლო პრაქტიკის კვლევის ფარგლებში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სასამართლომ ხელოვნურად გაყო დავა ადმინისტრაციულ და დისკრიმინაციის დავად იმ მოტივით, რომ სსსკ-ს მე-73 კარი გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო საქმეებზე.

კერძოდ, ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის გამო პირის საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის

36 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1968 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Wemhoff v. Germany, პარ. 8.

37 Jensen, The European Convention on Human Rights in Scandinavian Law: A Case Law Study, 1992, 110. ნიგნიდან: კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტების პრინციპები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2002, 488.

42-ე მუხლის“ მიერ წარდგენილ სარჩელებზე.<sup>38</sup> ასევე რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით სამართალწარმოებისას, სადაც სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული კოლეგია ვერ იმსჯელებდა დისკრიმინაციის ფაქტზე და ამ ნაწილში საქმე სამოქალაქო კოლეგიას უნდა განეხილა.<sup>39</sup> ამავე მოტივით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2016 წლის 29 თებერვლის განჩინებით ერთ-ერთი საქმე (სადაც მოსარჩელე ითხოვდა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას და მორალური ზიანის ანაზღაურებას თბილისის საქალაქო სასამართლოსა და მოსამართლე ლ.მ.-ს მხრიდან) განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. სასამართლოს მოტივაციას ძირითადად წარმოადგენს ის, რომ

*„კანონმდებლობა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მისი აღმოფხვრისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმეების განსჯადობას სამოქალაქო სასამართლოებს მიაკუთვნებს, შესაბამის საქმეთა განხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო ნორმებით სპეციალური წარმოება განსაზღვრული, რაც გამორიცხავს ამ საქმეთა ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განხილვას.“<sup>40</sup>*

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიდგომა არ წარმოადგენს კანონმდებლობის სისტემური გააზრების შედეგს და ასეთი პრაქტიკის დამკვიდრება საფრთხეს უქმნის დისკრიმინაციის მსხვერპლთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სათანადოდ დაცვას შემდეგი მიზეზების გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლი ადგენს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს. სზაკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდ-

ვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება.“ ამგვარად, დისკრიმინაცია აკრძალულია ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, თუკი მას არ აქვს შესაბამისი გამართლება. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის განხორციელება შესაძლოა მოხდეს როგორც ადმინისტრაციული აქტის გამოცემით, ასევე მისი არ გამოცემით, რეალაქტით ან ნებისმიერი სხვა ქმედების განხორციელებისას, რომელიც ადმინისტრაციულ წარმოებას უკავშირდება. შესაბამისად აუცილებელია, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებდეს მსგავსი შემთხვევების აღკვეთის და გასაჩივრების მექანიზმებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ცალკე დისკრიმინაციული ფაქტის შესახებ დავის გადაწყვეტის მექანიზმს, არამედ ეხება მხოლოდ შემდეგ საკითხებს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი კონკრეტული საკითხების გარდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულია:

„ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც

39 კოალიცია „თანასწორობისათვის“, ანგარიში „ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება“, ერთი წლის შედეგები, 54; იხ: [https://www.osgf.ge/files/2015/Publication/EU-Georgia%20Association%20Report\\_210x270mm.pdf](https://www.osgf.ge/files/2015/Publication/EU-Georgia%20Association%20Report_210x270mm.pdf) [05.07.2016]

40 <<https://emc.org.ge/2016/06/08/emc-83/>> [07.07.2016]

41 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 ივნისის განჩინება, საქმე N 2/1184-16, ნ.ა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ.

აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.“

ამრიგად, აღნიშნული ნორმა შესაძლებლობას იძლევა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას მიკუთვნებულ საკითხთა წრე გაფართოვდეს და მოიცვას ნებისმიერი დავა, რომელიც თავისი ბუნებით სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას უკავშირდება. ამასთან ხაზგასასმელია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.“

შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუკი დისკრიმინაციის განმარტაციული სუბიექტი ადმინისტრაციული ორგანოა, ლოგიკურია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-73 კარით დადგენილი წესები ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამაც გამოიყენოს. სამოქალაქო საქმეთა კოლეგია ვერ იქნება უფლებამოსილი საქმის განსჯადობაზე დისკრიმინაციის იმ დავებთან დაკავშირებით, სადაც მეორე მხარე ადმინისტრაციული ორგანოა. ეს ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული სამართალწარმოების არსს, რომლის ფარგლებშიც უნდა განიხილებოდეს ადმინისტრაციულ ორგანოსთან დაკავშირებული ნებისმიერი საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დავა.

ამ ზოგადი წესიდან გამონაკლის შემთხვევას ითვალისწინებს თავად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომელიც მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ანდა არბიტრაჟში (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 251 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი).

ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, როგორც წესი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრიმინაციული ქმედება შესაძლოა განხორციელდეს

სწორედ ადმინისტრაციული აქტის გამოცემით, ან გამოცემაზე უარის თქმით. შესაბამისად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მაგალითად ინდივიდუალური აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგამომდინარე მოთხოვნებია, რომელთა პროცესუალური ხლეჩვა იქნება გაუმართლებელი, რაც უსაფუძვლოდ გააჭიანურებს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას და ხელყოფს მოსარჩელის უფლებას სამართლიან სასამართლოზე.

უნდა აღინიშნოს, რომ განსჯადობასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო და ჩვენი აზრით, მართებულ მსჯელობას აყალიბებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ირაკლი კოპალიანი, რომელმაც 2016 წლის 11 მარტს მიიღო განჩინება „განსჯადობაზე დავის გამო საქმის საკასაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ“. საქმე ეხება 2016 წლის 29 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ მიღებულ განჩინებას, რომლითაც დისკრიმინაციის დადგენის ნაწილში საქმე ამავე სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიას გადაეცა. სამოქალაქო კოლეგიის მოსამართლემ ირაკლი კოპალიანმა აღნიშნული არ მიიჩნია მართებულ გადაწყვეტილებად და სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ მოცემული დავა განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას. მსგავსი განჩინებები მიღებულია კიდევ ორ საქმეზე 2016 წლის 29 თებერვალს<sup>41</sup> და 2016 წლის 28 ივნისს.<sup>42</sup>

პირველი გარემოება, რაზეც სასამართლო ამახვილებს ყურადღებას მდგომარეობს შემდეგში: ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არ უარყო ის ფაქტი, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქმე მისი განსჯადი იყო. ამრიგად, ამ შემთხვევაში, სარჩელის არსს წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურება დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის გამო. ზიანის ანაზღაურებას კი მოსარჩელე მხარე ითხოვს თანამდებობის პირისგან, რომელიც საქართვე-

41 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 თებერვლის განჩინება საქმე N 2/26200-15, თ.ჭ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისან-სამგორის გამგეობის წინააღმდეგ.

42 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 ივნისის განჩინება საქმე N2/1184-16, ნ.ა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ.

ლოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო განმარტავს:

„დისკრიმინაციული მოპყრობა არის მხოლოდ ის მართლსაწინააღმდეგო ნიშანი, რომელიც ასახავს კანონდარღვევის ხასიათს, მის სამართლებრივ ბუნებასა და რაობას. ეს მოცემულობა მსგავსია ისეთი შემთხვევისა, როდესაც მაგალითად ადმინისტრაციული სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ პირის საკუთრების უფლების ხელყოფიდან გამომდინარე და მხარემ მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება უკანონოდ ჩამორთმეული ქონების გამო (რომელიც დავუშვათ უკვე შეძენილი აქვს სხვა კეთილსინდისიერ შემძენს). ასეთ შემთხვევაში ხომ, მხარის ინტერესია მორალური ზიანის ანაზღაურება, ხოლო საკუთრების კონსტიტუციური უფლების ხელყოფა კი არის კანონდარღვევის ხასიათის განმსაზღვრელი მოცემულობა და სწორედ ამ კანონმდებლობის დარღვევისა და შესრულების თაობაზე უნდა იმსჯელოს ადმინისტრაციულმა სასამართლომ, როდესაც ის განიხილავს ასეთი შინაარსის სარჩელს.“<sup>43</sup>

სასამართლოს აზრით სწორედ ზემოაღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე აიხსნება ისიც, რომ:

„კანონმდებელი არ უშვებს მხოლოდ დისკრიმინაციული ფაქტის დადგენის თაობაზე დამოუკიდებელი სარჩელის არსებობის შესაძლებლობას, არამედ განსაზღვრავს, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს მისი შეწყვეტა ან/და მისი შედეგების აღმოფხვრა ან მხარემ მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.“<sup>44</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო ასკვნის:

„ნებისმიერი სახის სასარჩელო განცხადებით მიმდინარე სამართალწარმოებაში დისკრიმინაციული ნიშნით მიღებული გადაწყვეტილების შედავება, თავისთავად ვერ აქცევს ამ სარჩელს სამოქალაქოდ.“<sup>45</sup>

ამრიგად, განსჯადობის საკითხზე მსჯელობისას გადამწყვეტია დავის არსი: თუკი იგი საჯარო-სამართლებრივი ხასიათისაა და გამომდინარეობს საჯარო კანონმდებლობიდან, სადაც მეორე მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ სწორედ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ უნდა იმსჯელოს. საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადამწყვეტილებაში უთითებს:

„კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.“<sup>46</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლო განჩინებაში დამატებით ყურადღებას ამახვილებს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ჩანაწერზე, სადაც არაა დაკონკრეტებული თუ სასამართლოს რომელმა კოლეგიამ უნდა განიხილოს საქმე, არამედ მხოლოდ მიუთითებს, რომ „ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დანესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.“ ამდენად, სასამართლოს აზრით, ასეთი ჩანაწერი ცხადყოფს, რომ დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლა სასამართლოს შესაბამისი კოლეგიის მიერ უნდა მოხდეს დავის არსიდან გამომდინარე.

43 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის განჩინება.

44 იქვე

45 იქვე

46 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილება N ბს-487-483(გ-11).

სასამართლო საბოლოოდ ასკვნის, რომ ამგვარი დაყოფა გამოიწვევს მოსარჩელის უფლებების ხე-ღყოფას, მისი სარჩელი განიხილოს უფლებამოსილმა სასამართლომ. შესაბამისად, მისი აზრით, იგი არ იქნება შესაბამისობაში არც სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დამდგენ საერთაშორისო რეგულაციებთან.

გასათვალისწინებელია რომ განსჯადობასთან დაკავშირებით წარმოშობილ ერთ-ერთ დავაზე სასამართლო მეგობრის მოსაზრება წარადგინა სახალხო დამცველმა, რომელმაც მოსაზრებაში ხაზი გაუსვა შემდეგს:

*„სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ისეთი ჩანაწერის არსებობა, რომელიც არ არის ადმინისტრაციულ პროცესში, არ წარმოადგენს განსჯადობის განმსაზღვრელს და ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლეს აქვს თავისუფლება გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლები. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ არეგულირებს დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების განხილვის სპეციფიკას, შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების დროს ადმინისტრაციული კოლეგია უნდა იყენებდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7<sup>ბ</sup> თავს.“<sup>47</sup>*

აღსანიშნავია, რომ მოცემულ და კიდევ რამდენიმე სხვა საქმესთან დაკავშირებით განსჯადობის საკითხი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განხილვის პროცესშია.<sup>48</sup>

განხილული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე მეტი სიცხადისათვის და განსჯადობის შესახებ დავების თავიდან არიდებისათვის უკეთესი იქნება, თუკი შესაბამისი ცვლილებები შევა საქართველოს კანონმდებლობაში და ადმინისტრაციულ

საპროცესო კოდექსში გაჩნდება ისეთივე ჩანაწერი, როგორც ეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსშია მე-7<sup>ბ</sup> კარის სახით ან/და გაკეთდება მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ დისკრიმინაციის დავების განხილვისას გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7<sup>ბ</sup> კარით დადგენილი წესები.

## 2. მტკიცების ტვირთი

სსსკ-ს 363<sup>პ</sup> მუხლის თანახმად, „სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.“

ამრიგად, დისკრიმინაციის საქმესთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს მტკიცების სპეციალურ სტანდარტს, რომლის თანახმად, დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლი ვალდებულია წარადგინოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომელიც საკმარისი იქნება დისკრიმინაციული ქმედების ვარაუდისათვის. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კი მოქმედებს დისკრიმინაციის განხორციელების პრეზუმფცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხე მხარეს წარმოეშობა იმის მტკიცების ვალდებულება, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა ან მას ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება. აღსანიშნავია რომ მტკიცების ტვირთის მსგავსი სტანდარტი 2013 წლის 04 ივლისიდან მოქმედებს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ შრომით დავებშიც<sup>49</sup>.

აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთის ამგვარი გა-

47 საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება საქმე N3/4436-14. იხ. <<https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUQTFFbkRtankteK/view>>

48 შენიშვნა: კვლევის განხორციელებისას უზენაეს სასამართლოში განსჯადობასთან დაკავშირებით საქმეების წარმოება დასრულებული არ იყო, შესაბამისად იგი არაა ასახული კვლევაში, თუმცა საკითხის აქტუალობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე საინტერესო იქნებოდა მისი შემდგომი შეფასება.

49 საქართველოს შრომის კოდექსის მე-402 მუხლის მე-3 ნაწილი.

დანაწილება და ე.წ. ორეტაპიანი ტესტის გამოყენება<sup>50</sup> მიღებული და გამოყენებადია, როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ აქვს მკაფიო და ყოვლისმომცველი პრაქტიკა ამ მიმართულებით, ზოგადი ტენდენცია მიმართულია სწორედ მტკიცების ტვირთის მხარეებს შორის გადანაწილებისკენ, როდესაც მოპასუხე სახელმწიფოს უწევს იმის მტკიცება, რომ განსხვავებული მოპყრობას საერთოდ არ ჰქონია ადგილი ან იგი იყო გამართლებული. ცხადია, ასეთ მიდგომას აქვს თავისი ახსნაც, მტკიცების ტვირთის სახელმწიფოზე გადატანა უზრუნველყოფს იმას, რომ დისკრიმინაციის აკრძალვა, როგორც კონვენციით აღიარებული ერთ-ერთი გარანტია შეინარჩუნებს ეფექტიანობას.<sup>51</sup> მტკიცების ტვირთის მსგავსი სტანდარტი მოქმედებს ასევე ევროკავშირის სამართალში სქესის ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.<sup>52</sup>

მიუხედავად სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული მკაფიო ჩანაწერისა და საერთაშორისო სტანდარტებისა, სასამართლო პრაქტიკაში არ იკვეთება ამ სტანდარტის გამოყენების თანმიმდევრული და ცალსახა მიდგომა. სასამართლო დისკრიმინაციის ფაქტზე მსჯელობისას ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ უთითებს სსსკ-ს 363<sup>3</sup> მუხლით დადგენილ მტკიცების ტვირთის სპეციალურ წესზე და ასკვნის მხოლოდ იმას, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა დისკრიმინაციის ფაქტის არსებობა.<sup>53</sup> შედარებით ვრცელ ჩანაწერს მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ვხვდებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს

2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებაში, სადაც სასამართლო სსსკ-ს 363<sup>3</sup> მუხლით დადგენილ მტკიცების სტანდარტის გარდა იშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასაც და საბოლოოდ ასკვნის:

*„სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან დადასტურებული იქნა მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი, რომლის არსებობის უარსაყოფი საწინააღმდეგო მტკიცებულებები მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია.“*

მტკიცების ტვირთისა და მოპასუხის ვალდებულებაზე საუბრობს ასევე ქუთაისის საქალაქო სასამართლო, რომელმაც 2016 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებაში მიუთითა:

*„დისკრიმინაციის სავარაუდო ჩამდენს ბრალდებების გაბათილება შეუძლია ორი გზით: დაამტკიცოს, რომ მოსარჩელე რეალურად არ არის მისი „კომპარატორის“ მსგავს ან თანაფარდ სიტუაციაში, ან განსხვავებული მოპყრობა ეფუძნება არა დაცულ საფუძველს, არამედ სხვა ობიექტურ განსხვავებებს. თუ ჩამდენი ვერ შეძლებს ბრალდების გაბათილებას, მაშინ უნდა ამტკიცოს, რომ განსხვავებული მოპყრობა ობიექტური მიზეზებით იყო გამართლებული და პროპორციულ ღონისძიებას წარმოადგენდა.“<sup>54</sup>*

აუცილებელია სასამართლომ მტკიცების ტვირთი სსსკ-ს მე-7<sup>3</sup> კართით დადგენილი სპეციალური წესის შესაბამისად, გონივრულად გადაანაწილოს. სსსკ-ს 363<sup>3</sup> მუხლით დადგენილი სტანდარტი გულისხმობს არა იმას, რომ დისკრიმინაციის მსხ-

50 „ორეტაპიანი ტესტი“ გულისხმობს იმას, რომ თავდაპირველად მოსარჩელე მხარეს აკისრია ვალდებულება წარმოადგინოს საკმარისი ფაქტები, რომელიც დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს იძლევა (იგივე „prima facie case of discrimination“). თუკი მოსარჩელე მოახერხებს ამას, შემდგომ უკვე მეორე მხარეს აკისრია ვალდებულება დაადასტუროს საპირისპირო და დაამტკიცოს, რომ განსხვავებულ მოპყრობას ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება.

51 Arnardóttir O.M: Non-discrimination Under Article 14 ECHR, Scandinavian Studies In Law © 1999-2012, 17.

52 საბჭოს 1997 წლის 15 დეკემბრის დირექტივა 97/80/EC, სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციისას მტკიცების ტვირთის შესახებ Official Journal of the European Communities L 14/6.

53 ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N3/62-2014 არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) „თ-ა“, ა.ვ. , თ.ც. და ნ.ბ. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მ.გ.-ს წინააღმდეგ; ამავე საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება საქმე N 3/ბ-221-156.; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმე N3/4396-14, ი.კ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ.

54 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება საქმე N2/1330-15, გ.პ. სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N ... პენიტენციური დაწესებულების წინააღმდეგ.

ვერპლმა უნდა წარადგინოს უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებს მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის განხორციელებას, არამედ მხოლოდ საკმარისი მტკიცებულებები, რაც ობიექტურ დამკვირვებელს ავარაუდინებს, რომ შესაძლოა მის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას.

ამის საპირისპიროდ, სასამართლო პრაქტიკაში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სასამართლომ დისკრიმინაციის მსხვერპლის მიერ მიითვლებული გარემოებები არ ჩათვალა საკმარისად დისკრიმინაციის ფაქტის დასადასტურებლად და არა ასეთის ვარაუდისათვის.

მაგალითად, ახალციხის რაიონული სასამართლოს ერთ-ერთ საქმეში იკვეთებოდა რამდენიმე გარემოება, მათ შორის ის რომ მოსარჩელე თ.მ. მუშაობდა სოფელ მ-ში გამგებლის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებლად და სხვა კანდიდატებთან შედარებით ვაკანტურ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებაც მეტი ჰქონდა. ამასთან, მის გარდა ყველა ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი დაინიშნა თანამდებობაზე. ასევე გასათვალისწინებელია, თ.მ. -ს მიერ მუსლიმი თემის ღია მხარდაჭერის ფაქტი და მუსლიმთა მიმართ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პოლიტიკოს ზოგადი კონტექსტი, რომელზეც მოწმეები საუბრობენ.<sup>55</sup> აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებაში საერთოდ არ მსჯელობს და აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მოსარჩელე მხარე ვაკანტურ თანამდებობაზე მისი უპირატესი დატოვების შესაძლებლობას ვერ ასაბუთებს.<sup>56</sup>

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში კი სასამართლომ საკმარის და ყურადსაღებ მტკიცებულებად არ მიიჩნია ის ფაქტი, რომ კომისიის ერთ-ერთმა წევრმა თავადვე აღიარა საკუთარი სუბიექტური დამოკიდებულება კანდიდატების მიმართ („მე ცოტა სუბიექტური ვიყავი, რომ მამაკაცი უნდა ყოფილიყო ამ პოზიციაზე“).<sup>57</sup>

55 საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება საქმე N120310015797818 იხ. <<http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/amicus-curiae2/sasamartlos-megobris-mosazreba-reliigiis-nishnit-diskriminaciis-savaraudo-faqtan-dakavshirebit-tbilisis-saapelacio-sasamartlos.page>>

56 ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე N15797818-3/074-156., თ.მ. აღიგენის მუნიციპალიტეტი სვამგეობის წინააღმდეგ.

57 ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 08 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე N3/101-2015.

ამრიგად, განხილული საქმეები ცხადყოფს, რომ სასამართლო კორპუსი საქმეებს გადამზადებას დისკრიმინაციის საქმეებზე მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით.

### 3. სასარჩელო მოთხოვნები

#### 3.1. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ან მისი შედეგების აღმოფხვრა

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმის გამოკვლევა თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს ამ საკითხსა და მოსარჩელის მიერ დაყენებულ სხვა სასარჩელო მოთხოვნებს შორის და რა გავლენას ახდენს დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა მათზე.

ამ მხრივ აღსანიშნავია, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 მაისის და ამავე საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება ი.კ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ.

თბილისის საქალაქო სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ „დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შეფასებას“, რაც ამ შემთხვევაში სასამართლომ თავად იმ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა, რომელმაც მიიღო სადავო აქტი. შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნები იყო უსაფძვლო.

ამრიგად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა მხოლოდ მას შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, რაც შეფასდებოდა თავად აქტის კანონიერება. აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსგან განსხვავებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საკუთარი მსჯელობა პირიქით წარმართა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ დავის

ფარგლებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობის იყო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, რის შემდეგაც სასამართლოს უკვე მიეცემოდა იმის შესაძლებლობა, რომ მოსარჩელის სხვა მოთხოვნების შესახებ ემსჯელა და დაეკმაყოფილებინა. ამგვარად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნია, იმისათვის რომ დაკმაყოფილებულიყო აპელანტის სხვა სასარჩელო მოთხოვნებიც (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, მორალური ზიანის ანაზღაურება). სასამართლოს განმარტებით,

*„დავის გადაწყვეტისას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის დადგენას, ჰქონდა თუ არა ადგილი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან [აპელანტის] მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას პოლიტიკური ნიშნით. აღნიშნული ფაქტის დადგენა კი ავტომატურად გადაწყვეტს ი.კ.-ს სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივ ბედს.“<sup>58</sup>*

აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ დისკრიმინაციის ფაქტზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა დისკრიმინაციის არსზე და მისი დადგენის კრიტერიუმებზე. კერძოდ, იგი დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისო კონვენციების ნორმებს, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ სტანდარტებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში სახეზე იყო განსხვავებული მოპყრობა პოლიტიკური ნიშნით, რომელსაც არ ჰქონდა რაიმე გამამართლებელი ლეგიტიმური მიზანი (არ ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება). შესაბამისად, სახეზე იყო დისკრიმინაცია:

*„[აპელანტის] თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგეს ი.კ.-ს მიმართ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინა-*

*ციული მოპყრობის საფუძველზე მიღებულ აქტს, რომელმაც ი.კ. არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერისა თუ მისდამი სიმპათიის გამო, ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით და ამგვარ მოპყრობას არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი.“*

რაც შეეხება დამდგარი დისკრიმინაციული შედეგის აღმოფხვრას, სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი გულისხმობს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს აზრით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა უნდა მომხდარიყო პირის თანამდებობაზე ხელახლა დანიშვნის გზით. სწორედ ამიტომ, სასამართლომ ბათილად ცნო აპელანტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანება. უნდა აღინიშნოს, რომ შრომით დავებში დისკრიმინაციული შედეგების აღმოფხვრა უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია სწორედ პირის სამუშაოზე აღდგენასთან და განაცდური ხელფასის ანაზღაურებასთან.

ამრიგად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა სასამართლოსათვის საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ბათილად ეცნო სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაეკმაყოფილებინა აპელანტის სხვა სასარჩელო მოთხოვნებიც.

სასამართლოს ამგვარი მიდგომა პოზიტიურად უნდა შეფასდეს. დისკრიმინაციული მოპყრობა არის ის რაც შესაძლოა საფუძველად ედოს მიღებულ სამართლებრივ აქტს. შესაბამისად, დისკრიმინაციული მოპყრობის მოტივით პირის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული აქტი აპრიორი არღვევს კანონს (“დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონს) და სახეზეა მისი ბათილობის საფუძველი (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601 მუხლის პირველი ნაწილი).

58 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საქმე N 3ბ/197-15, ი.კ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ.

### 3.2. დისკრიმინაციის დადგენა წარმოადგენლობით ორგანოში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას

პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით საინტერესოა ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა. საქმე ეხება 2015 წლის 02 მარტის გადაწყვეტილებას, რომლითაც ახალციხის რაიონულმა სასამართლომ მართალია ბათილად ცნო ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №48 განკარგულება ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან აპელანტის გადაყენების შესახებ, თუმცა დისკრიმინაციის ფაქტი მის მიმართ არ დაუდგენია. ახალციხის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა:

*„პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია, არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას პოლიტიკური ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით. მოცემულ შემთხვევაში კი, საკრებულოს წევრების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულება, რიგგარეშე სხდომაში მონაწილეობის მიღება, ამა თუ იმ კანდიდატურისათვის ხმის მიცემა ან არმიცემა, ვერ ჩაითვლება პოლიტიკურ დისკრიმინაციად... აღნიშნულის, როგორც დისკრიმინაციული მოპყრობის განხილვა არასწორია, რადგან საკრებულოს მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებისას, ბუნებრივია, რომ ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, როდესაც მიღებული გადაწყვეტილება მისაღებია ერთი პოლიტიკური ჯგუფისათვის და მიუღებელია მეორე პოლიტიკური ჯგუფისათვის.“<sup>59</sup>*

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „დისკრიმინაცია არ

მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასთან ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება.“

მოცემულ შემთხვევაში ახალციხის რაიონული სასამართლო მართალია არ ახსენებს აღნიშნულ ნორმას, თუმცა მისი მსჯელობიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ის სწორედ ამ ნორმაში არსებულ პრინციპს ეყრდნობა. მუნიციპალიტეტის საკრებულო, არის ადგილობრივი წარმომადგენლობითი, არჩევითი და პოლიტიკური ორგანო, სადაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი პოლიტიკური ხასიათისაა. კომისიის თავმჯდომარის არჩევა კი ლოგიკურია ხდება იმის მიხედვით, თუ რომელი პოლიტიკური პარტიის ხელშია უპირატესობა. ბუნებრივია, გადაწყვეტილების მიღება საკრებულოში პირის საკრებულოს შიგნით გარკვეულ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ხდება სწორედ პოლიტიკური ნიშნითა და პრეფერენციებით. შესაბამისად, ასეთი განსხვავებული მოპყრობის შემთხვევები დისკრიმინაციად არ უნდა ჩაითვალოს.

### 3.3. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას

სასამართლო პრაქტიკაში დაფიქსირდა საქმეები, სადაც სასამართლოს დასჭირდა შეეფასებინა, თუ რამდენად შეეძლო სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კონტროლი დისკრიმინაციული მოტივების ქრილში.

ამ მხრივ აღსანიშნავია, ზესტაფონის 2016 წლის 08 თებერვლის გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლო განმარტავს:

*“ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების შინაარსობრივი კონტროლი სცილდება სასა-*

59 ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება საქმე N14678181-3251 146., შ.გ. ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ.

*მართლოს კომპეტენციას, ვინაიდან აღნიშნული წარმოდგენს კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას.*<sup>60</sup>

დამატებით სასამართლო ამბობს:

*„სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადამამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა ანუ მისი დისკრეციის განხორციელების მართლზომიერება.“*<sup>61</sup>

აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში სასამართლომ არ დაადგინა დისკრიმინაციის ფაქტი და აღნიშნა, რომ საკონკურსო საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება არ ეფუძნებოდა გენდერული ნიშნით უპირატესობის მინიჭებას, არამედ მოტივირებული იყო ძირითადად საკონკურსო მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობით. ხოლო დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი ვერ დადასტურდა წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით.

ამრიგად, იქმნება იმის შთაბეჭდილება, რომ სასამართლო ზღუდავს საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებს და ფაქტობრივად სასამართლო კონტროლს მიღმა ტოვებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იქნა მიღებული.

სასამართლოს მხრიდან საკუთარი როლის ამგვარი აღქმა და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კონტროლის ასეთი განმარტება საეჭვოა, რომ შესაბამისი იყოს კანონმდებლობასთან და მთლიანად სასამართლო სისტემის ძირითად არსთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ლ) ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის „უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლო-

ბის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება“. კოდექსი ასევე არეგულირებს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესს (სზაკ-ის მე-6 მუხლი) და მისი განხორციელებისას საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების ვალდებულებას (სზაკ-ის მე-7 მუხლი).

ამგვარად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება თავის თავში მოიაზრებს ორ ძირითად ვალდებულებას: ა) გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვით; ბ) მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონშესაბამისი. კანონშესაბამისობა თავისმხრივ, ცხადია, გულისხმობს იმასაც, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დაიცვას საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული თანასწორუფლებიანობის პრინციპი და შესაბამისად მისი ქმედებები მთლიანად უნდა იყოს დაცლილი დისკრიმინაციული მოტივებისგან. ხოლო იმის შეფასება, თუ რამდენად კანონშესაბამისი და მართლზომიერია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება, არის სწორედ სასამართლო ხელისუფლების კომპეტენცია. ამავდროულად, დისკრეციული უფლებამოსილება არ გამოორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილების მოტივაცია. ამასვე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და დამატებით განმარტავს:

*„დასაბუთების ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით.“*<sup>62</sup>

აქვე სასამართლო აღნიშნავს:

*„სასამართლო ხელისუფლება ამონებს აღმასრულებელი ხელისუფლების, ადმინისტრაციული ორგანოების ნორმა შეფარდებითი საქმიანობის კანონიერებას და იგი არ არის*

60 ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 08 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე N3/101-2015.  
61 იქვე  
62 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება Nბს-1655-1627(პ-11), ზ.ტ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ.

შეზღუდული ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციით.“<sup>63</sup>

საგულისხმოა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შესახებ მსჯელობა ასევე მოუწია ახალციხის რაიონულ სასამართლოს, რომელიც აღნიშნავს:

„ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოსარჩელესთან მიმართებაში გამოცემული სადავო აქტების მიღებისას ადგილი არ ჰქონია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევას, რელიგიური შეხედულების გამო დისკრიმინაციულ მოპყრობას. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.“<sup>64</sup>

სასამართლო ასევე მიუთითებს:

„სასამართლო ამონებებს არა შერჩეული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ მის კანონიერებას, დასაბუთებულობას.“<sup>65</sup>

ამდენად, ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მოტივაცია ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მსგავსად ტოვებს იმის განცდას, რომ სასამართლო თავს არიდებს იმ ქმედებათა შეფასებას, რომელიც ადმინისტრაციულმა ორგანომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელა.<sup>66</sup>

ასეთი პრაქტიკის ჩამოყალიბება საფრთხის შემცველია ადამიანის უფლებათა რეალიზაციისა და დაცვის თვალსაზრისით. სწორედ ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ქმნის იმის უფრო მაღალ რისკს, რომ შესაძლოა იგი თვითნებურად, კანონსაწინააღმდეგოდ მოიქცეს და მათ შორის დაარღვიოს თანასწორუფლებიანობის პრინციპი. ამ დროს სასამართლო კონტროლის განხორციელება კი კრიტიკულად მნიშვნე-

ლოვანია, რათა გაუმართლებლად არ შეილახოს პირის კანონიერი ინტერესები და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები.

### 3.4. მორალური ზიანის დაპისრება

სსსკ-ს 3632 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციის საქმესთან დაკავშირებით მოსარჩელეს უფლება აქვს მოითხოვოს:

ა) დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ან/და მისი შედეგების აღმოფხვრა;

ბ) მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღსანიშნავია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კერძო სამართალში მხოლოდ კანონით დადგენილი კონკრეტული საფუძვლების არსებობისას ხდება. კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილი იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.“ რაც შეეხება მორალური ზიანის ოდენობას, მისი გამოანგარიშების კრიტერიუმები არ არსებობს და მას სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად წყვეტს.

დისკრიმინაციის საქმესთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას საინტერესოა ორი მნიშვნელოვანი საკითხის კვლევა: 1) დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა წარმოადგენს თუ არა ავტომატურად მორალური ზიანის მოთხოვნის საფუძველს, 2) რას აქცევს სასამართლო ყურადღებას მორალური ზიანის ოდენობის გამოანგარიშებისას.

ამ მხრივ საინტერესო განმარტება გააკეთა თბილისის სააპელაციო სასამართლომ ქ. თბილისის მერიის ერთ-ერთი თანამშრომლის საქმესთან და-

63 იქვე

64 ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე N15797818-3/074-15წ., თ.მ. ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ.

65 იქვე

66 შენიშვნა: ორივე გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მეორე ინსტანციაში და მიმდინარეობს მათი განხილვა სააპელაციო წესით.

კავშირებით, სადაც სასამართლომ თანამშრომლის მიმართ პოლიტიკური დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა, ხოლო შემდგომ აღნიშნა:

„რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია [მოსარჩელის] მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა პოლიტიკური ნიშნით და სახეზეა მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული ქმედების შედეგად დამდგარი შედეგი - სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება, ამდენად, არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველიც. უფრო კონკრეტულად კი, იმისათვის, რომ მოპასუხეს ზიანის ანაზღაურება დაეკისროს, აუცილებელია სახეზე გვექნოდეს შემდეგი პირობები კუმულაციურად - ა) დამდგარი ზიანი ბ) მიზეზობრივი კავშირი და გ) მართლწინააღმდეგობა“<sup>67</sup>

ამრიგად, მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველად სასამართლომ ორი კუმულაციური კრიტერიუმი გამოიყენა ა) დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა ბ) დისკრიმინაციული ქმედების შედეგად დამდგარი შედეგი, რომელიც თავისმხრივ მოიცავს სამ ელემენტს (ზიანს, მიზეზობრივ კავშირს და მართლწინააღმდეგობას). ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში კი მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი ავტომატურად დაკმაყოფილებულად მიიჩნია.

დამატებით სასამართლო აღნიშნავს:

„არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მორალური ზიანის მიყენება შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც უშუალოდ დისკრიმინაციულ მოპყრობას და ამის ნიადაგზე სამსახურიდან გათავისუფლების მომენტს, ასევე მორალური ზიანი შესაძლოა დადგეს მოგვიანებით, ხანგძლივი უმუშევრობის მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების

შეუძლებლობის, ცხოვრების წესის და რითმის შეცვლის, დათრგუნულობის, გაურკვეველობის, ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვული დაძაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექტის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.“<sup>68</sup>

ამგვარად, სასამართლომ მორალური ზიანის მიყენება დაუკავშირა, არამხოლოდ, უშუალოდ სამსახურიდან გათავისუფლებას დისკრიმინაციული მოტივით, არამედ მის თანამდევ ნეგატიურ ეფექტებსაც.

რაც შეეხება მორალური ზიანის ოდენობის გამოანგარიშებას, სასამართლომ ამ საქმეში ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ

„მოთხოვნილი თანხა (5000 ლარი) არ იყო შესაბამისობაში მიყენებულ ზიანთან, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე აღდგენილია ყველა დარღვეულ უფლებაში და რაც გარკვეულწილად მორალურ დაკმაყოფილებასაც იწვევს.... ამასთან, სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თანხის ოდენობა არ უზრუნველყოფს ხელყოფილი უფლების აღდგენას/რესტიტუციას, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია, თუმცა კომპენსაციის მიზნიდან გამომდინარე შესაძლებელია უზრუნველყოს მოსარჩელის ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რაც დაეხმარება მას სულიერი წონასწორობის მიღწევაში.“<sup>69</sup>

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ თბილისის მერიას აპელანტის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 500 ლარი დააკისრა. ამრიგად, სასამართლომ მორალური ზიანის ოდენობის დადგენისას ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელი იყო პირის ყველა დარღვეული უფლების აღდგენა, რაც თავისთავად ამსუბუქებდა მის მდგომარეობას. შესაბამისად, მოთხოვნილი თანხა სასამართლომ, მისი აზრით, გონივრულ ოდენობამდე შეამცირა. სასამართლოს მსჯე-

67 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საქმე N3ბ/1907-15, ი.ვ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ.

68 იქვე

69 იქვე

ლობის მეორე ნაწილი კი მიანიშნებს იმას, რომ მთლიანობაში მორალური ზიანის ანაზღაურებას მაინც სიმბოლური დატვირთვა აქვს და მიზნად ისახავს მხოლოდ დისკრიმინაციის მსხვერპლის ნეგატიური განცდების შემსუბუქებას.

მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ამგვარი მიდგომის განვითარება პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

გასათვალისწინებელია, რომ როდესაც სასამართლო არ ადგენს დისკრიმინაციის ფაქტს, იგი აღარ იწყებს მსჯელობას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობაზე და ავტომატურად უარს ამბობს მოთხოვნის ამ ნაწილის დაკმაყოფილებაზეც. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის და ამავე საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებებში; ასევე ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 02 მარტის და ამავე საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებებში, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 08 თებერვლის და ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებებში.

- ლების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობა თანასწორუფლებიანობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპთან;
5. მოსამართლეებმა კანონმდებლობა განმარტონ ადამიანის უფლებათა დაცვის სასარგებლოდ;
  6. მოხდეს დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების სისტემატიზაცია და აღრიცხვა, აგრეთვე სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება.

### რეკომენდაციები

გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოებმა გაითვალისწინონ შემდეგი რეკომენდაციები:

1. სარჩელის წარმოებაში მიღებისას დისკრიმინაციის საქმეებზე მოსამართლეებმა გამოიყენონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3634-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური წესი;
2. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დისკრიმინაციის საქმეებზე გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-73 კარით დადგენილი წესები და არ გახლიჩოს დავა ადმინისტრაციულ და დისკრიმინაციის დავებად;
3. მტკიცების ტვირთის გადანაწილება დისკრიმინაციის საქმეებზე მოხდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3633-ე მუხლით დადგენილი წესის საფუძველზე;
4. სასამართლომ შეაფასოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსი-

## საპასაცო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება საბანკო სფეროში რელიგიური მოტივებით გათავისუფლების გამო



*არჩილ კაიკაციშვილი*

*ადვოკატი, სამოქალაქო სამართლის სპეციალისტი*

საქართველოს კონსტიტუცია შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, მოკლე ჩანაწერით შემოიფარგლება და მიუთითებს, რომ „შრომა თავისუფალია“, მაგრამ შრომის თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება, გაცილებით მეტი განმარტების და შეფასების შესაძლებლობას იძლევა. თითქმის ყველა სახელმძღვანელო, შრომის უფლებას ადამიანის ძირითადი უფლებების შემადგენელ ნაწილად განიხილავს და ადამიანის სოციალური უფლების უმაღლესს გამოვლინებას წარმოადგენს. ამიტომაც, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო საკანონმდებლო დაცვის მიზანს წარმოადგენს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების განხორციელება თავისუფალი ნების, თანასწორუფლებიანობისა და პოლიტიკის სტრატეგიული დოკუმენტის საფუძველზე, სადაც მთავარი ღირებულება იქნება ადამიანი დაცული უფლებებითა და არათანაბარი მდგომარეობის გარეშე. ამიტომაც, ამ პროცესში არსებითი მნიშვნელობა გააჩნია კანონმდებლობის შეფასებას და მის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან, მეორე მხრივ საერთო სასამართლოებში ჩამოყალიბებულ, პრაქტიკულ და ნორმის განმარ-

ტების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზს, რომლებიც, ერთიანობაში მნიშვნელოვან საფუძვლებს წარმოადგენს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობების სამართლიანი გარემოს ჩამოყალიბებისა და შესაძლო გამოწვევების პრევენციული მექანიზმისთვის.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო“, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, "დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც

მიზნად ისახავს ან ინვესტის მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით". ამასთან, ევროკონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის გარეშე. ამასთან, განსხვავებით „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტისგან“, რომელიც უზრუნველყოფს დისკრიმინაციული მოპყრობისაგან საყოველთაო დაცვას ყველა იმ საქმიანობაში, რომელსაც სახელმწიფო კანონის მეშვეობით არეგულირებს, ევროკონვენციის მე-14 მუხლი შემოფარგლულია მხოლოდ იმ უფლებებითა და თავისუფლებებით, რომელსაც იგი შეიცავს ანუ, ურთიერთობა, რომლის დროსაც გამოვლინდა დისკრიმინაციული ქმედება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ამავ კოდექსის 115-ე მუხლის მიხედვით, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მართოდ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. აღნიშნული სამართლებრივი რეგულაციები, შრომითი დავების გადაწყვეტის დროს, საქართველოს სასამართლოების მხრიდან, სულ უფრო მეტ გადაწყვეტილებაში გვხვდება. შრომით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების დასაბუთებისთვის სასამართლოები მიმართავენ კანონს: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც 2014 წლის მაისიდან, საზოგადოებრივ დისკუსიაში, აქტუალობას არ კარგავს. მაგ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ივნისის განჩინებით, საქმეზე: №2ბ/1911-16<sup>70</sup>, საჯარო სკოლის პედაგოგის ჯ.გ-ს მიმართ დაადგინა სკოლის მხრიდან განხორციელებული დისკრიმინაციული

მოპყრობა. პალატა დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამართლებრივ დასაბუთებას, რომლის მიხედვითაც, ჯ.გ. ჩაყენებულ იქნა არათანაბარ მდგომარეობაში სკოლის დირექტორთან შედარებით. მაშინ, როცა სკოლის დირექტორის მიერ განხორციელებული ქმედება საერთოდ არ გამხდარა გამოკვლევის საგანიც კი, ჯ.გ-ს მიმართ ყველა დისციპლინარული პროცედურა (სკოლის დირექტორის მხრიდან) იქნა განხორციელებული და სახდელი დაეკისრა მას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯ.გ-ს მიმართ განხორციელდა არათანაბრობის მოპყრობა, რაც ქმნიდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს. სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში, სულ უფრო მეტი შრომით-სამართლებრივი დავა იწყება დისკრიმინაციული მოპყრობის და არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების იურიდიული საფუძველით, ხოლო პრობლემა თანაბრად ეხება, როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 13 ოქტომბრის საქმეზე: №ას-679-650-2016 მიღებული გადაწყვეტილებით, ქართულ სასამართლო სისტემაში, დასრულდა პრეცედენტული დავის განხილვა, რომელმაც საზოგადოების მაღალი ინტერესი, მასობრივი-საინფორმაციო საშუალებებში გაშუქების შემდგომ მიიპყრო<sup>71</sup>. ს.ს. „პროკრედიტ ბანკიდან“ მოქალაქე ანა მაჩიტაძის გათავისუფლების მიზეზი გახდა დასაქმებულის არაკვალიფიციურობა და მისი უნარ-ჩვევების შეუსაბამობა დაკავებულ პოზიციასთან. ბანკმა „არაკვალიფიციურობის“ გამომხატველ გარემოებად მიიჩნია ანა მაჩიტაძის მხრიდან ბანკის მიერ დადგენილი სამუშაო ფინანსური გეგმის შეუსრულებლობა, საქმიანობის შესახებ შიდა პრეზენტაციების ჩაუტარებლობა, ხოლო „უნარ-ჩვევების“ შეუსაბამობაში იგულისხმა კლიენტებთან ზედმეტი ფამილარობა, რაც გამოიხატებოდა სიტყვებით: „ღმერთმა დაგლოცოთ“. სინამდვილეში, დასაქმებულის სამუშაო თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი აღმოჩნდა მკვერთად გამოხატული რელიგიური აღმსარებლობა, რაც შემდგომში დამსაქმებელმა ორგანიზაციამ მიიჩ-

70 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 ივნისის განჩინება, საქმეზე: #2ბ/1911-16 არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

71 ანა მაჩიტაძის საქმეზე საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმომადგენლობა განხორციელა ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“.

ნია ფამილარულ დამოკიდებულებად კლიენტების მიმართ. ანა მაჩიტაძის საქმე პირველია საქართველოში და სამართალწარმოების ისტორიაში, როდესაც დასაქმებულის გათავისუფლება მოხდა „ღმერთმა დაგლოცოს“ გამონათქვამის გამო. ამიტომაც, მნიშვნელოვანია მკითხველი ინფორმირებული იყოს ამ რთული, მაგრამ წარმატებული შრომითი დავის ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

1. ანა მაჩიტაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2014 წლის 7 მაისს მიმართა. 2015 წლის 26 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქმეზე: №2/7339–14 ანა მაჩიტაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა (მოსამართლე: ასმათ კობრეიძე). ანა მაჩიტაძემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით;
2. 2015 წლის 21 დეკემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, საქმეზე: №2ბ/3878–15, ანა მაჩიტაძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (მოსამართლე: ბესარიონ ტაბალუა). გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. ს.ს. „პროკრედიტ ბანკმა“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში;
3. 2016 წლის 19 აპრილის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, საქმეზე: №ას–151–147–2016 ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს (მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი – მომხსენებელი, თავმჯდომარე, ნინო ბაქააური, ბესარიონ ალავიძე). საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა საქმის გაადნევიანების მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დასადგენად, სახელდობრ, საქმის უკან დაბრუნების აუცილებლობა სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა მასზე მითითებით, რომ დადგინდა საჭიროება განაცდური ხელფასის

ოდენობა და მოსარჩელის გათავისუფლებამდე არსებული თანამდებობის არსებობა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები არ განეკუთვნებოდა ისეთ გარემოებებს, რომელთა გამოც გამართლებული იქნებოდა საქმის უკან დაგზავნა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს თავადვე შეეძლო დაედგინა მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივად შეეფასებინა ისინი და გამოეყენებინა კანონის შესაბამისი ნორმები.

4. 2016 წლის 27 მაისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქმეზე №2ბ/2338 –16, ანა მაჩიტაძის საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად, 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ს.ს. „პროკრედიტ ბანკმა“ სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა არამხოლოდ იძულებითი შრომის განაცდურისა და თანამდებობაზე აღდგენის ბათილად ცნობა, არამედ სადავო გახადა 2016 წლის 19 აპრილის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, საქმეზე: №ას–151–147–2016 უკვე დადგენილი გათავისუფლების დისკრიმინაციული საფუძვლების ბათილად ცნობა;
5. 2016 წლის 13 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, საქმეზე: №ას–679–650–2016, ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა ცნობილი დაუშვებლობის გამო (მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე – მომხსენებელი, თავმჯდომარე, ნინო ბაქააური, ზურაბ ძლიერიშვილი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, რომ ბანკის თანამშრომლის მხრიდან კლიენტებისადმი მიმართვა სიტყვებით: „ღმერთმა დაგლოცოს“ წარმოადგენს ფამილარულ დამოკიდებულებას და გასათვალისწინებელია ის, რომ კლიენტების მომსახურების სფეროში მუშაობისას მუშაკს განსაკუთრებით მართებს სიტყვების მაქსიმალურად სწორად შერჩევა,

ვინაიდან თითოეული სიტყვა კლიენტისათვის აღიქმება იმ ორგანიზაციის ნათქვამად, რომელსაც მუშაკი წარმოადგენს, თუმცა, მიმართვა „ღმერთმა დაგლოცოთ“ ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ურთიერთობის სტანდარტებიდან და ფორმიდან გამომდინარე, არ შეიძლება შეფასდეს ფამილარულ დამოკიდებულებად.<sup>72</sup> ამასთან, საკასაციო პალატამ სხვა სადავო გარემოებებთან მიმართებით, აგრეთვე მიიჩნია, რომ „დაკითხულ მოწმეთა ჩვენებების შინაარსი არ ქმნიდა დასაქმებულის მიერ შრომითი მოვალეობების დარღვევის დადგენისათვის უწყვეტ რწმენას“. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მტკიცებულების გამოკვლევა უპირველესად გულისხმობდა მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლას—ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობა, სარწმუნოება) შემოწმებას. „საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად მითითებული არგუმენტი ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული. პალატა ასკვნის, რომ იმ მოვალეობების ჯეროვანი შეუსრულებლობა, რომელიც არ შედიოდა დასაქმებულის სამუშაოს ვალდებულებაში, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მასთან შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას. მით უფრო, აღნიშნული არ შეიძლება შეფასდეს დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამოდ“. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი ბანკის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ და ანა მაჩიტაძე აღდგენილ იქნა ბანკის ვაკის სერვის-პუნქტში ფიზიკური პირების მრჩევლის თანამდებობაზე. ამასთან, ბანკს ანა მაჩიტაძის სასარგებლოდ, 2014 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 13 ოქტომბრის მდგომარეობით, იძულებითი შრომის ანაზღაურებისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურების სახით, დაეკისრა 37,232 ლარის გადახდა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში, ისეთი მონოლითური ფინანსური ინსტიტუტი, როგორც ბანკია, დასაქმებულთან დამარცხდა. მკითხველის საყურადღებოდ აღვნიშნავთ, რომ ამჟამად საქმე თვითაღსრულების ეტაპზეა.

მნიშვნელოვანია, წინამდებარე საქმე სახელმძღვანელო და პრაქტიკული დასკვნის მომცემი აღმოჩნდეს ნებისმიერი დამსაქმებლის საქმიანობისთვის, რომელსაც შრომითი უფლებების დაცვის ვალდებულება, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში გააჩნიათ. რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, მისი დაცვა და იმპლემენტაცია, ჩვენი დღევანდელი დემოკრატიული ცხოვრების არსებითი ნაწილია. საქართველო, რომელიც აქტიურ ნაბიჯებს დგამს ევროინტეგრაციის პროცესში და პირობას დებს მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების დაცვის მიმართულებით, ანა მაჩიტაძის საქმე უნდა გახდეს სწორი საზოგადოებრივი და სამართლებრივი შეფასებების საგანი. როგორც ევროპული სასამართლო განმარტავს, „რელიგიის თავისუფლება მორწმუნეთა ცნობიერების და მათი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ერთ-ერთი სასიცოცხლო ელემენტია, ამასთანავე, იგი ფასეულია ათეისტებისთვის და იმ პირთათვისაც კი, რომელნიც ინდიფერენტულად ეკიდებიან ამ საკითხებს. რელიგიური თავისუფლება ასევე მოიცავს რელიგიის გამომჟღავნების თავისუფლებასაც, როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ“. რელიგიის თავისუფლებაში მოაზრებული ტერმინები - „აზრი“, „სინდისი“, „რელიგია“ და „რწმენა“ - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრაქტიკამ თავისებურად განმარტა, რითაც საინტერესო გახდა არა მათი ეტიმოლოგიური, არამედ სამართლებრივი მნიშვნელობა. აზრისა და სინდისის თავისუფლება მოიცავს ყოველი ადამიანის უფლებას საკუთარი შეხედულებებისამებრ ჰქონდეს, მიიღოს ან აღიაროს რელიგია ან მრწამსი, როგორც ცალკე ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ, შეასრულოს და გამოხატოს საკუთარი რელიგია ლოცვით, ქადაგებით და სწავლებით ყოველგვარი გარეგანი ზემოქმედების გარეშე. სულიერი და მორალური ეგზისტენციის ეს უფლება მჭიდრო კავშირშია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-18, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის მე-8 და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლებასთან.

72 2016 წლის 19 აპრილის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმეზე: #ას-151-147-2016, გვ. 14

ადამიანის უფლებათა ყველა საერთაშორისო აქტში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ბირთვს წარმოადგენს მათი აბსოლუტურად კერძო ხასიათი.<sup>73</sup>

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა პროზელიტიზმის საკითხი. პროზელიტიზმის დასჯადობის საკითხმა, პირველად ევრო სასამართლოს პრაქტიკაში თავი იჩინა საქმეში „Kokkinakis vs. Greece“. განმცხადებელი, ბატონი მანოს კოკინაკისი, რომელიც იეპოვას მონმე გახლდათ, არაერთხელ იქნა დაკავებული საბერძნეთის ხელისუფლების მიერ პროზელიტიზმის განხორციელებისათვის. საბერძნეთის კონსტიტუციის მე-13 მუხლის თანახმად, პროზელიტიზმი განმარტებულია, როგორც „პიროვნების რელიგიურ რწმენაში ჩარევის ნებისმიერი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი მცდელობა, როცა მიზნადაა დასახული რწმენის დაკანონება ნებისმიერი სახის ცდუნების ან მორალური თუ მატერიალური დახმარების დაპირების მეშვეობით, ცრუ საშუალებით ან შესაბამისი პირის გამოუცდელობის, ნდობის, საჭიროების, დაბალი ინტელექტის ან გულუბრყვილობის გამოყენებით“. მოცემული საქმის მიხედვით, ბატონი კოკინაკისი თავის მეუღლესთან ერთად ეწვია ქალბატონ გეორგია კორიაკისს. მას შემდეგ, რაც მან მოახერხა მოტყუებით კორიაკისის სახლში შეღწევა, კოკინაკისმა დაიწყო საკუთარი რელიგიური მრწამსის აქტიური ქადაგება. ქალბატონმა კორიაკისმა დაურეკა პოლიციას, რის შედეგადაც ბატონი კოკინაკისი და მისი მეუღლე დააპატიმრეს. საბერძნეთის ეროვნულ სასამართლოებში სამართალწარმოებისას ქალბატონ კოკინაკისს ბრალდება მოეხსნა, ხოლო ბატონ კოკინაკისს დაეკისრა ფულადი ჯარიმის გადახდა. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს პიროვნების სინდისის საკითხს, იგი ასევე მოიცავს რელიგიის გამჟღავნების თავისუფლებასაც, ვინაიდან მორწმუნე, საუბრისას თუ ქმედებისას, გამსჭვალულია რელიგიური მრწამსით“. საბერძნეთის სასამართლოებმა პირის ბრალეულობა დაადგინეს მხოლოდ შესაბამისი კანონის უბრალო მოხმობით და საფუძვლიანად არ გამოარკვიეს, ცდილობდა

თუ არა განმცხადებელი თავისი თანამოქალაქის დარწმუნებას მიუღებელი საშუალებებით. ამდენად, სადავო ზომა არ იყო მისაღწევი კანონიერი მიზნის თანაზომიერი და, შესაბამისად, „აუცილებელ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-9 მუხლი დაირღვა“. ჩვენს შემთხვევაში, ბანკმა არათუ ხელი შეუწყო ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფას, არამედ დასაქმებულის რელიგიური მრწამსი და ქმედება გამოიყენა მისი სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლად, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში, მიუღებელი და დასაგმობი შემთხვევაა. მოსარჩელემ წერილობითი ფორმით მოითხოვა, ბანკს ბოდიში მოეხდა ქართული საზოგადოების წინაშე, თუმცა ბანკმა მოთხოვნა გამოსმაურების გარეშე დატოვა, რაც ტრადიციული, ტოლერანტული საზოგადოების მიმართ დამოკიდებულებაზე მიუთითებს და მეტყველებს.

73 ელისო რუხაძე, „აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება-საერთაშორისო სტანდარტები და მოქმედი კანონმდებლობა“.

## საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ავტონომიის და გუსტი შესაბამისობის ფუნდამენტური პრინციპები



**გიორგი ამილახვარი**

*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერების და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტი*

### შესავალი

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო ვაჭრობის სწრაფმა ზრდამ, საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივი ჩამოაყალიბა, როგორც ძირითდი ხელშემწყობი საშუალება ტრილიონობით დოლარის ბრუნვის გლობალურ კომერციაში. ბანკები წარმოადგენენ მთავარ და უცილებელ მოთამაშეებს ამ მრავალ-ნახნაგოვან ტრანზაქციაში. დოკუმენტური აკრედიტივი გვევლინება ერთგვარ გარანტიას გამყიდველისათვის, რომ მისი პროდუქციის სხვა ქვეყანაში გაყიდვით მას აუნაზღაურდება საფასური, ხოლო მყიდველისთვის ასევე წარმოადგენს ერთგვარ რისკებისგან დამცავ საშუალებას, რომ იგი მიიღებს დოკუმენტური აკრედიტივის პირობებით შეთანხმებულ მისთვის სასურველი ხარისხის და რაოდენობის პროდუქციას დროულად. საერთაშორისო საბანკო სამართალში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს დოკუმენტური აკრედიტივის როგორც ბიზნეს ასევე სამართლებრივი რეგულაციების სწორად გაგებას, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ბიზნეს ტრანზაქცია განხორციელებული ბანკების მიერ საერთაშორისო კომერციის და ვაჭრობის სფეროში<sup>74</sup>.

მყიდველსა და გამყიდველს შორის საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების დადების დროს თანმხედება მრავალი პირობა, თუმცა მათგან ერთ-ერთ მნიშვნელოვან შესათანხმებელ საკითხს წარმოადგენს ანგარიშსწორების საკითხი. მხარეებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ აკრედიტივით ანგარიშსწორება თუ ისინი ამის თაობაზე არ შეთანხმდებიან სავაჭრო გარიგებაში.<sup>75</sup> საერთაშორისო სავაჭრო გარიგების დროს მყიდველის რისკს წარმოადგენს გადაიხადოს მისაღები პროდუქციის თანხა და არ მიიღოს შეთანხმებული რაოდენობის და ხარისხის საქონელი, ან საერთოდ არ მიიღოს, ხოლო გამყიდველის რისკებს წარმოადგენს გაუგზავნოს მყიდველს საქონელი და არ მიიღოს მისგან საქონლის ღირებულება. საერთაშორისო ვაჭრობაში ზემოთ განხილული შეუთანხმებლობები მყიდველსა და გამყიდველს შორის შესაძლოა გაგრძელდეს უსასრულოდ, არცერთი მხარე არ ენდობა მეორე მხარეს და ასეთ ვითარებაში კომერციული გარიგებები ვერასდროს დაიდება. გამოსავალი არის ერთი, ჩამოყალიბდეს ისეთი ბიზნეს ტრანზაქციის სტრუქტურა, სადაც თითოეული მხარე გაინანოილებს გარიგების შესრულებასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ რისკებს.

74 V.Gerard Comizio, International Banking Law, USA ST.Paul, 2016, 29.

75 Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Transnational Commercial Law, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015, 329.

ბიზნეს ტრანზაქცია განხორციელებული დოკუმენტური აკრედიტივის მეშვეობით არის სწორად ასეთი დილემიდან გამოსავალი. დოკუმენტური აკრედიტივი ანაწილებს რისკებს გამყიდველზე და მყიდველზე, ასევე ერთ ან რამოდენიმე ბანკზე. სწორედ ამიტომაც დოკუმენტური აკრედიტივი სარგებლობს მაღალი ნდობით საერთაშორისო ბიზნეს საზოგადოებაში.

ამგვარად დოკუმენტური აკრედიტივი ჩამოყალიბდა საშუალებად, რომლის პროცესშიც ჩართული იყო ორი კომერციული ბანკი, რომლებიც განთავსებულნი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნებში. რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული კონფლიქტი სამართლებს შორის, გახდა აუცილებელი მოძებნილიყო გზა რათა ჰარმონიზაცია მოეხდინა ბანკების მიერ აპრობირებული პრაქტიკისთვის აკრედიტივთან დაკავშირებით. ინიციატივა აღებული იქნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ, რომელმაც გამოაქვეყნა პირველი UCP-ი 1933 წელს.<sup>76</sup> საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის უმთავრესი მარეგულირებელი დოკუმენტია ე.წ. „Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP)“, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ, რომელიც ადგენს საერთაშორისო სტანდარტებს და წესებს საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის გამოსაყენებლად. ბანკები და მათი კლიენტები ვინც იყენებს აკრედიტივს, როგორც გადახდის ყველაზე უსაფრთხო ფორმას, აუცილებლად მისი რეგულირებისთვის ყოველთვის უთითებს UCP-ის.

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივიდან გამომდინარეობს ორი მნიშვნელოვანი პრინციპი, ავტონომიის და ზუსტი შესატყვისობის პრინციპები. ორივე მათგანი უმნიშვნელოვანესია, რათა აკრედიტივმა როგორც ძირითადმა გადახდის მექანიზმმა საერთაშორისო ვაჭრობაში ეფექტური როლი შეასრულოს. წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება სწორედ აღნიშნული ორი პრინციპი და გაანალიზებული იქნება მათი სტრუქტურა და არსი.

### საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ავტონომიის პრინციპი (Independence of Letter of Credit)

ავტონომიის პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანთვისებაა დოკუმენტური აკრედიტივის. აკრედიტივის კონტექსტში ავტონომიის პრინციპი გულისხმობს მის დამოუკიდებლობას სხვა ნებისმიერი ურთიერთობისგან, განსაკუთრებით იმ გარიგებისგან, რომელიც დადეს მხარეებმა და რის საფუძველზეც წარმოიშვა აკრედიტივი.<sup>77</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მხარეების მიერ ძირითადი გარიგების პირობების დარღვევა გავლენას ვერ იქონიებს აკრედიტივის შესრულებაზე, რაც თავისთავად უმნიშვნელოვანეს დაცვის გარანტიებს ქმნის ბენეფიციარის ინტერესების დასაცავად. საავიზო ბანკი ბენეფიციარის მიერ დოკუმენტების წარდგენისას, არ არის ვალდებული და არც ამომნებს თავად საქონელს, ის მხოლოდ ამომნებს დოკუმენტების შესაბამისობას აკრედიტივის პირობებში განერილ დოკუმენტებთან. ბანკი უფლებამოსილია საერთოდ ყურადღება არ მიაქციოს მხარეებს შორის დადებულ გარიგებას, როდესაც აკეთებს დოკუმენტების შემოწმებას და წყვეტს დაადასტუროს აღნიშნული დოკუმენტები თუ არა და მათ საფუძველზე გადაუხადოს ბენეფიციარს თანხა.

ერთ-ერთ ისტორიულად ცნობილ ქეისში (United City Merchants(investments) ltd vs Royal Bank of Canada) გადმოცემულია ავტონომიის პრინციპის პასაჟი, სადაც ლორდთა პალატის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „თუ გამყიდველის მიერ საავიზო ბანკისთვის სახეზე წარდგენილი დოკუმენტები შეესაბამება აკრედიტივის მოთხოვნებს, ბანკი უპირობოდ ვალდებულია თანხა გადაუხადოს გამყიდველს, მიუხედავად იმისა ბანკი შესაძლოა ხედავდეს გამყიდველის მხრიდან ნასყიდობის პირობების გარკვეულ დარღვევას, როდესაც მყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე არ აპირებს საქონლის მიღებას და მისი ღირებულების გამყიდველისთვის გადახდას“.<sup>78</sup>

76 Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 3.  
77 Charles Chatterjee, Legal Aspects of Trade Finance, London, UK, Routledge-Haines House, 2006, 50  
78 Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 138.

ბანკის მიერ აღებული ვალდებულება ბენეფიციარისთვის თანხის გადახდაზე აკრედიტივის საფუძველზე, დამოუკიდებელია მხარეებს შორის გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულებიდან. მიუხედავად იმისა გამხსნელმა ან საავიზო ბანკმა იცის საქონლის დეფექტის შესახებ რომელიც დაიტვირთა გადასაზიდად, ან საქონელი შეთანხმებულ ვადაზე გვიან დაიტვირთა ან სხვა რაიმე დარღვევის შესახებ, მაინც უნდა მოახდინოს ანგარიშსწორება ბენეფიციართან თუ წარმოდგენილი დოკუმენტები შეესაბამება აკრედიტივის პირობებს. ამოცანა და მიზანი ავტონომიის პრინციპის შექმნისა აკრედიტივთან დაკავშირებით საერთაშორისო ვაჭრობაში იყო გამყიდველის დაცვა, რომ იგი მიიღებდა გაყიდული საქონლის ღირებულებას სათანადო დოკუმენტების წარდგენის შემდომ, მიუხედავად ნებისმიერი დავისა რაც შეიძლება მას ქონოდა მყიდველთან სავაჭრო ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. ასეთი ტრანზაქციის დროს, როდესაც დავა არის სავაჭრო გარიგების საფუძველზე, მყიდველმა უნდა განახორციელოს დამოუკიდებელი მოქმედებები და არა შეუჩეროს გადახდა გამყიდველს აკრედიტივის საფუძველზე, „პირველ რიგში უნდა გადაიხადოს და შემდგომ ედავოს“.<sup>79</sup>

როდესაც ბენეფიციარი წარადგენს დოკუმენტებს ბანკში აკრედიტივის პირობების შესაბამისად, მყიდველმა შესაძლოა გამოთქვას პრეტენზია, რომ გამყიდველმა სრულად არ შეასრულა მათ შორის გაფორმებული სავაჭრო გარიგება, მაგალითად საქონლის ხარისხი არ შეესაბამება პირობებს და მას აქვს საჩივარი ზარალის ანაზღაურებაზე. თუმცა მთავარი წესია აკრედიტივის, რომ ბანკმა უნდა გადაუხადოს გამყიდველს თანხა, მიუხედავად იმისა რომ ბანკი საქმისყურშია მყიდველის პრეტენზიებისა მათ შორის დადებული სავაჭრო გარიგების საფუძველზე. ბანკს არ აქვს უფლება დაეყრდონს მყიდველის პრეტენზიებს და ამის საფუძველზე უარი უთხრას გამყიდველს თანხის გადახდაზე. ერთ-ერთ ცნობილ ქეისში (Po-

wer Curber International LTD v National Bank of Kuwait Sak) ლორდმა (Denning) განმარტა: „აკრედიტივი არის თამასუქის მსგავსი გაცემული საქონლის ფასის სანაცვლოდ. ის იწოდება როგორც ფული და უნდა იქნას განაღდებული. არავითარი კონტრპრეტენზია შეაჩერებს მის გადახდას. თამასუქი გაცემულია მყიდველის მიერ გამყიდველისთვის, ხოლო აკრედიტივი კი ბანკის მიერ გამყიდველისთვის იმ განზრახვით რომ ვერანაირი კონტრპრეტენზია ვერ შეაჩერებს მის აღსრულებას.“<sup>80</sup>

დამოუკიდებლობის პრინციპი ავალდებულებს აკრედიტივს, რომ პირდაპირ მოემსახუროს მის კომერციულ მიზნებს. აკრედიტივის დადასტურება ხელს აძლევს გამყიდველს რომ გაუშვას საქონელი მისი მფლობელობიდან, იმის იმედით რომ მიიღებს მის ღირებულებას, მიუხედავად იმისა მყიდველი უარს იტყვის თანხის გადახდაზე ან სხვა ნებისმიერი მიზეზით. მეორეს მხრივ მყიდველსაც ეცოდინება, რომ თანხის გადახდა მოხდება მას შემდეგ რაც დადასტურდება გამყიდველისგან ტვირთის გამოგზავნა. გამომდინარე იქიდან, რომ აკრედიტივი ემსახურება საერთაშორისო ვაჭრობას, სხვადასხვა ქვეყნების სასამართლოების პრაქტიკამ მოითხოვა, რომ ერთიანი უნიფიცირებული მიდგომები შემოღებულიყო აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად ავტონომიის პრინციპი აღიარებული იქნა ინგლისში, ამერიკაში, კანადაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში.<sup>81</sup>

(UCP)-ის<sup>82</sup> მე-4 მუხლი ნათლად აყალიბებს ავტონომიის პრინციპს სადაც განსაზღვრავს, რომ აკრედიტივი თავისი ბუნებით დამოუკიდებელი ტრანზაქციაა ყიდვა-გაყიდვის ან სხვა ხელშეკრულებისგან, რაზეც ის შეიძლება იყოს დაფუძნებული. გამომდინარე აქედან ბანკი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია განახორციელოს თანხის გადახდა ბენეფიციარისთვის თუ ამ უკანასკნელმა დოკუმენტები სრულყოფილად წარადგინა.

საერთაშორისო პრაქტიკაში ავტონომიის პრინციპთან დაკავშირებით ფართოდ არის გაშლილი

79 Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 139.  
 80 Nelson Enonchong, The Independence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees, Oxford University Press, Oxford, UK, 2011, 72.  
 81 Charles Proctor, The Law and Practice of International Banking, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015, 494.  
 82 Uniform Customs and Practice for Documentary Credits 600.

დისკუსია ერთ გარემოებასთან დაკავშირებით თუ ბენეფიციარის მიერ მოხდა თაღლითობის ჩადენა (FRAUD), კერძოდ წარადგინა გაყალბებული დოკუმენტები, თუმცა საავიზო ბანკმა შემომწმების დროს ვერ აღმოაჩინე დოკუმენტების სიყალბე, დაადასტურა ისინი და ანგარიშსწორება განახორციელა ბენეფიციართან. თავის მხრივ გამხსნელმა ბანკმაც აკრედიტივის თანხა მიიღო მყიდველისგან, ხოლო გამყიდველმა საქონელი ნაკლული გუგზავნა მყიდველს ან საერთოდ არ გაგზავნა, ბუნებრივია ამ შემთხვევაში მყიდველს გაუჩნდება პრეტენზიები გამყიდველთან.

ბუნებრივია თუ გამყიდველი თაღლითობს მყიდველის მიმართ, მყიდველს ექნება ზიანის მოთხოვნის უფლება მათ შორის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მაგრამ ბანკის აღებულ ვალდებულებას აკრედიტივის გადახდაზე, ავტონომიის პრინციპის არსიდან გამომდინარე ერთი შეხედვით ხელი არ უნდა შეეშალოს.

**Fraud rule** - თაღლითობის წესი განსაკუთრებული წესია აკრედიტივის ურთიერთობებში, რადგანაც იგი უგულვებელყოფს აკრედიტივის კარდინალურ პრინციპს მის დამოუკიდებლობას.<sup>83</sup> აკრედიტივის საერთაშორისო მარეგულირებელი აქტები (UCP) მკაფიოდ არ განსაზღვრავს თაღლითობის დროს მხარეების უფლება-მოვალეობებს, თუმცა იგი აძლევს უფლებას გამხსნელ ბანკს ან სასამართლოს რომ შეისწავლოს ფაქტები დოკუმენტების უკან და შეაჩეროს თანხის გადახდა ბენეფიციარისთვის, როდესაც წარმოდგენილ დოკუმენტებში შეინიშნება თაღლითობის და გაყალბების ნიშნები.

ძირითადად დოკუმენტების გაყალბების საკითხები რეგულირდება ქვეყნების შიდა კანონმდებლობით. მაგალითად ბრიტანეთში, ავსტრალიასა და სინგაპურში თაღლითობის გამონაკლის პრეცედენტული სამართლით რეგულირდება, მაშინ როდესაც აშშ-ი იგი რეგულირებულია ერთიანი სავაჭრო კოდექსით.<sup>84</sup> ბევრი კითხვა და პრობლემა შესაძლოა აღმოცენდეს თაღლითობასთან დაკავშირებით, ვინაიდან აკრედიტივის მარეგულირებელ სამართალში, აქტიურად სადავო

საკითხია სასამართლოებში, ეს შეიძლება იყოს როგორ განვსაზღვროთ თაღლითობის ის ფორმა, როდესაც არგადახდისგამონაკლისი მოქმედებს, როგორ იმოქმედებს თაღლითობა და მის საფუძველზე თანხის არგადახდა მხარეების უფლება-მოვალეობებზე, თაღლითობის მტკიცების ტვირთი ან თაღლითობის ცოდნის ხარისხი ბანკების მიერ.

მრავალი მეცნიერის აზრით (UCP) ამ კუთხით ხარვეზს შეიცავს, ვინაიდან არაფერს ამბობს თაღლითობაზე დოკუმენტებთან დაკავშირებით, რომელიც ვლინდება მოგვიანებით და სავალალო შედეგებს აყენებს მყიდველს.თუმცა აღსანიშნავია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ გამიზნულად არ იქნა განსაზღვრული (UCP)-ით თაღლითობის დეტალური რეგულირება და იგი დაუტოვა ქვეყნების შიდა კანონმდებლობებს დასარეგულირებლად. უმრავლეს ევროპულ ქვეყანაში, აკრედიტივის გამოყენების შიდა რეგულაციებთან ერთად აღნიშნული საკითხიც არის დარეგულირებული. აღსანიშნავია რომ ამერიკის (UCC-Uniformed Comercial Code) არეგულირებს აღნიშნულ საკითხს და აძლევს ბანკებს დისკრეციის უფლებას, არ აწამრონ ანგარიშსწორება აკრედიტივის საფუძველზე, როდესაც დოკუმენტების თაღლითობას აშკარა სახე აქვს.<sup>85</sup>

საერთაშორისო პრაქტიკაში ასეთმა ბევრმა შემთხვევამ, საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა აიძულა, რომ გამონაკლისი დაეშვათ თაღლითობასთან დაკავშირებით ასეთი შემთხვევების გამოვლენის დროს, ავტონომიის პრინციპის იგნორირებით ბანკებს მიეცათ უფლება აღარ ეწარმოებინათ ანგარიშსწორება გამყიდველებთან.

**საერთაშორისო დოკუმენტური  
აკრედიტივის ზუსტი შესაბამისობის  
პრინციპი  
(Doctrine of Strict Compliance)**

ეგრეთ წოდებული დოქტრინა ზუსტი შესატყვისობის (doctrine of strict compliance), პირველად

83 Xiang Gao, The Fraud Rule in the Law of Letter of Credit, Kluwer law international, the Hague, the Netherlands, 2002, 29.  
84 Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 139.  
85 Jan Dalhuisen, Dalhuisen on International Commercial, Fiancial and Trade Law, USA, Portland, Oregon, 2004, 473.

დაამკვიდრა ვისკონტის ლორდთა პალატის სასამართლომ ერთ-ერთი სასამართლო განხილვის დროს: „არ არსებობს ოთახი დოკუმენტებისთვის, რომელიც ზუსტად იდენტიურად შექმნის მათ. ბანკის ფილიალმა საზღვარგარეთ, რომელმაც იცის არაფერი ბიზნეს ტრანზაქციის დეტალებზე რომელიც აკრედიტივით ფინანსდება, ვერ აიღებს თავის თავზე იმის გადაწყვეტილებას რა დოკუმენტი იქნება კარგი ან ცუდი ტრანზაქციისთვის. თუ ბანკი შეასრულებს იმას რაც ევალება აკრედიტივის დროს, მაშინ იგი დაცული იქნება, ხოლო თუ გადაუხვევს თავის უფლებამოსილებას და დაიწყებს დოკუმენტების სამართლებრივ შეფასებას, მაშინ ბანკი მოქმედებს თავისი რისკით და თავის თავზე იღებს ტრანზაქციის განხორციელების რისკებს“<sup>86</sup>

დოკუმენტების ზუსტი შესატყვისობის მოთხოვნები გულისხმობს ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტების თანხვედრას აკრედიტივის პირობებთან და რეალობა რაც შეიძლება იდგეს ამ დოკუმენტების უკან არ არის აქტუალური და საინტერესო ბანკისთვის.<sup>87</sup> მთავარი პრინციპები რაც უნდა გამომდინარეობდეს ამ დოქტრინიდან არის შემდეგი: დოკუმენტები ზუსტად უნდა შეესაბამებოდნენ აკრედიტივით შეთანხმებულ პირობებს; ბანკებს არანაირი ვალდებულება არ ეკისრებათ განსაზღვრონ დოკუმენტების სამართლებრივი საფუძვლები; არ არის საკმარისი თითოეული დოკუმენტების შედარება აკრედიტივის პირობებთან, აუცილებელია მათი ერთმანეთთან შედარება ინფორმაციის უტყუარობის დასადასტურებლად.<sup>88</sup> თუ ბანკი დაამონუმებს დოკუმენტებს იგი ვალდებულია „prima facia“ დაშვებით პირდაპირ აუნაზღაუროს თანხა ბენეფიციარს, ხოლო თუ აღმოაჩინს შეუსაბამებებს, ბენეფიციარს უფლება აქვს კვლავ წარადგინოს დოკუმენტები აკრედიტივის ვადის ამონურვამდე. ზუსტი შესატყვისობის პრინციპი არანაირად არ აკნინებს ბენეფიციარის მოთხოვნის უფლებას თანხის მიღებაზე. ბენეფიციარი წინასწარ

წერილობით ინფორმირებულია თუ რა საბუთები უნდა წარადგინოს ბანკში, ხოლო თუ ბანკი არ დაამონუმებს დოკუმენტებს მას უფლება აქვს ხელახლა წარუდგინოს ბანკს უკვე ხარვეზ გამოსწორებული დოკუმენტები.

სამსუხაროდ საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში წარდგენილ დოკუმენტებში შეუსაბამობები აკრედიტივის პირობებთან საკმაოდ ხშირია. აკრედიტივის ფარგლებში წარდგენილი დოკუმენტების ორი მესამედი მინიმუმ ერთ შეუსაბამობას მაინც შეიცავს საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში და აქედან ნახევარზე ბანკები უარს ამბობენ ბენეფიციარისთვის თანხის გადახდაზე.<sup>89</sup> თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს სტატისტიკა არ უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან აკრედიტივით შეთანხმებული წარსადგენ დოკუმენტთა სია საკმაოდ დიდია, რომლებიც თავის მხრივ მრავალ დეტალური ინფორმაციას შეიცავენ. შეუსაბამობის გამოვლენას დოკუმენტებში პირდაპირ შედეგობრივ კავშირშია გამყიდველის უფლებებზე მოითხოვოს თანხა, ბანკის ვალდებულებაზე გამყიდველის წინაშე და მის უფლებამოსილებაზე მოითხოვოს თანხის ანაზღაურება გამხსნელი ბანკისგან ან მყიდველისგან.

ბევრ სიტუაციაში ბანკის მიერ გამოვლენილი შეუსაბამობები შეიძლება იყოს უმნიშვნელო და მხარეებს (მყიდველი-გამყიდველი) მიუხედავად ხარვეზისა შეიძლება უნდოდეთ ტრანზაქციის დასრულება. როგორც წესი ბიზნესი ყოველთვის დაინტერესებულია გარიგების დასრულებით, ვიდრე სასამართლო დავებით. UCP-ი აძლევს ბანკებს საშუალებას, მაგრამ არ ავალდებულებს ასეთი ტიპის შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში მისი ინიციატივით გამართოს კონსულტაციები გამოვლენილ შეუსაბამობებზე მყიდველთან. თავის მხრივ ბანკისთვისაც სასურველია ტრანზაქციის დასრულება, როგორც დავიდან თავის ასარიდებლად ასევე საკომისის მისაღებადაც. უმეტეს შემთხვევებში მყიდველები უარს

86 Viscount Sumner of the House of Lords in „Equitable Trust Co. of New Yourk v. Dawson Partners Ltd. (1927) 27Li.L.Rep.49,52; Martin Davies, David V.Snyder, International Transaction in Goods, USA, Oxford University Press, 2014, 287.  
 87 Matti S. Kurkela, Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law, Oxford Univesity Press, New Yourk, USA, 2008, 120.  
 88 Matti S. Kurkela, Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law, Oxford Univesity Press, New Yourk, USA, 2008, 122.  
 89 Ralph H.Folsom, Michael Wallace Gordon, Michael P. Van Alstine, Michael D. Ramsey, International Business Transactions, Contracting Across Borders, twelfth edition, West Academic Publishing, St. Paul, USA, 2015, 257.

ამბობენ აღმოჩენილ უმნიშვნელო დარღვევებზე დოკუმენტებში და შესაბამისად პროცესი გრძელდება, იმიტომ რომ არასაბანკო მხარეებს (მყიდველი-გამყიდველი) უნდათ ტრანზაქციის დასრულება, მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტივის საერთაშორისო კანონმდებლობა ანიჭებთ მათ ტექნიკური დაცვის გარანტიებს აკრედიტივის დროს.<sup>90</sup>

მიღებულია, რომ ზუსტი შესაბამისობა დოკუმენტების არ მოითხოვს, რომ წარდგენილი დოკუმენტები სიტყვა-სიტყვით უნდა შეესაბამებოდეს აკრედიტივის პირობებს. შესაბამისობის საკითხი უნდა განიხილებოდეს როგორც აზრიანად და არა მექანიკურად. მაგალითად თუ აკრედიტივი ითხოვს წარმოშობის სერტიფიკატს (Holland) და წარდგენილი იქნება სერტიფიკატი სადაც ეწერება (Netherlands), არ უნდა იქნას შეუსაბამოდ მიღებული, ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს ორი სიტყვა ერთი და იმავეს ნიშნავს.<sup>91</sup>

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი აკრედიტივის განაღდებას ბენეფიციარის მიერ, გულისხმობს მის მიერ სრულყოფილი დოკუმენტების წარდგენას საავიზო ბანკში, რომელთა შინაარსი და აუთენტურობა სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს აკრედიტივით შეთანხმებულ პირობებთან. ბანკს არ აქვს უფლებამოსილება, არც ვალდებულება და შესაბამისი ცოდნა რათა შეამოწმოს დოკუმენტების სიზუსტე მხარეთა შორის დადებულ შეთანხმებასთან და საქონელთან შესაბამისობაში. აღნიშნულ შემთხვევაში ბანკი ვერ გაცდება თავის მანდატს და ვერ დაიწყებს შეფასებას დოკუმენტების შესაბამისობაში საქონელთან. თუმცა მის პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს შეამოწმოს თუ რამდენად სრულყოფილად და შესაბამისი ფორმით წარმოადგინა ბენეფიციარმა დოკუმენტები, მხარეთა მიერ აკრედიტივით შეთანხმებულ დოკუმენტთა ჩამონათვალთან.<sup>92</sup>

ბენეფიციარისთვის თანხის ანაზღაურების საკითხი, ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია

იმაზე შეესაბამება თუ არა მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია აკრედიტივის პირობებს. ბანკი უყურებს სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ყველა ის დოკუმენტები, რაც აკრედიტივითაა გაწერილი. ამონებს იმ აუცილებელ ინფორმაციას რაც დოკუმენტებში უნდა იყოს მითითებული. რაიმე შეუსაბამობის ან უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში ბანკი არ ამონებს დოკუმენტებს და უკან უბრუნებს ბენეფიციარს. ბანკს არ ევალება შეამოწმოს დოკუმენტების სამართლებრივი ასპექტები. (UCP) მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კომერციული ინვოისების, სატრანსპორტო და სადაზღვევო დოკუმენტაციების სიზუსტეს. შესაბამისად ბანკები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ამ დოკუმენტებს, თუმცა სხვა სახის დოკუმენტების შემოწმებაც ევალებათ ბანკებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას ბანკისა დოკუმენტების წარდგენის შემდგომ წარმადგენს დროული ცნობა ბენეფიციარისა აღმოჩენილი შეუსაბამობების თაობაზე. ამ მიმართულებით UCP- გვთავაზობს მნიშვნელოვან რეგულაციებს. უპირველესად თუ ბანკი გამოავლენს შეუსაბამობებს და არ გადაუხდის თანხას გამყიდველს, იგი ვალდებულია ამის შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს გამყიდველს. იმისთვის რომ ეს შეტყობინება გადასცეს ბანკმა უნდა გამოიყენოს ტელეკომუნიკაციების საშუალებები, ხოლო თუ ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს მაშინ სხვა სწრაფი გზავნილები.<sup>93</sup> აღნიშნული შეტყობინების გაგზავნა ბანკს შეუძლია მხოლოდ ერთხელ სადაც უნდა მიუთითოს ყველა გამოვლენილ შეუსაბამობის შესახებ, რაიმე გამორჩენის შემთხვევაში ბანკი აცილებული იქნება უფლებას დამატებით სხვა რამე მოითხოვოს გამყიდველისგან თუ ამ ერთი შეტყობინების უფლებაში არ მიუთითებს სრულ ინფორმაციას.

ერთ-ერთი მთავარი მიზანი აკრედიტივის არის იმის უზრუნველყოფა, რომ მყიდველმა მიიღოს თანხა, მიუხედავად იმისა ამ პერიოდში მიმდინა-

90 Ralph H.Folsom, Michael Wallace Gordon, Michael P. Van Alstine, Michael D. Ramsey, International Business Transactions, Contracting Across Borders, twelfth edition, West Academic Publishing, St. Paul, USA, 2015, 259.  
91 Nelson Enonchong, The Indipendence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees, Oxford University Press, Oxford, UK, 2011, 84.  
92 Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Jeffrey Wool, Transnational Commercial Law, Second Edition, UK, Oxford University Press, 2012, 388.  
93 Ralph H.Folsom, Michael Wallace Gordon, Michael P. Van Alstine, Michael D. Ramsey, International Business Transactions, Contracting Across Borders, twelfth edition, West Academic Publishing, St. Paul, USA, 2015, 260.

რეობს თუ არა დავა მყიდველსა და გამყიდველს შორის სავაჭრო გარიგების გარკვეული პირობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. მხარეებს შორის სავაჭრო გარიგების საფუძველზე წამოჭრილი დავის საფუძველზე გამხსნელი ბანკის მიერ თანხის არ გადახდა ჩაითვლება მისი პირდაპირი ვალდებულების დარღვევად ბენეფიციარის წინაშე და ძირს უთხრის აკრედიტივის, როგორც ლეგიტიმურ კომერციულ ეფექტურ ინსტრუმენტის ფუნქციონირებას.<sup>94</sup>

დოკუმენტების წარდგენის შემდგომ ბანკს გააჩნია ვალდებულება დაკვირვებულად და დეტალურად შეამოწმოს მათი შესაბამისობა აკრედიტივის პირობებთან. ლეგიტიმურად უნა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო აკრედიტივის სამართალი და საერთაშორისო საბანკო პრაქტიკა არ ცნობს ბანკის მიერ დოკუმენტების შემოწმებისას დაუდევრობას ან ამ პროცესის უგულველყოფას, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც დოკუმენტები არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი და არ შეესაბამება აკრედიტივის პირობებს ან წარმოდგენილი დოკუმენტები არის ყალბი და ხარვეზიანი. ბანკი აგრეთვე ვალდებულია სწორად და სრულყოფილად მიაწოდოს ინფორმაცია აპლიკანტს, როდესაც დოკუმენტები არ შეესაბამება აკრედიტივის პირობებს. გამხსნელი ბანკი ყურადღებით ისმენს აპლიკანტის მოსაზრებებს და პოზიციებს შეუსაბამო დოკუმენტებთან დაკავშირებით და დეტალურად გადასცემს მას ბენეფიციარს. ბანკი რომელიც, შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას, მას არ დაეკისრება თანხის ანაზღაურების მოთხოვნა შეუსაბამო დოკუმენტების გამო, ხოლო თუ იგი არ შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას UCP-ის მე-16 მუხლის შესაბამისად დაკარგავს შეუსაბამო დოკუმენტების გამო თანხის გადახდაზე უარის თქმის უფლებას.<sup>95</sup>

### დასკვნა

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ზემოთ განხილული პრინციპები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აკრედიტივის, როგორც საერთაშორისო ვაჭრობაში ყველაზე გავრცელებული

ანგარიშსწორების ფორმის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის. სწორედ ამიტომაც მრავალი ათეული წლების განმავლობაში დაგროვილი საბანკო და სასამართლო პრაქტიკამ ავტონომიის და ზუსტი შესატყვისობის პრინციპებთან დაკავშირებით ასახვა პოვა UCP-ის დებულებებში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის უმთავრეს მარეგულირებელ აქტს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უმრავლეს ევროპულ ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში ცალკე შიდა საკანონმებლო აქტებია მიღებულია სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი რეგულირება. მაგალითისთვის აშშ-ში სავაჭრო კოდექსში ცალკე თავი ეთმობა აკრედიტივით ანგარიშსწორებას, სადაც გარდა აკრედიტივის რეგულირების სხვა საკითხებისა, დეტალურად არის გადმოცემული ავტონომიის და ზუსტი შესატყვისობის პრინციპები.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ იგივეს თქმა გაგვიჭირდება საქართველოზეც. დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში ძალზედ მწირია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მხოლოდ ორი მუხლი 876-878 ეთმობა აკრედიტივის საკითხს, რაც არის ძალიან ზოგადი და არ განმარტავს სრულყოფილად მის არსს და გამოყენების პროცედურებს. არც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის მიღებული რაიმე კანონქვემდებარე აქტი, რომელიც უფრო დეტალურ განმარტებებს მოგვცემდა აკრედიტივთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებით.

გამომდინარე აქედან საკმაოდ დიდი ვაკუუმი შექმნილი საქართველოში აკრედიტივის მნიშვნელობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. არა თუ ზემოთგანხილული ორი უმთავრესი პრინციპი არის განმარტებული საქართველოს შესაბამის აქტებში, არამედ სამოქალაქო კოდექსის ის ორი მუხლიც კი სადაც ნახსენებია აკრედიტივი, სწორად ვერ გადმოსცემს აკრედიტივის ცნებას და აღრუულია აკრედიტივში მონაწილე მხარეების განმარტებები და ტერმინოლოგია, რომელიც თანხვედრაში ვერ მოდის საერთაშორისო დად-

94 Mary Beth Matthews, Steve H. Nickles, Payments Law in a Nutshell, St. Paul, USA, 2015, 335.

95 Ebenezer Adodo, Letters of Credit, The law and practice of Compliance, Oxford University press, oxford, UK, 2014, 149.

გენილ ტერმინებთან, რაც საერთაშორისო სა-  
ვაჭრო პრაქტიკაში დიდ პრობლემებს უქმნის  
მხარეებს. ვფიქრობ, უნდა მოხდეს აღნიშნული  
ხარვეზის გამოსწორება სამოქალაქო კოდექსში  
და შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო  
სტანდარტებთან.

საქართველოს მიერ ევროპასთან გაფორმებული  
ასოციაციის ხელშეკრულება ითვალისწინებს  
ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომე-  
ლიც ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის განვი-  
თარებას. შესაბამისად ნათლად იკვეთება აკრე-  
დიტივის გამოყენების უდიდესი როლი საგარეო  
ვაჭრობაში, ვინაიდან საერთაშორისო ვაჭრობის  
უმეტესი ტრანზაქციები ხორციელდა აკრედიტი-  
ვის გამოყენებით. გამომდინარე აქედან, ვფიქრობ  
აუცილებელია დროულად გატარდეს შესაბამი-  
სი საკონომდებლო ღონისძიებები რათა მოხდეს  
სამოქალაქო კოდექსში აკრედიტივის გამოყენე-  
ბის რეგულაციების ჩამოყალიბება და ჰარმო-  
ნიზება საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე  
უმნიშვნელოვანესია საქართველოს ეროვნული  
ბანკის მიერ მიღებული იქნას კანონქვემდებარ-  
ე აქტი რომელიც დეტალურად განსაზღვრავს  
აკრედიტში ჩართული ყველა მხარეების უფლება-  
მოვალეობებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- V.Gerard Comizio, International Banking Law, USA ST.Paul, 2016.
- Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Transnational Commercial Law, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015.
- Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010.
- Charles Chatterjee, Legal Aspects of Trade Finance, London, UK, Routledge-Haines House, 2006.
- Nelson Enonchong, The Indipendence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees, Oxford University Press, oxford, UK, 2011.
- Charles Proctor, The Law and Practice of International Banking, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015.

- Uniform Customs and Practice for Documentary Credits 600.
- Xiang Gao, The Fraud Rule in the Law of Letter of Credit, Kluwer law international, the Hague, the Netherlands, 2002.
- Jan Dalhuisen, Dalhuisen on International Commercial, Fianciatl and Trade Law, USA, Portland, Oregon, 2004.
- Viscount Sumner of the House of Lords in „Equitable Trust Co. of New Yourk v. Dawson Partners Ltd. (1927) 27Li.L.Rep.49,52;
- Martin Davies, David V.Snyder, International Transaction in Goods, USA, Oxford University Press, 2014.
- Matti S. Kurkela, Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law, Oxford University Press, New Yourk, USA, 2008.
- Ralph H.Folsom, Michael Wallace Gordon, Michael P. Van Alstine, Michael D. Ramsey, International Business Transactions, Contracting Across Borders, twelfth edition, West Academic Publishing, St. Paul, USA, 2015.
- Mary Beth Matthews, Steve H. Nickles, Payments Law in a Nutshell, St. Paul, USA, 2015.
- Ebenezer Adodo, Letters of Credit, The law and practice of Compliance, Oxford University press, oxford, UK, 2014.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის ბმული: [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

## „მენაღის დაგვიანებული გამოცხილი“



*ბოლო ხანს გახმაურებული პრობლემები სამართალწარმოების სფეროსთან დაკავშირებით და იურისტთა კორპორატიულ სივრცეში გამოკვეთილი დაპირისპირება უტყუარი ნიშანია იმისა, რომ არსებობს რიგი საკითხებისა, რომელთა დარეგულირება არა მარტო იურისპრუდენციის სპეციალისტების, არამედ ფართო საზოგადოების დაინტერესების საგანსაც წარმოადგენს.*

*ილამაშ მინიშვილი*

*(გაგრძელება)*

-რაც შეეხება მე-9 მუხლს, მასში, როგორც ვხედავთ, პრინციპული ბევრი არაფერი შეცვლილა - იუსტიციის სამინისტრო კი აცხადებდა, რომ 4-ჯერ გაიზარდა „სიცოცხლის საფასური“, მაგრამ ეს ასე არ არის: ვთქვათ, პიროვნებამ მოიხადა 3-წლიანი პატიმრობის ვადა (1936 წლის განმავლობაში, მაგალითად, ასეთი სასჯელი არც თუ იშვიათი იყო) და დაუბრუნდა ჩვეულ ცხოვრებას. მისი მემკვიდრე მიიღებს კანონით დადგენილ მინიმუმს - 1000, დახვრეტილის შვილი კი - 2000 ლარს (კანონით დადგენილ მაქსიმუმს). გამოდის, რომ იურისტებმა (კანონის მიღებისას ხომ ისინი უკრავენ „პირველ ვიოლინოს“!) ადამიანის სიცოცხლე შეაფასეს 1000 ლარად, მაშინ, როდესაც წინა ხელისუფლება მას 500 ლარად აფასებდა! მთლად პარადოქსული სიტუაციაც შეიძლება წარმოვიდგინოთ: ერთმა მოსამართლემ გაითვალისწინა ხან-მოკლე დროით წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ნიშნით პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულის მემკვიდრის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა და მას კომპენსაციის ოდენობა განუსაზღვრა 2000 ლარით, მეორემ კი მინიმუმი (1000 ლარი) განუსაზღვრა დახვრეტილის შვილს, რადგან იგი „ყოჩაღად“ გამოიყურება! გამოდის, რომ მხოლოდ წინასწარ პატიმრობაში ყოფნის გამო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულის სიცოცხლე

ორჯერ მეტად შეფასდა, ვიდრე დახვრეტილისა! ადვილი დასანახია, რომ ასეთი აბსურდი შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ კანონმდებლობით (იურისტების მიერ!) არ არის მკაფიოდ განსაზღვრული მთავარი - რის და ვის კომპენსაციაზეა ლაპარაკი? თუ მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს რეპრესირებულის მიმართ გამოყენებული ძალადობის ფორმა და მისი სიმძიმე, მაშინ გაუგებარია რა კავშირშია ამასთან მემკვიდრის ასაკი და ჯანმრთელობა, ხოლო თუ მოსამართლისათვის ეს უკანასკნელი ფაქტორია დომინანტი, მაშინ რა აზრი აქვს სასჯელის სიმძიმეს - მნიშვნელობა ეკარგება იმას - რეპრესირებული ერთი თვე იჯდა ციხეში, თუ, სულაც, - დახვრიტეს!;

- ჩვენთვის თავიდანვე მიუღებელი იყო ის, რომ კანონმდებელმა კვლავ კითხვის ქვეშ დატოვა კომპენსაციის გაცემის იმპერატიულობის საკითხი („შეიძლება მიეცეს“) და, შესაბამისად, მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმების არარსებობისას კანონის ასეთი „ნორმა“ ზოგი მოსამართლის მხრიდან შეიძლება სარჩელზე საერთოდ უარის თქმის საბაზისი კი გამხდარიყო, თუნდაც, ნახსენები „სხვა ობიექტური ფაქტორების“ მოშველიებით (ასეთია, მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს პოზიცია). ბუნებრივია, გვქონდა სხვა სახის პრეტენზიებიც, რომელთა დეტალური განხილვისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ, ავლნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: მორალური განცდა, ნუხილი,

სტრესი ნებისმიერი სახის რეპრესიის თანმდევი და ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც შედეგად არ იყო დამდგარი რაიმე სახის მატერიალური ზიანი. ამიტომ, რადგან მე-8 მუხლში ლაპარაკია ქონებრივი უფლებების აღდგენაზე, ანუ – მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე, ლოგიკური იყო მოლოდინი იმისა, რომ მომდევნო მუხლით მოხდებოდა მორალური ზიანის კომპენსაციის ლეგიტიმაცია – მკაფიოდ განმარტება მისი არსისა, კომპენსაციის ფორმის, მისი ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და ა. შ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და მუხლში ცნება „მორალური ზიანი“ საერთოდ არ ფიგურირებს. მოვლენებს ცოტა ნინ გავუსწრებთ და ავლნიშნავთ, რომ არ გამოსწორდა ეს ხარვეზი არც 2011 და არც 2014 წლების ცვლილებებში - მათშიც ლაპარაკია მხოლოდ ზოგადად - ფულად კომპენსაციაზე. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ეს ჩანანერი არის ცდა აცილებული იქნეს პასუხისმგებლობა მე-8 მუხლით დაპირებულ ქონებრივი უფლებების აღდგენაზე, ანუ – მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე;

- ჩვენთვის, რიგითი მოქალაქეებისათვის, ძირითადად ვის სახელმძღვანელოდაც, წესით, უნდა იწერებოდეს კანონები, აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა (და ასეთად დარჩა!) მე-4 მუხლი, რადგან გაუგებარია ვის ასაკსა და ჯანმრთელობაზე მასში საუბარი. ასეთ პირობებში საქმე შეიძლება აბსურდამდეც კი მივიდეს და ეს იმიტომ, რომ კანონმდებლებმა (იურის-ტებმა!) თავიდანვე მკაფიოდ არ განსაზღვრეს რა სახის (უფრო სწორად – რის?) კომპენსაციასთან გვაქვს საქმე:

- თუ იგულისხმება, რომ ლაპარაკია თავად რეპრესირებულის მიერ განცდილი მორალური ზიანის კომპენსაციაზე, მაშინ საქმე შედარებით მარტივად გვესახება, რადგან რეპრესიის მომენტისათვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა დღეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია მისი ამჟამინდელი ფიზიკური მდგომარეობის შესაძლო კავშირის დადგენა მის მიმართ განხორციელებულ ძალადობის ფორმასთან. ამდენად, კრიტერიუმად ჯანმრთელობის ცნების გამოყენება საერთოდ უნდა გამოირიცხოს. ასეთი აზრის მართებულობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსგავს საქმეებზე 2015 წელს გამო-

ტანილ გადაწყვეტილებებში ჯანმრთელობა არ ფიგურირებს. დედაჩემის საქმეში, მაგალითად, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა ასეა მოტივირებული: „განხილულ შემთხვევაში სასამართლო მხედველობაში იღებს მოსარჩელის (ანუ – ჩემს! - ი.მ.) მიმართ განხორციელებული იძულების ფორმის სიმძიმეს (გადასახლება), მოსარჩელის (ანუ - ჩემს! - ი.მ.) ასაკს“ (მიაქციეთ ყურადღება – ჯანმრთელობა ნახსენები არ არის!).

სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებების მსგავსად აქაც აღნიშნულია, რომ კომპენსაციის კონკრეტული ოდენობა განსაზღვრულია „საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების ანალიზის საფუძველზე“. თუ გადაწყვეტილების აშკარა „ლაფსუსებს“ (მე არც გადასახლებაში ვყოფილვარ და არც ასაკი უკითხავს ვინმეს ჩემი) უყურადღებოდ დავტოვებთ (ცოტა ქვემოთ მათი გამომწვევი შესაძლო მიზეზების ახსნასაც შევეცდები), გამოდის, რომ თავად სასამართლო პრაქტიკამ დაადასტურა კომპენსაციის ოდენობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუღებლობა. ოდნავ მეტი ყურადღების გამოჩენისას გარდაუვალი იქნებოდა ასაკის გამორიცხვაც (ამაზე ცოტა ქვემოთ) და საბოლოოდ ერთადერთ ობიექტურ კრიტერიუმად დარჩებოდა მხოლოდ „თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა“;

- კომპენსაციის ოდენობის განმსაზღვრელ ფაქტორად არ შეიძლება მივიჩნიოთ არც რეპრესირებულის ასაკი თავისუფლების აღკვეთის (გინდაც სასამართლოსადმი კომპენსაციის მიღების თაობაზე მიმართვის) მომენტში, რადგან რეპრესიებით გამოწვეული განცდის გავლენა ჯანმრთელობაზე ყველამ კი ვიცით რომ მძაფრად ნეგატიურია, მაგრამ ასაკთან მისი დამოკიდებულების ხარისხი მეცნიერულ დონეზე არსად არავის დაუდგენია. რაც შეეხება დახვრეტის შემთხვევას, ასაკის მოშველიება საერთოდ უზნეობაა, რადგან აქ საქმე ეხება უკვე არა რაიმე სახის ზიანს, არამედ ადამიანის უზენაეს ღირებულებას – სიცოცხლეს! ვფიქრობთ, ნათლად ჩანს, რომ ერთადერთი ობიექტური კრიტერიუმი, რომლის პარამეტრების დადგენა დღეს რეალურად არის შესაძლებელი, არის თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა და სწორედ ეს ფაქტორი უნდა გამხდარიყო კომპენსაციის განსაზღვრის წესის

საფუძველი (დახვრეტის შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობა შეიძლება განსაზღვრულიყო ამ წესით გამოთვლილი მაქსიმუმით);

- ტექსტში ნახმარი კავშირი „ან“, ფაქტობრივად, ათანაბრებს რეპრესირებულისა და კანონით მისი მემკვიდრის სტატუსს. ჩვენ მხოლოდ მივესალმებოდით ამას, კანონმდებელს რეპრესირების ფორმათა შორის რომ დაეფიქსირებინა „ძალადობრივი გზით მოზარდის (არასრულწლოვანის) დატოვება მშობლის (მშობლების) მზრუნველობის გარეშე“, რადგან ასეთი რამ ხშირად სიცოცხლის ხელყოფის ტოლფასივც კი იყო. მოქმედი საკანონმდებლო ნორმა - „...რამდენიმე პირველი რიგის მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში მათზე გაიცემა ერთიანი ფულადი კომპენსაცია“ - აშკარად არასა-მართლიანია, რადგან ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ, ვთქვათ, ხუთი და-ძმიდან თითოეული ისევე განიცდიდა უმშობლებოდ გატარებულ ბავშვობას, როგორც დედისერთა, თუმცა მოქმედი ნორმის თანახმად ყოველი მათგანი მხოლოდ იმის ერთ მეხუთედს მიიღებს, რაც დედისერთას შეხვდებოდა. ეს ნორმა სამართლიანად მაშინ ჩაითვლებოდა, თუ მიღებული იქნებოდა ჩვენი წინადადება, რაც, ასევე, შესატყვისობაში მოვიდოდა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციასთან;

- არსებული ფორმულირება ბევრი გაუგებრობის საბაზი შეიძლება გახდეს: ვთქვათ, მაგალითისათვის, რომ 80 წლის ასაკში დახვრეტილი რეპრესირებულის მემკვიდრის ფიზიკური მდგომარეობა, ღვთის მადლით, ამჟამად დამაკმაყოფილებელია; მეორე, ვისი მამაც (მაგალითისათვის) 25 წლის ასაკში დახვ-რიტეს, სავსებით ჯანმრთელია, მესამის მდგომარეობა კი, ვისი მამაც მხოლოდ სამწლიანი გადასახლებიდან ცოცხალი დაბრუნდა, უკიდურესად შემაშფოთებელი. როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოსამართლემ? რა უნდა დაუდოს საფუძველად მას - ჯანმრთელობის მდგომარეობა? ვისი? რეპრესირებულის მიმართ გამოყენებული „იძულების ფორმის სიმძიმე“? ასაკი? ვისი - რეპრესირებულის (თავისუფლების აღკვეთის მომენტში; განთავისუფლებისას; ამჟამინდელი!), თუ - მემკვიდრის (მეუღლის, შვილის - უფროსის, უმც-როსის და ა.შ.)? კანონის ასეთი ფორმულირებისას კითხვებს ბოლო არ უჩანს და ვშიშობთ, რომ ყველა მოსამართლე განსხვავებულ

გადაწყვეტილებას მიიღებს და ეს გადაწყვეტილებები არასოდეს იქნება ობიექტური!

- რა შეიძლება იყოს ის „სხვა ობიექტური ფაქტორი“, რომლის მოშველიების შესაძლებლობაც მიეცათ სასამართლოებს კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას? ჩვენთვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ ხელის-უფლება სასამართლოს დაავალდებულებდა გადაწყვეტილების მიღებისას „სახელმწიფო ინტერესების“ გათვალისწინებას. ეს ვარაუდი მალევე გამართ-ლდა იმით, რომ ამ ფაქტორზე აპელირება პირველივე პროცესების შესაგებ-ლებში მოახდინა „მოპასუხე მხარემ“ - ფინანსთა სამინისტრომ. ყველა სარჩელის აბსოლუტურად იდენტურ შესაგებელში დაფიქსირებულია მისი მკაფიო პოზიცია, რომლის თანახმადაც კომპენსაციის „გაანგარიშება უნდა იყოს მართლზომიერი, ...რისი განხორციელებაც შესაძლებელია საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვით“ (სად და ვინ დაადგინა ეს პრინციპები? - ი.მ.). იქვე პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „დაუშვებელია მხოლოდ კერძო ინტერესის დაცვა საჯარო ინტერესის ხარჯზე“ და რომ - „...კომპენსაცია უნდა გაიცეს სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით“! საინტერესოა, ითვალისწინებს თუ არა თავად ფინანსთა სამინისტრო სა-ხელმწიფოს ფინანსურ მდგომარეობას მაშინ, როცა ასე უშურველად და უდრტ-ვინველად ურიგებს სახელმწიფო მოხელეებს ზღაპრულ „დანამატებსა“ და პრემიებს?

- მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ნახსენები „ობიექტური ფაქტორები“ არანაირ კავშირში არ არიან იმასთან, თუ რა სიმძიმის რეპრესიის მსხვერპლი გახდა კანონის სუბიექტი, არადა სწორედ ეს ნორმა უნდა ჩამოეყალიბებინათ იურისტებს ზედმინევიანი კონკრეტულობით. ყოველ შემთხვევაში, მე-9 მუხლის დღევანდელი რედაქცია და ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა რეგულაციები არ შეიძლება ჩაითვალოს აღსასრულებლად სავალდებულო ნორმატიული აქტების სრულყოფილობის ნიშნად. უფრო მეტიც, ბოლო ცვლილებებიდან ზოგი გარკვეული თვალსაზრისით დისკრიმინაციულ ხასიათსაც კი ატარებს. ასე, მაგალითად, საზოგადოება „მემორიალის“ წევრთა ერთსულოვანი აზრით, წინა ხელისუფლების მიერ სტრასბურგის სასამართლოს განჩინების საპასუხოდ 2011 წელს განხორციელებული ცვლილებები

იმდენად ცინიკური და შეურაცხყოფელი იყო, რომ ძალიან ბევრმა არამც თუ არ იკადრა ასეთი კომპენსაციის აღება, არამედ სასამართლოს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების თაობაზეც კი არ მიმართა. შესაბამისად, კანონმდებელს უნდა გაეთვალისწინებინა ასეთი განწყობა და გაეხანგ-რძლივებინა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების თაობაზე განცხადების შეტანის ვადა. ამას ვითხოვდით ჩვენ ყველა მიმართვისას და, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი განზრახვა დაფიქსირებული იყო საია-ს საკანონმდებლო წინადადებაშიც, სამწუხაროდ, ახალ რედაქციებში ამის თაობაზე საერთოდ არაფერია მინიშნებული, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესაძლებლობა აღარ არსებობს და, გარდა იმისა, რომ ბევრი პიროვნება უდანაშაულოდ რეპრესირებული მშობლის ღირსების ერთგულებისათვის დაისაჯა (!), ეს წინააღმდეგობაში მოვიდა არა მარტო ქვეყნის კონსტიტუციასა და ანტიდისკრიმინაციურ კანონმდებლობასთან, არამედ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებასთანაც, რომლის თანახმადაც არ შეიძლება შეიზღუდოს - „აღნიშნული დებულებით გარანტირებული უფლების ეფექტური სარგებლობის უფლება“ (პ. 85). ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვექონდა ადამიანის უფლებათა აშკარა ხელყოფასთან და სად იყვნენ ამ დროს იურისტები?

- კანონმდებლობაში დღეს არსებული ხარვეზები ფინანსთა სამინისტროს პოზიციიდანაც აშკარად იკვეთება. იგი, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსზე დაყრდნობით (მ. 1421), თვლის, რომ მოსარჩელეს „არ წარმოეშობა მამკვიდრების უფლების გამო მოთხოვნის საფუძველი“, რადგან „მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას“. თუ ამ საკითხზე ჩვენი წარმოდგენა სწორია, სამკვიდროს მიღების პროცედურის სამართლებრივი მხარის უზრუნველყოფა დღესაც არ არის ადვილად განსახორციელებელი და იმის გაფიქრებაც კი, თუ როგორ უნდა მოეხერხებინა ვინმეს 30-ან წლებში დატრიალებული ჯოჯოხეთური განუკითხაობის პირობებში სამკვიდროს გაფორმებაზე ზრუნვა, ანუ – წარმოდგენაც კი იმისა, რომ ვინმე შეძლებდა მოეპოვებინა მაშინ,

როგორც მოპასუხე მოი-თხოვს, „ნოტარუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა“, აბსურდად მეჩვენება. მიუღებელია ჩემთვის, ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2126 მუხლის მე-3 პუნქტის („ბ“) იმპერატივი: „ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს უნდა დაერთოს ... პირველი რიგის მემკვიდრის მიერ სარჩელის წარდგენისას – მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტი“! ხომ თითქმის გამორიცხულია, რომ დღეს იგი ვინმეს გააჩნდეს, ახლის აღება კი ან შეუძლებელი, ან წარმოუდგენელ სიძნელებებთან იქნება დაკავშირებული: როგორ უნდა დავამტკიცო, მაგალითად, მე, რომ 1937 წელს, როდესაც ბახჩო ქობულოვმა მამაჩემი სამსახურიდან წაიყვანა, არ შეუთავაზებია მისთვის – მოდი, ნოტარიუსთან შევიაროთ და შენიანებს მემკვიდრეობა დაუდასტურეო; ანდა – დედაჩემის წასაყვანად ღამის 3 საათზე რომ მოვიდნენ, ბოდიში მოგვიხადეს – ამ დროს სანოტაროები დაკეტილია და სამკვიდროს ვერ გაგიფორმებთო. მიუხედავად ასეთი მოთხოვნის აშკარა აბსურდულობისა, მოპასუხე მაინც ამტკიცებს - „საქმეში არ მოიპოვება ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა, არც სასამართლო წესით არ არის დადასტურებული მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი, ხოლო აღნიშნული მტკიცებულების გარეშე მემკვიდრეს არ წარმოეშობა მამკვიდრების უფლების გამო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი“.

ჩვენ შესაძლებლობის ფარგლებში დავახასიათეთ სამართალწარმოებას დაქვემდებარებულთაგან ერთი, ფრიად სპეციფიკური პრობლემა, რომელმაც მიუხედავად მისი, შეიძლება არც თუ დიდი მასშტაბურობისა, მაინც წარმოაჩინა ფაქტები საკანონმდებლო ნორმებში ხარვეზების არსებობისა. ამისი სათავე, რასაკვირველია, პარლამენტი, და, ბუნებრივად ისმის კითხვა – არის თუ არა ამის ერთ-ერთი მიზეზი, მაგალითად, კანონმდებელთა შორის მსახიობებისა და სპორტსმენების ყბადაღებული სიჭარბე? რასაკვირველია. არა! განა ცოტაა მაგალითი იმისა, რომ არაიური-სტებსაც მიუღწევიათ წარმატებული პოლიტიკური მიზნებისათვის, მათ შორის ქვეყნის პრეზიდენტობისთვისაც: სამხედროებს (ათათურქი, დე გოლი, ...), მსახიობებს (რეიგანი), ლიტერატორებს (პომპიდუ, ...), ელექტრომონტიორებსაც კი (ვალენსა). როგორც ვხედავთ, კიდევ ერთხელ

მივადექით კანონზომიერი შეფასებისათვის საჭირო კრიტერიუმის დადგენის აუცილებლობას (ეს იმპერატივი განსაკუთრებულ სიმწვავეს იქნენ მოახლოვებული არჩევნების გამო!) და ასეთი კრიტერიუმი, ჩემის ღრმა რწმენით, კანდიდატის მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად მისი სახელმწიფოებრივ დონეზე აზროვნების უნარი უნდა იყოს! მანამ, სანამ დეპუტატობა აღარ იქნება პირადი კეთილდღეობის მოპოვების პირდაპირი თუ ფარული წყარო, და მანამ არ ამოიშანთება ამომრჩევლის გონებაში, რომ ის ირჩევს ქვეყნის ბედის გადამწყვეტი პარლამენტის და არა ადგილობრივი აღმასკომის წევრს, სანამ 20-21 წლის, ცხოვრებისეული გამოცდილების არმქონე მოზარდებს კანონმდებლობით ექნებათ უზრუნველყოფილი ქვეყნის მართვის უმნიშვნელოვანეს საკითხებში მონაწილეობის ამბიციების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, მანამდე „საკანონმდებლო“ და სხვა სახის უსწორობებსაც ვერ ავიცილებთ თავიდან, ალბათ.

*(გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში)*

## ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირი დაარსდა



*ინტერვიუ , საქართველოს ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარესთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრთან და უფლებადამცველთან გიორგი თევზაძესთან*

- **ბატონო გიორგი, რა ფაქტორებმა განაპირობა ადვოკატთა პროფკავშირის დაფუძნება ?**
- საქართველოს ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირის დაარსება რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა განაპირობა. ადვოკატთა პროფკავშირის დაფუძნება ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენელთა ინიციატივა და ერთსულოვანი გადაწყვეტულება იყო. ჩვენ კარგად გვახსოვს წინა ხელისუფლების პირობებში ადვოკატთა ინსტიტუტის დისკრედიტაცია და სისტემური დევნის არაერთი მაგალითი, ადვოკატთა კორპუსმა ზაზა ხატიაშვილის ხელმძღვანელობით იბრძოლა თითოეული ადვოკატის კანონიერი უფლებებისათვის. საზოგადოებას კარგად ახსოვს არაერთი საპროტესტო აქცია, რომელიც გაიმართა ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენლების მიერ და რომელმაც, უდაოდ, თავისი დადებითი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. გვაქვს კარგი შანსი, რომ განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდეთ. ადვოკატთა პროფკავშირი, რომელიც იზრუნებს, ჩამოყალიბდეს ადვოკატთა გამაერთიანებელ ძალად, საშუალებას გვაძლევს ადვოკატთა პროფკავშირი ჩავაყენოთ ადვოკატთა ინტერესების დაცვის საქმეში.
- **როგორია ადვოკატთა პროფკავშირის ძირითადი საწინდებო მიზნები ?**
- ადვოკატთა პროფკავშირის ძირითადი და უმთავრესი მიზანია ადვოკატის პროფესიული ღირსების დაცვა, ამაღლება და განმტკიცება, საზოგადოებაში ადვოკატის ავტორიტეტის გაზრდა, ადვოკატთა სოციალური ინტერესების განხორციელება. ამ ძირითადი მიზნის მიღწევისათვის ვგეგმავთ ადვოკატის თავისუფალი პროფესიის განვითარებას, ადვოკატის დამოუკიდებლობას პროფესიული საქმიანობისას და ადვოკატთა სოციალურ უზრუნველყოფას, ოპერატიულ რეაგირებას ჩვენი ორგანიზაციის წევრი ადვოკატების უფლებების ხელშეშლისა და შეზღუდვის ფაქტებზე, ღირსეულ წარმომადგენლობას და თანამშრომლობას საქართველოს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებში. ადვოკატის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებში შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებების მომზადებას, შეთავაზებასა და ლობირებას. ჩვენი ვიქნებით კონსტრუქციულები, თუმცა თანმიმდევრულები, კრიტიკულები და პრინციპულები ხელისუფლების მიმართ ყველა იმ საკითხზე, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადვოკატებისათვის.

**– ვისთან გეგმავთ აქტიურ თანამშრომლობას ?**

– ჩვენი ძირითადი და სტრატეგიული პარტნიორები არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ასევე საქართველოს პროფკავშირთა გაერთიანება, რომელთა გამოცდილება და თანამშრომლობა დაგვეხმარება დასახული მიზნების მიღწევაში. ჩვენს პრიორიტეტს წარმოადგენს თანამშრომლობა ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სტრუქტურებთან. ამასთანავე ვგეგმავთ თანამშრომლობას ყველა დაინტერესებულ სუბიექტთან, რომელთა ინტერესის საგანი იქნება ადვოკატთა პროფესიული ინტერესების დაცვა და ადამიანის უფლებების უზენაესი პრინციპების უზრუნველყოფა.

**– დაახლოებით ერთ თვეზე ნაკლებია, რაც ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენლებმა დააფუძნეს ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირი.. ამ პერიოდში რა სახის აქტივობები გქონდათ ?**

– მართლაც აქტიურად დაიწყო ფუნქციონირება ადვოკატთა პროფკავშირმა. მოგვეცა შესაძლებლობა დავხმარებოდით კანონის შესაბამისად გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს, მაგალითის სახით გავიხსენებ, მათ შორის ზვარეში ჩინებლების მხრიდან დასაქმებული ქართველების მიმართ მომხდარი ძალადობის ფაქტზე ჩვენმა წარმომადგენლებმა განახორციელეს დაზარალებული დასაქმებულების სათანადო სამართლებრივი დაცვა, რამაც საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. პროცესებმა დაგვანახა, რომ ადვოკატთა პროფკავშირს მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა საზოგადოების წინაშე, ადვოკატთა პროფკავშირი ძალისხმევას არ დაიშურებს ჩვენს მიმართ არსებული დადებითი მოლოდინების გამართლებისთვის.

**– ჩამოყალიბდა თუ არა ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირების სტრუქტურა ?**

– სტრუქტურა ჩამოყალიბების პროცესშია. ამჟამად მიმდინარეობს საორგანიზაციო, სამართლებრივი და ტექნიკური სამუშაოები. პრიორიტეტულად რჩება რეგიონული წარმომადგენლობების დაფუძნება და გაძლიერება, ასევე თემატური ჯგუფების საქმიანობის

ხელშეწყობა სხვადასხვა, მათ შორის საკანონმდებლო და სამართლებრივი ცვლილებების დანიშნულებით. .

**– როგორ შეიძლება დაგიკავშირდნენ დაინტერესებული პირები ?**

– ადვოკატთა პროფკავშირის საქმიანობით დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელია დაგიკავშირდნენ შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, კოტე აფხაზის (ყოფილი ლესელიძის ქუჩა) №4, მე-3 სართული, საკონტაქტო პირი მამუკა ტივიშვილი, მობ. 599148420, ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ცენტრალურ ოფისში.



**ადვოკატთა საყურადღებოდ!**

ყველა ადვოკატს შეუძლია ჟურნალში განათავსოს სამეცნიერო ნაშრომი და მოსაზრება. თქვენ მიერ [pr@gba.ge](mailto:pr@gba.ge) გამოგზავნილი სამეცნიერო სტატია და მოსაზრება განიხილება სარედაქციო კოლეგიის მიერ, არ რეცენზირდება და კოლეგიის წევრთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში გამოქვეყნდება ჟურნალში „ადვოკატი“.

**გისურვებთ წარმატებებს!**

